21 ივნ.
F843/9728
ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 1 აპრილი 1999 №58 (831) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ქართველები გერმანელებს ნატრულობენ

შვეიცარიულმა „ტელესპორტმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გადასინჯა

5 ალექს, დარჩი ჩვენთან

ტურინის „იუვენტუსი“ ალესანდრო დელ პიეროსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს

9 როგორ აჯობეს არისტოკრატებმა მეფეებს

13 მაიკლ ჯორდანი:

შარლოტ ჰორნეთსის მფლობელი და მოთამაშე?



როგორც ფოტოზე აღბეჭდილმა ფინელმა რეინიმ ვერა გააწყო სამი გერმანელის, ბირჰოფის, იანკერის და ვიორნსის წინააღმდეგ, ისევე მისმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონთან ვერ მოახერხა ქულის მოპოვება — 0:2. უკრაინამ ისლანდიას ვერ მოუგო, იტალიამ ბელარუსს, ჩეხებმა კი შოტლანდია გლასგოში წააქციეს...

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS ნიურნბერგიდან

01 არა, 03 არა, სამაგიეროდ — 0:0

გუშინ ჩემპიონატის ლიდერმა თბილისის „დინამომ“ ჯგუფის აუტსაიდერ თსუ-ს ვერ მოუგო. ჩემპიონმა ვერც ასეთ მატჩში მოსალოდნელი ცეცხლი დაანთო მინდორზე. იქნებ, ამიტომაც ეროვნულ სტადიონს მეხანძრენი უმანქანოდ და, ცხადია, უწყლოდ ესტუმრნენ...

იხილეთ მეოთხე გვერდი

ბადრი ქუთელაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე. „დინამო“ — თსუ: დინამოელი თავდამსხმელი კობა წიტაიშვილი სტუდენტ გიორგი ილურიძეს ამირან მუჯირის და არბიტრ ავანდილ ორდენიძის თვალწინ გაურბის

საქართველოს ჩემპიონატი

20 ტური

31 მარტი, ოთხშაბათი

დინამო	0
თსუ	0

დინამო	20	16	4	0	64:10	52
ტორპედო	20	14	2	4	48:18	44
ლოკომოტივი	20	10	10	0	25:8	40
კოლხეთი	20	10	4	6	43:32	34
გათუმი	20	9	7	4	27:16	34
დილა	20	9	5	6	28:24	32
მერანი	20	6	9	5	21:20	27
არსენალი	20	5	8	7	23:36	23
ვიტ ჯორჯია (-3)	20	7	4	9	18:19	22
იბერია	20	6	4	10	29:36	22
სამგურალი	20	6	2	12	18:37	20
ოდიში	20	6	2	12	16:31	20
სიონი	20	5	4	11	18:39	19
გორდა	20	4	7	9	14:27	19
თსუ	20	3	7	10	15:26	16
გურია	20	3	3	14	21:49	12

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები



REUTERS ციურიხიდან

შვეიცარია — უელსი. შვეიცარიელი ალექსანდრე კომიზეტი და უელსელი ჯონ რობინსონი

REUTERS ანკონადან

იტალია — ბელარუსი. იტალიელი ტოტი ბელარუს ლავრიკს გაურბის

I ჯგუფი

შვეიცარია 2:0 უელსი

1:0, 2:0 შაპუიზა (4, 70)

შვეიცარია: ბრუნერი, ჟანერე, ფურიე, ჰენხოცი, ვოლფი, ფოგელი, მიულერი, ვიკი, შაპუიზა, სფორცა, კომიზეტი (ბელმანი 68)

უელსი: ჯონსი (კროსლი 26), რობინსონი, კემბრიჯი, სავეიჯი, საიმონსი, კოულმენი, ჯონსონი, სონდერსი, ბლეიკი (ჰართსონი 64), ჰიუზი (ბილემი 74), სპიდი

იტალია 1:1 ბელარუსი

0:1 ბელკევიჩი (24), 1:1 ინძაგი (313)

იტალია: ბუფონი, პანუჩი, მალდინი, კანავარო, ნესტა, დ. ბაჯო, დი ბიაჯო (ჯანნიკედა 46), კონტე, ტოტი (დი ფრანჩესკო 46), ინძაგი, კიეზა (რ. ბაჯო 64)

ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ლავრიკი, ლუხვიჩი, ოსტროვსკი, გურენკო, ორლოვსკი, რომაშჩენკო, ბელკევიჩი, მაკოვსკი, ბარანოვი

იტალია	4	3	1	0	7:2	10
შვეიცარია	4	2	1	1	4:3	7
უელსი	4	2	0	2	5:7	6
დანია	4	0	2	2	3:5	2
ბელარუსი	4	0	2	2	3:5	2

III ჯგუფი

მოლდოვა 0:0 ჩრდ. ირლანდია

მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, რებეჟა, სოსნოვსკი, გუზუნი, სტრენკო, სუხარევი, ოპრია (სტრატულატი 90), გაიდამაშჩუკი, ეპურეანუ, კლეშჩენკო

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, პატერსონი (ა. ჰიუზი 56), ჰორლოკი, ლომასი, უილიამსი, მოროუ, გილესპი, ლენონი, დაუი, მ. ჰიუზი, რობინსონი

გერმანია 2:0 ფინეთი

1:0 იერემისი (37), 2:0 ნოვილი (37)

გერმანია: კანი, მათეუსი, ბაბელი, ვიორნსი, შტრუნცი, ჰაინრიხი, იერემისი, ჰამანი (ნოვოტნი 72), ნოვილი (კირსტენი 65), ბირჰოფი, ბოდე (იანკერი 76)

ფინეთი: ნიენი, ილონენი, კინუნენი, კაუტონენი (კოლკა 72), ჰიპია, რეინი (ლეჰკოსუო 89), ილოლა, რიჰალატი, ლიტმანენი, პაატელაინენი (საასტამოინენი 46), იოჰანსენი

გერმანია	4	3	0	1	8:2	9
თურქეთი	4	3	0	1	7:3	9
ფინეთი	4	2	0	2	6:6	6
ჩრდ.ირლანდია	5	1	2	2	3:8	5
მოლდოვა	5	0	2	3	5:10	2

IV ჯგუფი

რუსეთი 6:1 ანდორა

1:0 ტიტოვი (8), 2:0 ბესჩასტნიხი (11), 3:0 ონოპკო (42), 4:0 ციმბალარი (50), 5:0 ბესჩასტნიხი (62), 5:1 სანჩესი (73), 6:1 ალენიჩევი (90)

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, სმერტინი, ციმბალარი, იევსეევი (ტიხონოვი 46), ალენიჩევი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, შირკო, ბესჩასტნიხი

ანდორა: ალვარესი, რობერტო (გონსალესი 57), მანუელ გარსია, მარტინი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, პოლი, სონიხი, იმენესი, ლუჩენდო (სანჩესი 65), რუისი

უკრაინა 1:1 ისლანდია

1:0 ვაშჩუკი (59), 1:1 ლ. სიგურდსონი (66)

უკრაინა: შოვკოვსკი, ლუფნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მიკიტინი, გუსინი, პოპოვი (კალიტვინცევი 75), სკაჩენკო (მაქსმოვი 46), კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი

ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ჰელგასონი, ლ. სიგურდსონი, იონსონი, ადოლფსონი, რ. კრისტინსონი (კოლვიდსონი 80), გუნლაუგსონი, ე. სვერისონი, ჰ. სიგურდსონი (ს. სვერისონი 85), გუდიონსონი, გუნარსონი

საფრანგეთი 2:0 სომხეთი

1:0 ვილტორდი (3), 2:0 დიუგარი (45)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (ტარემბუ 79), დესაი, ბლანი, დეშამპი, ვიეირა, ჯორკაეფი (პირესი 69), ბოგოსიანი, ანელკა, ვილტორდი, დიუგარი (ტრეზეგე 46)

სომხეთი: ბერეზოვსკი, სუკიასიანი (ხაჩატურიანი 40), მკრტჩიანი, ვარდანიანი, ჰოვსეფიანი, ჰოვანესიანი, პეტროსიანი, ვოსკანიანი (პირაპეტიანი 77), სარქისიანი, შახგელდიანი (იესაიანი 53), მიქაელიანი

უკრაინა	5	3	2	0	8:3	11
საფრანგეთი	5	3	2	0	8:3	11
ისლანდია	5	2	3	0	5:2	9
რუსეთი	5	2	0	3	13:8	6
სომხეთი	5	1	1	3	3:8	4
ანდორა	5	0	0	5	2:15	0

V ჯგუფი

ლუქსემბურგი 0:2 ბულგარეთი

0:1 სტოიჩკოვი (18), 0:2 იორდანოვი (38)

ლუქსემბურგი: ფელგენი, ფერონი (ჰოლტეი 75), ვანეკი, სტრასერი, ლ. დევილი, საიბენი, ბირსენსი, ტეისი (ფ. დევილი 88), პოსინგი (ზარიცკი 46), კარდონი, კრისტოფი

ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიჩევი, მარკოვი, სტოიანოვი (ი. პეტკოვი 48), იორდანოვი, იანკოვი, პეტროვი, სტოიჩკოვი (ტოდოროვი 71), იოვოვი (ივანოვი 79), მ. პეტკოვი, ილიევი

პოლონეთი 0:1 შვედეთი

0:1 ლიუნდბერგი (36)

პოლონეთი: სიდორჩუკი, ვალდოხი, ლაპინსკი, სიადაჯკა (ადამჩუკი 82), ზელინსკი, მაიაკი (კოვალჩიკი 70), მიხალსკი (ბაკი 87), ივანი, იუსკოვიაკი, ბრჟეჩეკი, ტრჟეჩიაკი

შვედეთი: ჰედმანი, კამარკი, ანდერსონი, ბიორკლუნდი, ლუკიჩი, შვარცი, ნილდი (ანდერსონი), მიალბიუ, ლიუნდბერგი, ლარსონი (პეტერსონი 89), ანდერსონი

შვედეთი	4	4	0	0	6:1	12
ინგლისი	4	2	1	1	7:3	7
პოლონეთი	4	2	0	2	7:4	6
ბულგარეთი	4	1	1	2	2:4	4
ლუქსემბურგი	4	0	0	4	0:10	0

VI ჯგუფი

სან მარინო 0:6 ესპანეთი

0:1 ფრანი (20), 0:2 რაული (45), 0:3 ურსაისი (49), 0:4, 0:5 რაული (59, 66), 0:6 ეჩებერია (72)

სან მარინო: ფ. გასპერონი, ჯენარი, მარანი, ვ. ვალენტინი, მ. ვალენტინი, გობი (ბალდა 51), მანძაროლი, ბ. გასპერონი, მონტანია (გუალტერი 60), სელვა, ძონძინი

ესპანეთი: კანისარესი, მიჩელი, სერხი, მარსელინო ელენა, პაკო, ხემესი, გვარდიოლა (ენგონგა 69), ვალერონი (ივან ელგერა 75), ფრანი, ეჩებერია, ურსაისი (დანი 62), რაული

REUTERS სან მარინოდან

სან მარინო — ესპანეთი. ესპანელ ფრანს(№11) და მის გუნდს მიროკ ჯენარის მეგობრებთან პრობლემა არ ჰქონია

ესპანეთი	4	3	0	1	19:4	9
კვიპროსი	5	3	0	2	8:8	9
ისრაელი	4	2	1	1	10:3	7
ავსტრია	4	2	1	1	8:11	7
სან მარინო	5	0	0	5	1:20	0

VII ჯგუფი

ლიხტენშტაინი 0:5 პორტუგალია

0:1 რუი კოშტა (163), 0:2 ფიგუ (49), 0:3, 0:4 მადეირა (54, 60), 0:5 რუი კოშტა (69)

ლიხტენშტაინი: იეპლე, პანსელმანი (ოსპელტი 84), სტორლასა (ბეკი 65), ვოლვენდი, ფრიკი, ჰესლერი, ტელსერი, ბეკი (ბურგმაიერი 82)

პორტუგალია: ბაია, სეკრეტარიუ, მადეირა, კოუტუ, დიმაში, პაოლო სოუზა, რუი კოშტა, კონსეისაო (კაპუჩო 88), ფიგუ, სა პინტუ (პაულეტა 61), ჟოაო პინტუ (გომეში 75)

აზერბაიჯანი 0:1 რუმინეთი

0:1 პეტრე (49)

აზერბაიჯანი: მაგამედოვი, ასადოვი, აგაევი, ლიჩკინი, შირხაევი, გამბაროვი, რაზაევი, ყურბანოვი, ვასილიევი, მამედოვი, გეტმანი

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, პოპესკუ, ნასტასი, ფილიპესკუ, ლუპესკუ, მუნტეანუ, მოლდოვანი, ილიე, კონტრა, ჩიბოტარიუ

სლოვაკეთი 0:0 უნგრეთი

სლოვაკეთი: კონიგი, ზემანი, კარპანი, კრატოხვილი, ვარგა, ზატეკი, ბალისი, ტომაშეპი, პინტე, დუბოვსკი, მაიოროსი

უნგრეთი: კირალი, პრუტკა, კრსოსი, მატიასი, ვ. შებოკი, ჰალმაი, ი. შებოკი, პისონტი, ფეპერი, ლეში, ტოთი

პორტუგალია	5	4	0	1	18:2	12
რუმინეთი	5	3	2	0	10:1	11
სლოვაკეთი	5	2	2	1	7:3	8
უნგრეთი	5	2	2	1	11:4	8
ლიხტენშტაინი	5	1	0	4	2:22	3
აზერბაიჯანი	5	0	0	5	1:17	0

IX ჯგუფი

შოტლანდია 1:2 ჩეხეთი

0:1 ელიოტი (27ს.კ.), 0:2 შმიცერი (35), 1:2 ჯესი (68)

შოტლანდია: სალივანი, უეირი, ბოიდი, ლამბერტი, ელიოტი, დევიდსონი (ჯონსტონი 51), ჰოკინი, ბარლი, ჯესი, მაკალისტერი (ჰაჩისონი 64), მაკკენი

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ვოტავა, სუხოკარეკი, ნედვედი, ჰორნიაკი, ჰაშეკი, ნემეცი, პობორსკი (რადა 80), ლოკვენეცი (კუკა 70), შმიცერი (ბარანეკი 84), ბერგერი

ლიტვა 1:2 ესტონეთი

0:1, 0:2 ტერეხოვი (49, 77), 1:2 ფომენკა (83)

ლიტვა: სტაუჩე, სკერლა, ჟუტაუტასი, სემბერასი, ვაინორასი, ზვირგჟდაუსკასი, მაციულევიჩიუსი, მიკალაუნასი, პრიკსაიტისი, სკარბალიუსი (გორვეჩკუსი 35, ბუტკუსი 52), მიკულენასი (ფომენკა 46)

ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, საგიუკი, სბეტსი (კრისტალი 70), ტერეხოვი, ოპერი (ზელინსკი 67), სმირნოვი (ალონენი 90), რეიმი, ვიიკმე

ჩეხეთი	5	5	0	0	12:3	15
ესტონეთი	5	2	1	2	11:9	7
შოტლანდია	4	2	1	1	6:5	7
ლიტვა	5	1	2	2	5:7	5
ბოსნია	4	1	1	2	5:8	4
ფაროერები	5	0	1	4	1:9	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაკლისიც და მონაპოვარიც

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

ლატვია	4	2	1	1	4:2	7
ნორვეგია	4	2	1	1	7:6	7
საბერძნეთი	5	1	3	1	4:4	6
სლოვენია	4	1	2	1	5:5	5
საქართველო	4	1	1	2	2:5	4
ალბანეთი	3	0	2	1	2:3	2



რიგა
31 მარტი
დაუგაპა
3 200

ლატვია 0:0 საბერძნეთი

ლატვია: კარავაევსი, ლუკაშევიჩსი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, ლობანოვსი, შარანდო (სტეპანოვსი 62), ივანოვსი, ბლაგონადეჟნი, პახარსი, მიხოლაპსი (ისაკოვსი 29), შტოლცერსი

საბერძნეთი: ატმაციდისი, კასაპისი, უზუნიდისი, დაბიზასი, მავროგენიდისი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი, გეორგატოსი, მახლასი (ანასტასიუ 77), ლიბეროპულოსი, ნიკოლაიდისი

მსაჯი: კ. ე. ფისკერი (დანია)

TA NEA რიგიდან

ბერძენთა ნაკრების ახალი თავკაცი ვასილის დანიელი ლატვიაში ვერმოგებით აშკარად უკმაყოფილო დარჩა

აშკოლც ულდრიკისი რიგიდან

მატჩის დამთავრების შემდეგ საბერძნეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი ვასილის დანიელი აშკარად უკმაყოფილო იყო, ისეთი იერი დაკრავდა, თითქოს ბერძნებს რიგაში საბედისწერო ქულები დაეკარგოთ.

— ჩვენ ლატვიაში მოსაგებად ჩამოვედით, დიდი იმედი გვქონდა, რომ შინ სამი ქულით დავბრუნდებოდით, მაგრამ მეტოქის მცველთა გონივრული თამაშისა და უხარისხო მინდვრის გადამკიდეებმა ვერაფერი მოვახერხეთ. მიუხედავად საბერძნეთის ნაკრების უპირატესობისა, ჩემი ფეხბურთელებით უკმაყოფილო დავრჩი, მათ გაცილებით მეტი შეეძლოთ...

ვასილის დანიელი ნაძალადევად ლაპარაკობდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დატოვებდა საპრესკონფერენციო დარბაზს.

მაინცდამაინც გახარებული არც დანიელის ქართველი კოლეგა რევაზ ძოძუაშვილი იყო. თუმცა კი, ბერძენისგან განსხვავებით მისი გაგვკვირვებოდა. „დუგავას“ სტადიონის ერთ ტრიბუნაზე მოკალათებულმა 5 ათასამდე ქომაგმა ხომ ლატვიელთა თამაშით, ბრძოლისუნარიანობითა და თავდადებით კმაყოფილებმა, ერთი ქულით გამოწვეული სიხარული ვერ დამალეს და მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე ისეთი ფოიერვერკი მოაწყვეს, თქვენგან მოწონებული. გულშემატკივრები არ თვლიდნენ, რომ ლატვიის ნაკრებმა ორი ქულა დაკარგა, პირიქით, ამბობდნენ ქულა მოვიპოვეთ და ჯგუფში გამარჯვებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგითო.

მეც ასე ვფიქრობ, თუმცა...

მატჩის წინ რევაზ ძოძუაშვილს სხვა პრობლემებთან ერთად, ერთი საფიქალი ჰქონდა — ტრავმირებული ბაბიჩვსისა და არასასურველ ფორმაში მყოფი ბლეიდელისის ღირსეული შემცვლელები უნდა გამოეძებნა. როგორც თამაშმა გვიჩვენა, ძოძუაშვილმა ეს ვერ მოახერხა, რის შედეგადაც ლატვიის ნაკრებმა ფაქტობრივად ნახევარდაცვის გარეშე ჩაატარა სრული 90 წუთი.

მასპინძელთა სქემა 7-3 იყო. რვა კაცი (მეკარის ჩათვლით) საკუთარი კარის მახლობლად განლაგდა, ხოლო პახარსი, შტოლცერსი და მიხოლაპსი ცენტრთან ახლოს. თავდასხმისა და დაცვის შემაკავშირებელი არავინ იყო, ცენტრალური ნახევარმცველი შარანდო, რატომღაც ძალიან ინერტიულად თამაშობდა.

ბერძნების უპირატესობა კი, პირველყოვლისა, სწორედ ნახევარდაცვაში აისახა. თუ პირველ ტაიმში ლატვიელები რამდენჯერმე მაინც დამუქრნენ სტუმართა კარს, შესვენების შემდეგ სულ ორჯერ გადავიდნენ სტუმართა ნახევარზე. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ლატვიელებმა მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი კუთხური მოაწოდეს, ისიც 89-ე წუთზე. ბერძნებმა ამაშიც გვაჯობეს, ისინი კუთხურიდან 11-ჯერ დაგვემუქრნენ. მეკარე კარავაევსს და ლიბერო ზემლინსკისს უნდა ვუმადლოდეთ, თორემ ღმერთმა იცის, მატჩი როგორი ანგარიშით დამთავრდებოდა.

სტუმართა შექმნილი მომენტების აღწერა-ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — ძალიან ბევრი და ყველა სახიფათო იყო. თუმცა, ორს მაინც გამოვყოფ: 52-ე წუთზე ლიბეროპულოსის თავური დარტყმა, სასწაულებრივად მოიგერია კარავაევსმა, ოთხი წუთის შემდეგ კი ბედმა გეორგატოსს უმტყუნა, რომელიც ჩვენებურ მეკარესთან პირისპირ დარჩა და ბურთი ორი მეტრით ააცილა კარს. აქედან მოყოლებული, და მატჩის ბოლომდე, ბერძენთა შეტევები არ განელებულა, ყველანაირად ცდილობდნენ ლატვიელთა დამწუხრებას, მაგრამ...

77-ე წუთზე კინაღამ იქით მიიღეს გოლი. შტოლცერსმა დაბიზასი გააპამპულა და ატმაციდისთანაც ერთი-ერთზე უნდა დარჩენილიყო, როცა ბერძენმა მცველმა თამაშის წესი დაარღვია. ეს ბოლო იმედის ჯარიმა იყო, ასეთ შემთხვევებში მსაჯი დაუყოვნებლივ წითელ ბარათს აფრიალებს ხოლმე, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, აბრიტრმა დაბიზასი დაინდო, მას გაფრთხილება აკმარა, რომელიც, სხვათა შორის, მატჩში ერთადერთი გამოდგა.

თითქმის ყველაფერი ვთქვით და ჩვენებურთა მომენტებზე კი დამავწყდა. თუმცა ბევრიც არაფერი მაქვს სათქმელი. სულ ორიოდ სახიფათოდ დარტყმული ჩავინიშნე. 28-ე წუთი: მიხოლაპსის ჩაწოდებულ ბურთს თავით შეწვდა შარანდო და ატმაციდისისგან შორეულ კუთხეში დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს სანტიმეტრებში ასცდა. ათი წუთის შემდეგ კი პახარსმა და შტოლცერსმა კედელი გაითამაშეს, პახარსი საჯარიმოს ხაზთან მარტოდ დარჩა, გოლიც გარდუვალი ჩანდა, თუმცა ჩვენებურმა ბურთის ნაცვლად, მიწას დაჭკრა ფეხი და მომენტიც გააცუდა.

აი, სულ ეს იყო. და ის, რომ ბერძნებთან მატჩს ლატვიის პრეზიდენტი, საბერძნეთიდან ერთი კვირის დაბრუნებული გიუნტარას ულმანისი დაესწრო.

რევაზ ძოძუაშვილი, ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: დასანანია, მოგება შეგვეძლო და ვერ მოვიგეთ. ჩვენს ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა აკლდათ, ეროვნული ჩემპიონატი რომ ლატვიაში უკვე დაწყებული იყოს, დარწმუნებული ვარ, დღეს აქტივს სამ ქულას შევმატებდით. ლატვიელთაგან არავის გამოვყოფ. ყველამ შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა. ისე კი, მსაჯის მიმართ ერთი პრეტენზია მაქვს, დაბიზასი რომ გაეძევებინა, ბოლო წუთებში მეტოქეს შავ დღეს ვაყრიდით, ეგებ გოლიც გაგვეტანა.

ვასილის დანიელი, ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ნაკრების მწვრთნელად დანიშნისთანავე ლატვია — საქართველოსა და ნორვეგია — ლატვიის ფირი ვნახე. ტაქტიკაც ამ თამაშების გათვალისწინებით შევარჩიე და ფეხბურთელებიც შესაბამისად დავარიგე. ჩვენ, ფაქტობრივად, ქართველებივით ვითამაშეთ, 90 წუთი უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია.

შანსები კი, ვფიქრობ, კიდევ გვაქვს. პირველობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

მიხალის ზემლინსკისი, ლატვიის ნაკრების მცველი: ძალიან გაგვიჭირდა. შეგვეძლო გაგვეკეთებინა ის, რაც ადრე, ქართველებთან გავაკეთეთ. ამისათვის მხოლოდ გოლი გვჭირდებოდა, საკუთარი კარი ხომ ისეც მშრალად შევინახეთ.

ოლე გაყოყოჩდა

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

ყმაწვილია, დაღვინდება.

ბევრს მოსვლია მის ასაკში ასეთი რამ — წარმატებამ, თან არცთუ ისე დიდმა, თავბრუ დაახვია.

ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლე გუნაი სოლსკიაერმა განაცხადა, რომ იგი ქვეყნის პირველი გუნდის უძლიერესი თავდამსხმელია და მეათე ნომერ მაისურს აღარ დათმობს.

„საბერძნეთში გატანილი ორი გოლის შემდეგ ნათელია, რომ კეტილ რეკდალისთვის, ისევე, როგორც ტორე ანდრე ფლოსთვის, ნაკრებში ერა დასრულდა. დღეიდან პირველი მე ვარ! დღეიდან ათი ნომერი მაისური ჩემია!“ — ოლე გუნარ სოლსკიაერი ჟურნალისტებთან ყოყოჩობდა.

შაბათს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ოლე გუნარ სოლსკიაერის ორი გოლით ნორვეგიამ ათენში საბერძნეთი დაამარცხა 2:0. იმ შეხვედრაში არც კეტილ რეკდალს უთამაშია და არც ტორე ანდრე ფლოს.

სოლსკიაერი იქნებ კარგი ფორვარდიც იყოს, მაგრამ არც კონკურენტები არიან ჯაბანნი.

კეტილ რეკდალს, ნორვეგიის ნაკრების ვეტერან თავდამსხმელს, რომელიც დღესდღეობით ბერლინის „ჰერტაში“ თამაშობს, ნორვეგიისთვის მრავალი გამარჯვება მოუტანია. მისი ბოლო გმირობა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიელთათვის შეგდებული ბურთი გახლდათ.

ტორე ანდრე ფლო ლონდონის „ჩელსის“ ტანმაღალი და შედეგიანი თავდამსხმელია, გუნდის წინახაზის ნამდვილი ლიდერია და გოლებიც ხშირად გააქვს.

და ვინაა მათთან შედარებით სოლსკიაერი? ერთი პატარა, ახლადფეხადგმული ბიჭი.

ყმაწვილია, დაღვინდება.

ოლე გუნარ სოლსკიაერი

EURO 2000
ახალგაზრდული გუნდები

UEFA UNDER-21 Championship

I ჯგუფი

შვეიცარია 1:0 უელსი

1:0 იაკინი (2)

იტალია 4:1 ბელარუსი

0:1 რაზუმოვი (5), 1:1 პირლო (24პ), 2:1 სკარლატო (44), 3:1 პირლო (52პ), 4:1 ბუჩი (80)

იტალია	4	4	0	0	9:3	12
შვეიცარია	3	2	0	1	3:1	6
დანია	4	1	1	2	5:6	4
უელსი	4	0	2	2	3:5	2
ბელარუსი	3	0	1	2	1:6	1

04.06 დანია — ბელარუსი
იტალია — უელსი

II ჯგუფი

ლატვია 0:2 საბერძნეთი

0:1 ხუტოსი (15), 0:2 სირსიოპულოსი (45)

საბერძნეთი	5	4	1	0	14:5	13
ნორვეგია	4	3	0	1	10:4	9
საქართველო	4	1	1	2	4:5	4
ლატვია	4	1	0	3	2:6	3
ალბანეთი	3	1	0	2	2:9	3
სლოვენია	4	0	2	2	3:6	2

27.04 ალბანეთი — ლატვია
28.04 საქართველო — ნორვეგია

III ჯგუფი

მოლდოვა 0:0 ჩრდ. ირლანდია
გერმანია 2:0 ფინეთი

1:0 ბლანკი (35), 2:0 ნერბაუერი (87)

თურქეთი	4	3	1	0	7:1	10
გერმანია	4	2	0	2	4:3	6
ჩრდ. ირლანდია	5	1	3	1	3:4	6
ფინეთი	4	1	2	1	3:4	5
მოლდოვა	5	0	2	3	1:6	2

03.06 გერმანია — მოლდოვა
04.06 ფინეთი — თურქეთი

IV ჯგუფი

უკრაინა 5:1 ისლანდია

0:1 გუდმუნსონი (16), 1:1 ზუბოვი (45), 2:1 ოლეინიკი (48), 3:1 ბალიცკი (67), 4:1 ტიმოშჩუკი (71), 5:1 ვაშჩუკი (88)

საფრანგეთი 3:1 სომხეთი

1:0 ანრი (10), 2:0, 3:0 მაულიდა (66პ, 75), 3:1 მინასიანი (87)

უკრაინა	4	3	0	1	14:5	9
საფრანგეთი	4	3	0	1	10:3	9
რუსეთი	4	3	0	1	6:3	9
სომხეთი	4	1	0	3	4:14	3
ისლანდია	4	0	0	4	3:12	0

05.06 ისლანდია — სომხეთი
საფრანგეთი — რუსეთი

V ჯგუფი

ჯერნეთი 2:0 შვედეთი

1:0 ვიშნიარეკი (7), 2:0 სობჩაკი (40)

ლუქსემბურგი 0:3 ბულგარეთი

0:1 ჩილიკოვი (8), 0:2 ჩუმაკოვი (20), 0:3 ჩილიკოვი (50)

ინგლისი	4	4	0	0	13:0	12
ბულგარეთი	4	2	1	1	7:4	7
პოლონეთი	4	2	1	1	9:7	7
შვედეთი	4	1	0	3	4:6	3
ლუქსემბურგი	4	0	0	4	0:16	0

04.06 ინგლისი — შვედეთი
05.06 პოლონეთი — ბულგარეთი

VI ჯგუფი

ჰოლანდია 0:1 ესპანეთი

0:1 დელკეი (12)

ესპანეთი	4	4	0	0	12:1	12
ჰოლანდია	4	3	0	1	9:3	9
კვიპროსი	4	1	1	2	4:8	4
ისრაელი	4	1	1	2	2:8	4
ავსტრია	4	0	0	4	3:10	0

04.06 ესპანეთი — ჰოლანდია
05.06 ისრაელი — ავსტრია

VII ჯგუფი

სლოვაკეთი 4:1 უნგრეთი

1:0 გრეეკო (25), 2:0 სედლაკი (41), 3:0 ბაბნიკი (48), 4:0 ცინეი (63), 4:1 ბალაშკო (84)

აზერბაიჯანი 0:2 რუმინეთი

0:1 მუტუ (13პ), 0:2 ლუკა (27)

სლოვაკეთი	4	4	0	0	8:2	12
პორტუგალია	4	2	1	1	9:2	7
რუმინეთი	4	2	1	1	5:3	7
აზერბაიჯანი	4	1	0	3	3:10	3
უნგრეთი	4	0	0	4	3:11	0

04.06 რუმინეთი — უნგრეთი
პორტუგალია — სლოვაკეთი

VIII ჯგუფი

ხორვატია	3	2	1	0	9:2	7
ირლანდია	3	1	2	0	5:4	5
იუგოსლავია	2	1	1	0	6:2	4
მალტა	5	1	0	4	7:12	3
მაკედონია	3	1	0	2	2:9	3

04.06 ირლანდია — იუგოსლავია
05.06 მაკედონია — ხორვატია

IX ჯგუფი

ლიტვა 4:1 ესტონეთი

1:0 გრაჟუნასი (27), 2:0, 3:0 პოშკუსი (40, 48), 4:0 იოკუბაი (60), 4:1 ოუნი (82)

შოტლანდია 0:1 ჩეხეთი

0:1 სიონკო (46)

ჩეხეთი	5	4	1	0	7:0	13
ლიტვა	5	2	1	2	8:3	7
ბელგია	4	2	1	1	5:4	7
შოტლანდია	5	1	2	2	4:5	5
ბოსნია	3	1	1	1	3:6	4
ესტონეთი	4	0	0	4	3:12	0

28.04 ბელგია — ბოსნია
04.06 ბოსნია — ლიტვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — 20 ტური

ნეტავ, რას იზამდნენ?

თსუ-ელთა მეკარე გიორგი გაბელიამ კობა წიტაიშვილს ბურთი ჰაერშივე აართვა

თბილისი
31 მარტი
15 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

დინამო 0:0 თსუ

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, ა. მუჯირი, მაჭავარიანი, გუჩუა (კიკნაძე 46), ტუღუში (ა. სახვაძე 60), ალექსიძე, ნიტა-იშვილი, აშვეთია, ქებაძე (ჩომახიძე 46)
სათადარიგონი: ბითიაშვილი, ხიზანეიშვილი, რუხაძე
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ვ. ღუდუშაური, მალრაძე, გონჩაროვი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
სათადარიგონი: მერლანი, ინნკირველი, ბუკია, თოლორაია, რ. სვანაძე
გაფრთხილება: გუჩუა (33), მიქაძე (38), ჭუმბურიძე (80)
გაძევება: მიქაძე (72)
მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი), ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. დოლიძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. კაჭახიძე

ვანო ოძროპირიძე

„დინამო“ — თსუ-ს გუშინდელი მატჩის შედეგმა ჩემპიონატს მცირე ინტრიგა კიდევ შეუნარჩუნა. ამჟამად ქუთაისის „ტორპედო“ ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს რვა ქულით ჩამორჩება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დინამოს“ სამი ურთულესი საგარეო მატჩი აქვს გასამართი ფოთში, ბათუმში და ქუთაისში. აქედან ერთი კი კვირას ფოთში „კოლხეთთან“ ელის.

მანამდე კი დინამოელებმა საკუთარ მინდორზე ორი ქულა დაკარგეს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ჯგუფიდან გავარდნის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატ თსუ-სთან მოახერხეს.

ვიდრე უშუალოდ მატჩზე მოგახსენებდეთ, ერთიც ვთქვათ. ამაზე ბოლო დროს ლამის ყოველ ნომერში გვიწევს წერა და საამისო საბაბი, ალბათ, კიდევ არაერთხელ მოგვეცემა. მატჩი შვიდი წუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზს თავადაც მიხვდებოდით — სამი საათისთვის არც სასწრაფო დახმარების და არც სახანძრო მანქანები არ მოსულან. თუმცა ისინი არც ოთხის შვიდ წუთზე ჩანდნენ, როდესაც მსაჯმა თამაში დაიწყო. საბოლოოდ ექიმებმა 35 წუთით დააგვიანეს, მეხანძრეები კი, მატჩი ისე დასრულდა, საერთოდ არ გამოჩენილან. როგორც ფედერაციის წარმომადგენლებმა ავგიხსნეს, ისინი დროზე მოსულან, ოღონდ... უმანქანებოდ. თუ არ გჯერათ, მობრძანდით, ოქმი ნახეთ, ორივეს ხელმოწერა არისო, დააყოლეს ბოლოს. ისე, საკითხავია, საჭიროება რომ ყოფილიყო, რას იზამდნენ უწყლოდ დარჩენილი მეხანძრეები, რომლებსაც მაინც ვერ მოვკარი თვალი სტადიონის ტერიტორიაზე.

ახლა კი დროა, თავად მატჩზეც ვთქვათ. თამაშის წინ იმასაც ამბობდნენ, „დინამოს“ და თსუ-ს ერთმანეთთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა აკავშირებთ და გამორიცხული არ არის, ჩემპიონმა გასავარდნად განწირულ სტუდენტებს ქულა მაინც დაუთმოსო. რამდენად მართალია ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთს კი დავძენ, თსუელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და „დინამოს“ სუსტ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, ფრეც დაიმსახურეს.

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე დაიწყო. „დინამო“ დიდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა. საკუთარ ნახევარზე დაბინავებული თსუ კი მოწინააღმდეგის შეტევების ჩაშლას და სწრაფი კონტრშეტევების განხორციელებას ცდილობდა. სტუდენტები იერიშებს კი შლიდნენ, კონტრშეტევისა კი რა მოგახსენოთ. მასპინძელთა მეკარე დავით გვარამაძე ერთხელაც არ გადამხტარა, ან კი როგორ უნდა გადამხტარიყო, როცა 90 წუთში თსუელებმა სულ ერთხელ დაარტყეს და ისიც საკმაოდ არაზუსტად.

მასპინძლები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კი უტევდნენ, მაგრამ არც ისე სახიფათოდ. პირველი რეალური მომენტი სტუმართა კართან ტაიმის მიწურულს, 45-ე წუთზე შეიქმნა — რატი ალექსიძე საჯარიმოში შევიდა და მახვილი კუთხიდან ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელმა მოიგერია. მანამდე აშვეთიამ თავით ორი ლამაზი გოლი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა ლევან მიქელაძემ ორჯერვე თამაშგარე დააფიქსირა.

შესვენებისას დინამოელთა თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ ორი ფეხბურთელი შეცვალა: ვალტერ გუჩუასა და ლევან ქებაძის ნაცვლად შოთა ჩომახიძე და ბელგიიდან დაბრუნებული გიორგი კიკნაძე შემოიყვანა. კიკნაძეს, რაც ბელგიიდან ჩამოვიდა, არ უთამაშია და მისი საქმეში ხილვა, ბუნებრივია, გვაინტერესებდა. როგორც თამაშმა დაგვანახა, კიკნაძე აშკარად ცუდ ფორმაში გახლდათ. თუმცა ამდენი ხნის უთამაშებლისგან ეს გასაკვირი არც იყო.

შემადგენლობაში ცვლილებას „დინამოს“ თამაშზე დიდად არ უმოქმედია. მასპინძლებმა პირველი ტაიმის მსგავსად განაგრძეს — უტევდნენ, მაგრამ გაბელიას კარს რეალურად ვერ ემუქრებოდნენ, თუმცა მატჩის ბოლოს გააქტიურდნენ და სახიფათო მომენტებიც შექმნეს. ჯერ სახვაძე — აშვეთია — ალექსიძემ გაითამაშეს კარგი კომბინაცია, მაგრამ რატიმ ახლოდან ვაცილა ბურთი. შემდეგ კი ჩომახიძეს საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი აეჭრა და ხარიხას მოხვდა. ამ დროს მასპინძლები ათნი იყვნენ მინდორზე, რადგან 72-ე წუთზე უხეში თამაშისთვის მსაჯმა მიქაძეს დაატოვებინა მინდორი. თუმცა სტუდენტებმა ამით ვერ ისარგებლეს და შეხვედრაც ფრედ 0:0 დასრულდა, რამაც სტუმრები კმაყოფილი დატოვა.

მეორე ჯგუფი

დასავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი
XV ტური
28 მარტი

სულორი 4:1 იბერია 2
1:0 ფაიქიძე (15), 2:0 ბუხაიძე (60), 3:0 გიზო ბრეგვაძე (63), 4:0 ბ. ნიკოლეიშვილი (77), 4:1 ბანძელაძე (87)
გაფრთხილება: ი. სანიკიძე (იბერია 2)
მსაჯი: ჯ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მარგვეთი 1:2 სამგურალი 2
0:1 ქიმაძე (24), 1:1 გორდაძე (28), 1:2 თ. მანაგაძე (43)
გაფრთხილება: კეკუტია, ტ. მანაგაძე, ბარაბაძე (ყველა გაგრა), თ. მანაგაძე, კოპალიანი (ორივე სამგურალი 2)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

რაჭა 4:1 საირმე
1:0 კიკვაძე (5), 1:1 მაღლაფერიძე (10), 2:1, 3:1 ჩიტალაძე (50,82), 4:1 ჩიჩხაშვილი (88)
გაფრთხილება: შ. ბერიძე, ჯმუხაძე (ორივე რაჭა), ლომსიანიძე (საირმე)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

ტორპედო 2 0:2 ოკეანე
0:1 ჯ. ბაკურაძე (15), 0:2 კრავეიშვილი (22)
გაფრთხილება: გენებაშვილი, მუშკუდიანი (ორივე ტორპედო 2), ჯ. ბაკურაძე, ფანია (ორივე ოკეანე)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

29 მარტი

მარგვეთი 5:0 მაღაროელი
1:0 გენაძე (25), 2:0, 3:0, 4:0 დ. ნოზაძე (53, 62, 73), 5:0 ქურციკიძე (90)
მსაჯი: ჯ. მესხი (ზუგდიდი)

მეშახტე — ჩიხურა გადაიდო

სულორი	14	12	2	0	38:10	38
მარგვეთი	14	12	2	0	55:15	38
მეშახტე	13	9	1	3	28:15	28
სამგურალი 2	13	8	2	3	27:21	26
ოკეანე	14	8	1	5	17:20	25
გაგრა (-3)	14	9	0	5	27:15	24
რიონი	13	5	1	7	19:17	16
რაჭა	14	5	1	8	24:27	16
ტორპედო 2	14	3	2	9	14:24	11
საირმე (-3)	14	4	1	9	12:25	10
ჩიხურა (-3)	13	2	2	9	15:39	5
იბერია 2	14	1	2	11	12:33	5
მაღაროელი (-3)	14	1	3	10	18:45	3

დასავლეთი. „ბ“ ქვეჯგუფი
XV ტური
28 მარტი

ეგრისი 0:1 კოლხეთი 2
0:1 თედეევი (81)
გაფრთხილება: კრასოვსკი, გოჩა ჭანტურია (ორივე კოლხეთი 2)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

სამეგრელო 5:2 სალხინო
1:0 ა. შენგელია (21), 2:0, 3:0 ჭეფია (29,45), 3:1 დარჯანია (48), 4:1 ჭეფია (65), 5:1 ბელქანია (75), 5:2 გივი გაგუა (85)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ენგური 1:1 ოდიში 2
1:0 შონია (51), 1:1 ჭურღულია (65)
გაფრთხილება: ჯურხანძე, გუდაბანძე, დიდაძე (ყველა ენგური), ბ. შელია (ოდიში 2)
გაძევება: გულარდავა (30, ოდიში 2)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ფაზისი 5:1 ბახმარო
1:0 ხურციძე (1), 2:0 კუპრავა (13), 3:0 გაბეჩავა (44), 4:0 ჯლარკავა (71), 4:1 გურგენიძე (79), 5:1 მაკალათია (87)
გაფრთხილება: ლეფავა, კვირკველია (ორივე ფაზისი), მრეღაშვილი, ე. დოლიძე (ორივე ბახმარო)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

29 მარტი

ვერცხალი 1:2 კოლხეთი
0:1 ხურციდავა (3), 1:1 ჩიგოგიძე (62), 1:2 ზაზა აიანადი (83)
გაფრთხილება: გ. ტულუში, იმნაძე (ორივე მერცხალი), ქიჭინაძე, ზურაბ აიანადი (ორივე კოლხეთი)
გაძევება: გ. ტულუში (35, მერცხალი)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

სტური 2:2 კოლეჯი
1:0 ჯაბუა (19), 1:1 გ. ჭელიძე (65), 2:1 კვირკვია (85), 2:2 ჩიჩუა (88)
გაფრთხილება: ქორთუა (სტური), ჩიჩუა (კოლეჯი)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

კოლხეთი	13	10	2	1	39:8	32
სტური	14	8	2	4	36:28	26
შუქურა	13	8	1	4	29:19	25
ფაზისი	14	8	1	5	26:17	25
ენგური	14	7	4	3	29:21	25
კოლეჯი	14	7	4	3	24:15	25
მერცხალი	14	7	1	5	24:17	22
სამეგრელო	14	5	3	6	22:20	18
ბახმარო	14	4	2	8	12:28	14
ოდიში 2	14	3	5	6	17:23	14
ეგრისი	14	3	4	7	16:27	13
კოლხეთი 2	14	3	1	10	13:35	10
სალხინო	14	2	0	12	22:51	6

აღმოსავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი
XVIII ტური
25 მარტი

სამგორი 0:3 არსენალი 2
0:1 ზ. მეტრეველი (26), 0:2 გოცირიძე (37), 0:3 ზ. მეტრეველი (77)
გაფრთხილება: ბროძელი (სამგორი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

მრეტები 1:1 ყვარელი
1:0 ცივვიძე (23), 1:1 ოსეფაშვილი (37)
გაფრთხილება: ჩარკვიანი, დავლიანიძე, ცივვიძე (ყველა მრეტები), ავაზაშვილი, ბერიკაშვილი, შ. მიქაბერიძე (ყველა ყვარელი)
გაძევება: დავლიანიძე (86, მრეტები)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ღარწყალი 3:2 ხალიბი
1:0 დ. ჩიგოშვილი (7), 2:0 ჯ. წიკლაური (25), 2:1 სოხაძე (49), 3:1 გოლეთიანი (58), 3:2 გიორგი მიქაძე (90)
გაფრთხილება: ბ. აფციაური, დ. ცომაია (ორივე ღარწყალი), სულაშვილი, მუსერიძე (ორივე ხალიბი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

კახეთი 2:1 უნივერსიტეტი იბერია
1:0 მელოევი (25), 2:0 ბობოხიძე (86), 2:1 კასრაძე (89)
გაფრთხილება: ამისულაშვილი (კახეთი), ადეიშვილი, კასრაძე (ორივე უნივერსიტეტი იბერია)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

ჭაბუკიანი 1:0 დინამო 3
1:0 ომანიშვილი (48)
გაფრთხილება: პაქსაშვილი, გ. მეტრეველი (ორივე ჭაბუკიანი), მ. ცქიფურიშვილი, გაფრინდაშვილი, ჩივაძე (ყველა დინამო 3)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

ქანაგკო 1:1 ალაზანი
1:0 მეურმიშვილი (42ს.ჯ.), 1:1 დარჩიაშვილი (85)
გაფრთხილება: ე. გოგოჭური, კენჭაძე, ზ. გოგოჭური (ყველა ქანაგკო), პატიაშვილი, დარჩიაშვილი (ორივე ალაზანი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ზოოვეტი 6:2 ალგეთი
1:0, 2:0 დ. მეტრეველი (15, 19), 3:0 დ. ხომერიკი (37), 4:0 ი. ნადირაძე (63), 5:0 დ. მეტრეველი (65), 6:0 გუგუშვილი (86), 6:1 მურადაშვილი (87ჯ), 6:2 დ. ეუაშვილი (89)
გაფრთხილება: დ. მეტრეველი (ზოოვეტი), მურადაშვილი, დ. ეუაშვილი (ორივე ალგეთი)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

XIX ტური
29 მარტი

ალაზანი 1:2 ჭაბუკიანი
0:1 გ. მეტრეველი (28), 0:2 გ. მჭედლიშვილი (81), 1:2 დარჩიაშვილი (87)
გაფრთხილება: შ. კობიაშვილი, კუპრაშვილი (ორივე ალაზანი), ტალახაძე (ჭაბუკიანი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ყვარელი 2:0 სამგორი
1:0, 2:0 ოსეფაშვილი (23, 67)
გაფრთხილება: ხალიჩაშვილი, გ. კალანდაძე (ორივე ყვარელი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

დინამო 3 1:1 კახეთი
1:0 არადაია (28), 1:1 ნ. დავითაშვილი (57)
გაფრთხილება: ბობოხიძე, თ. მაისურაძე, ნ. დავითაშვილი (ყველა კახეთი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ალგეთი 0:3 ქანაგკო
„ალგეთი“ არ გამოცხადდა
30 მარტი

არსენალი 2 4:0 აკადემია
1:0, 2:0 გოცირიძე (34, 40), 3:0 ზ. მეტრეველი (55), 4:0 გოცირიძე (61)
გაფრთხილება: ზ. მეტრეველი, ვახტანგ გაგუა, მაწყავა (ყველა არსენალი 2)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ხალიბი 2:0 ზოოვეტი
1:0 ი. ლობჟანიძე (43), 2:0 სოხაძე (55)
გაფრთხილება: ბოსტოღლანაშვილი, ი. ნადირაძე (ორივე ზოოვეტი)
გაძევება: დ. მეტრეველი (80, ზოოვეტი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

უნივერსიტეტი იბერია 0:1 მრეტები
0:1 ვ. ამაშუკელი (11)
გაფრთხილება: ფიცხელიანი, ხორავა (ორივე უნივერსიტეტი იბერია), ჭაჭია, ვ. ამაშუკელი (ორივე მრეტები)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

ღარწყალი	17	13	4	0	40:13	43
აკადემია	16	13	1	2	38:9	40
ყვარელი	18	12	4	2	33:10	40
ჭაბუკიანი (-3)	18	12	1	5	29:19	34
ხალიბი	17	10	1	6	32:18	31
არსენალი 2	17	9	2	6	30:16	29
კახეთი	18	8	4	6	26:26	28
დინამო 3	18	8	3	7	30:24	27
ზოოვეტი	18	7	5	6	36:30	26
ალგეთი	18	7	1	10	28:34	22
უნივერსიტეტი იბერია	18	4	4	10	17:25	16
სამგორი	16	3	3	10	20:32	12
მრეტები	17	2	2	13	15:37	8
ქანაგკო (-3)	18	2	3	13	14:54	6
ალაზანი	18	1	2	15	14:54	5

აღმოსავლეთი. „ბ“ ქვეჯგუფი
XVI ტური
29 მარტი

ჟინერი 0:3 დილა 2
„დილა 2“-ს ჩაეთვალა მოგება
ივერია 3:1 ლოკომოტივი 2
1:0, 2:0 ხმალაძე (18, 26), 3:0 ზ. ფოფხაძე (68), 3:1 გ. ჯანელიძე (70)
გაფრთხილება: შათირიშვილი (ივერია)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

თორი 4:1 ვარძია
1:0, 2:0 ზარანდია (52, 54), 2:1 თ. ბურდული (68), 3:1 ზარანდია (70), 4:1 ქობესაშვილი (80)
გაფრთხილება: პ. ნოზაძე, მაზანაშვილი (ორივე თორი), შ. თარხნიშვილი, ლეკიშვილი, სოღოიანი (ყველა ვარძია)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

მესხეთი 2:1 იბერია
0:1 გ. სამხარაძე (2), 1:1 ზ. სიდამონიძე (52), 2:1 მერაბიშვილი (77)
გაფრთხილება: ნიქარიშვილი (მესხეთი), ნარმანია (იბერია)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

საუ 2:4 ცხინვალი
1:0 საბიაშვილი (35), 1:1 მარგიევი (54), 1:2 ბოჭორაძე (55), 1:3 ეჯოშვილი (58), 2:3 საბიაშვილი (85), 2:4 შ. ცხადაძე (89)
გაფრთხილება: გ. ჩიტაია, ტყემალაძე (ორივე ცხინვალი)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

განთიადი 0:3 დინამო 2
0:1 ხიზანიშვილი (57), 0:2 ლ. მელქაძე (69), 0:3 გივი კვარაცხელია (82)
გაფრთხილება: ჯალალი, შერმადინი, ფეიქრიშვილი (ყველა განთიადი), გივი კვარაცხელია (დინამო 2)
გაძევება: შერმადინი (60, განთიადი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

ცხუმი 1:1 ქარელი
0:1 მინაძე (83), 1:1 ყალიჩავა (87)
გაფრთხილება: მუშკუდიანი, ჭანტურიძე (ორივე ცხუმი), ხახიშვილი (ქარელი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

დინამო 2	15	13	0	2	41:12	39
ცხინვალი (-3)	16	13	1	2	44:12	37
ქარელი	16	11	2	3	34:11	35
ლოკომოტივი 2	16	10	2	4	45:25	32
ივერია	16	9	4	3	39:19	31
განთიადი	16	7	3	6	24:25	24
ცხუმი	16	6	3	7	31:25	21
იბერია	16	6	1	9	34:33	19
მესხეთი	15	5	4	6	25:30	19
თორი	16	5	1	10	21:27	16
საუ	16	4	4	8	25:35	16
დილა 2	16	4	2	10	25:37	14
ვარძია	16	1	3	12	11:47	6
ჟინერი	16	1	2	13	18:82	5

შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვს სამი ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშიერი კლუბები, უპერსპექტივო ნაკრები და ვალები, ვალები...

ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს. ამაში ახალი არაფერია. საფეხბურთო ბიზნესი ოცდამეერთე საუკუნეს აყვავებული ხვდება. ტრანსფერები, რეკლამები, ტელეტრანსლაციები, სპონსორები და ათასი რამ. ყველაფერს ფული მოაქვს. ამ უკანასკნელს კი საფეხბურთო მეურნეობის აღორძინება, აყვავება მოსდევს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ სამაგალითოთა ჩამონათვალში ქართული ფეხბურთი და ქართული საფეხბურთო მექანიზმი ვერანაირად მოხვდება. რატომ? იმიტომ, რომ ფულს დღეს დიდი საფეხბურთო ტრადიციების გულისთვის არავინ იძლევა. შენგან მხოლოდ ერთ რამეს ითხოვენ — შედეგს. ამისგან კი ქართული ფეხბურთი ერთობ შორს დგას. თავის მხრივ იგივე შედეგის მიღწევას, სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, ფულიც სჭირდება. ესე იგი, რა გამოდის, გაქვს ფული, მოდის შედეგი, გაქვს შედეგი, მოდის უფრო ბევრი ფული. დღეისათვის რეალურად რომ ავიღოთ, არც ფული გვაქვს, არც შედეგი და არც უფრო ბევრი ფული.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობიდან საკმაო დრო გავიდა

რთით, ფეხბურთელებით თუ გნებავთ მსაჯებითაც. მათ ფირმები, კორპორაციები, ორგანიზაციები და ათასი „ციები“ ბუზებივით ეხვევიან. მათი შედეგებია შთამბეჭდავი და იმიტომ. და ამ დროს განვითარებადი ქვეყნების განვითარებადი საფეხბურთო ორგანიზაციები გარკვეულწილად ამ მადლს მოკლებულნი არიან, ისევ და ისევ შედეგების უქონლობის გამო. ნურც იმას ვიტყვით, ქვეყანაში რა მდგომარეობაცაა, ფეხბურთიც ისეთივეაო. დიდი ხანი არ არ-ის გასული, რაც ყოფილ იუგოსლავიურ ქვეყნებში ომის ქარცეცხლი ტრიალებდა (ეს დღესაც გრძელდება), მაგრამ ამ ქვეყნების საფეხბურთო მეურნეობა სულაც არ დაქცეულა. ამის საუკეთესო მაგალითი მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატების დაკავებული მესამე ადგილია.

ჩვენთან, ღვთის მადლით, ბომბები არ ცვივა, მაგრამ უამისოდაც რომ თავზე გვენგრევა ქართული ფეხბურთი, ამას რა ვუყოთ?

მოდით, შევეშვათ ფულს. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ქართველი ფეხბურთისთვის თეთრსაც არ იმეტებს, მაშინ, როდესაც სფფ-ს ანგარიშზე რაც აქვს, ისიც გაყინულ-გათოშილია, იჭნებ სხვა გზა მოიძებნოს. დიდი ქართული საფეხბურთო ამბიციების დასაკმაყოფილებლად. კაცი ვერ დამარწმუნებს, რომ თურქულმა ფეხბურთმა საოცარ პროგრესს მხოლოდ დიდი კაპიტალდაბანდებით მიაღწია. საქმის კეთების დიდ სურვილსა და ენერგიას ჩვენმა მეზობლებმა პროფესიონალიზმიც შეაშველეს და შედეგიც მოიმკეს. ჩვენთან კი, მაშინ როდესაც ეროვნულ სტადიონზე ერთი ინდივიდუალური სკამის დამონტაჟებას 30 დოლარად „ახერხებ“, საკითხავია, გაქვს კი ამ დროს ფეხბურთის აღორძინების სურვილი? კაცი რომ პირად გამორჩენაზე დაიწყებს ფიქრს, სწორედ აქ ფუჭდება საქმე და რამდენი ასეთი ადამიანი ჩვენში?

მთავარზეც ვთქვათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობას ყველა მოუთმენლად ელოდა. დრომ მოიტანა, სფფ-ს შემადგენლობა შეცვლილიყო. ჯერი ახალზე მიდგა, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერ ახალს გულგატეხილი კაცი იმედით შეჰყურებს. მეოთხე ყრილობის შემდეგ ფედერაციის მუშაობიდან საკმაო დრო გავიდა საიმისოდ, რომ საქმიანობა შეფასდეს. მოდით, ვცადოთ იმის შეფასება, რაც დაუყოვნებლივ იყო გასაკეთებელი.

ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა ეს „საგარეო პოლიტიკის“ მოგვარება იყო. როცა სახელმწიფოსგან დახმარების მცირე იმედიც არ არსებობს, უნდა გაფორმებულიყო ხელსაყრელი კონტრაქტი უცხოელ პარტნიორთან, ისეთთან, დღეს მძლავრ სპონსორს რომ ვეძახით. ჩვენი მდგომარეობის გათვალისწინებით კი შევთანხმდეთ, რომ მძლავრი სპონსორის, ისიც ხელსაყრელი. პირობებით, მოძიება ერთობ რთული საქმეა. და მაინც, სპონსორი საჭირო იყო. აქ კი ძველი ფედერაციის სამართალმემკვიდრენი გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდნენ სფფ-ს „ტელესპორტთან“ გაფორმებული ძველი კაბალური კანტრაქტის სახით. ეს ხელშეკრულება 2007 წლამდე მოქმედებს და მის გაუქმებას ცოტა ხანგრძლივი და რთული პროცესები სჭირდებოდა. სფფ-ს ახალმა ხელმძღვანელობამაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და „ტელესპორტის“ წარმომადგენლებთან ერთად მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუჯდა. თუ რა გამოვიდა აქედან, თავად განსაჯეთ:

კონტრაქტის ვადის ხანგრძლივობას ორი წელი ჩამოაკლდა და ძალაში 2005 წლამდე დარჩა. ამასთან „ტელესპორტმა“ სფფ-ს 500 000 დოლარიანი უპროცენტო კრედიტი გამოუყო. ამ თანხის ნახევარი 2001 წელს უნდა დაიფაროს, ხოლო დარჩენილი — 2003 წლის ბოლოს. ამ სესხის გადასახდელად კი, უხეშად რომ ვთქვათ, სფფ ჯიბეზე ხელს არ გაიკრავს, თანხას ისევ იმ შემოსავლით გაისტუმრებენ, რომელსაც „ტელესპორტი“ ქართული მხარის საშუალებით მიიზიდავს.

გარდა ამისა, უცხოელმა პარტნიორმა ეროვნულ ნაკრებს მომავალ შესარჩევ ციკლში საგარეო თამაშებში მონაწილეობისათვის 120 000 დოლარი გამოუყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაკრებს ოთხი, მაქსიმუმ ხუთი ასეთი მატჩის ჩატარება მოუწევს, ეს თანხა სავსებით საკმარისია (მატჩზე 40-30 ათასი დოლარი), თუკი, რა თქმა უნდა, მიზანმიმართულად დაიხარჯა.

რაც შეეხება შემოსავალს, ეს ძირითადად საქართველოს ნაკრების მატჩების ტელეტრანსლირებიდან მიღებული თანხებია, ოღონდ „ტელესპორტს“ ამ შემთხვევაში თავისი მექანიზმი აქვს შექმნილი — დახვეწილ კონტრაქტში ჩამოთვლილია ევროპაში რეიტინგით პირველ თექვსმეტ საფეხურზე მყოფი ქვეყნები.

თითოეულ მათგანს გვერდით გარკვეული თანხა აქვს მიწერილი. მაგალითად, თუ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ ციკლში მეტოქედ გერმანიის ნაკრები გვერგება, ეს იმას ნიშნავს, რომ „ტელესპორტი“ გერმანელებთან მატჩების ტრანსლაციისთვის ავტომატურად გვირიცხავს 2 300 000 დოლარს. გერმანიის შემდეგ რეიტინგში მეორე ადგილზე იტალიაა. თუ შესარჩევში მეტოქედ ამ ქვეყნის ნაკრები შეგვხვდა, მაშინ 1 200 000 დოლარი გვეკუთვნის. რეიტინგში ბოლო რუსეთია და იგი 50 000 დოლარდაა შეფასებული. რაც შეეხებათ დანარჩენ ქვეყნებს, რომლებიც თექვსმეტეულში არ არიან, თითოეული მათგანის ჩვენს ქვეჯგუფში მოხვედრა ოც-ოცი ათას დოლარს შეგვმატებს.

არ შემიძლია არ დავეთანხმო ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს. ვალერი ჩოლარიამ განაცხადა, რომ ეს მაქსიმუმი იყო, რასაც სფფ-მ „ტელესპორტთან“ მოლაპარაკებისას მიაღწია. კი, ბატონო, კარგია, როცა ახლა, ქართული ფეხბურთის უმოქმედობის ჟამს, სფფ-მ ამდენი შეძლო. თავისთავად ფედერაციის ეს ნაბიჯიც მისასალმებელია, მაგრამ ყოველივე რომ ზღვაში წვეთია, ისიც ნათელია. აქ ორი მომენტია. პირველი: სახსარსმოკლებული ქართული ფეხბურთი იმის იმედად უნდა იყოს, რომ ქვეჯგუფში გერმანია ანაც იტალია შეგვხვდეს (სხვა ნაკრებები 100 000-დან 500 000-მდე არიან შეფასებულნი), სხვაგვარად მილიონებს არ იძლევიან. ამას კი თავის უარყოფითი მხარეც ახლავს. თუ ჯგუფში იტალიას ან გერმანიას დავუპირისპირდით, ბუნებრივია, ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსიც მინიმუმამდე შეგვიმცირდება. მეორე: სფფ-მ „ტელესპორტიდან“, უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა მილიონი დოლარი მოიზიდოს. აქედან ნახევარი კი, ცხადია, აღებული ვალის გასტუმრებას უნდა მოხმარდეს. და რა რჩება? 500 000 დოლარი.

ეყოფა კი ეს თანხა ამბიციამოჭარბებულ ქართულ ფეხბურთს?...

კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია და სფფ-ს პატარა ნაბიჯმაც ოპტიმისტურად განგვაწყო. თუმცა ჯერ კიდევ რამდენი რამ უნდა გაკეთდეს, დღევანდელი სურათი რომ შეიცვალოს — მისავათებული ეროვნული ჩემპიონატი, მშიერი კლუბები, უპერსპექტივო ნაკრები და ვალები, ვალები, ვალები...

საქმის „გამკეთებელი“ კაცის ამბავიც არ უნდა დაგვავიწყდეს — ეროვნული სტადიონი ჯერჯერობით სანახევროდ არის შევსებული 30-დოლარიანი სკამებით...

პაატა კვანტალიანი

ჩემპიონს ტურაც დაუხვდება

ფოთის „კოლხეთმა“ გუშინწინ ჩემპიონატის XX ტურის მატჩში წყალტუბოში იქაური „სამგურალი“ პრინციპულ მატჩში 1:0 კი დაამარცხა, მაგრამ ამ თამაშში ორი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა — ნეხევარმცველი ბესიკ ამაშუკელი და თავდამსხმელი გოჩა ტრაპაიძე. მიზეზი — ფეხბურთელებმა მატჩისწინა ვარჯიშზე ტრავმები მიიღეს, თუმცა როგორც თავად „კოლხეთის“ მწვრთნელმა“ გია ტყებუჩავამ გვითხრა:

— საშიში არაფერია. ამაშუკელს ფეხის კუნთი დაეჭიმა, ტრაპაიძემ კი უხარისხო მინდორზე ვარჯიშისას კოჭი გადაიბრუნა. ორივე უკვე ჯანმრთელადაა და სირბილითაც დარბიან. ამაშუკელიც და ტრაპაიძეც გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. თუმცა ალბათ მაინც მოვერიდები და ბიჭები შესაძლოა ერთი თამაშით დავასვენო კიდეც.

ფოთელებს უკვე 21-ე ტურში, 4 აპრილს „სამგურალზე“ არანაკლებ პრინციპული მატჩი ელით. სხვა თუ არა, ისინი ამ დღეს „ფაზისზე“ თვით უძლეველ ჩემპიონს და წლევანდელი ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს თბილისის „დინამოს“ მასპინძლობენ. თუ ამაშუკელმაც და ტრაპაიძემაც „დინამოსთან“ თამაში გამოტოვეს, ამით ალბათ ფოთელები დიდად დაზარალდებიან.

აქვე „კოლხეთში“ მომხდარ ერთ ცვლილებაზეც გეტყვით. გუნდში დაბრუნდა ვეტერანი ნუგზარ მიქაბერიძე, ოღონდ მწვრთნელად. იგი ტყებუჩავას თანაშემწედ იმუშავებს და თავის დიდ ცოდნა-გამოცდილებასაც გაუზიარებს ფოთელებს.

ბიორგი ვაშაკიძე

დიდავაც დინამოს დაუბრუნდა

ქუთაისის „ტორპედოში“ მიმდინარე მოვლენებზე პერიოდულად გაწვდიდით ინფორმაციებს. თუმცა ცნობა გივი დიდავას გატორპედოლების შესახებ ნაადრევი გამოდგა. როცა კლუბის ხელმძღვანელობამ ეს საქმე მოგვარებულად ჩათვალა, სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს თავის მოთხოვნები ბოლომდე არ დაუყენებია და კონტრაქტის გაფორმებაც მოულოდნელად გაჭიანურდა. ასე რომ, გივი დიდავას ქუთაისში თამაში გადაუჭრელ საკითხად დარჩა.

გუშინ კი შევიტყვეთ, რომ გადაწყდა, დიდავა თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდეს. გივი, ბოლო დღეებია, დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს და ჩემპიონთა მაისურის ხელახლა მორგებაში ხელს მხოლოდ ბელგიელები უშლიან. საქმე ისაა, რომ დიდავა ბელგიურ „რასინგ მეხელენზე“ დანარჩენ ქართველთაგან განსხვავებით უფრო დამოკიდებული ყოფილა. მისი „დინამოში“ თამაშიც ბელგიელთა ნებასურვილზეა. ყოველ შემთხვევაში ასეა მაისამდე, ვიდრე დიდავა თუნდაც დროებით ბელგიელთა საკუთრებაა.

გუშინ თსუ-სთან მატჩისას დიდავა „დინამოს“ ვერ დაეხმარა, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ბრიუსელიდან სატრანსფერო ფურცელი არ მოსულა. თუმცა, როგორც გივი დიდავა ვარაუდობს, კვირას „კოლხეთთან“ შეხვედრამდე ეს საკითხი აუცილებლად მოგვარდება.

ხვიჩა სანიკიძე

დავითნიძემ აქაურობას იქაურობა ამჯობინა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ხვალ კიდევ ერთ კარგ ფეხბურთელს მოისაკლისებს. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, თბილისის „დინამოს“ მცველმა გიორგი დავითნიძემ გადაწყვიტა, უკრაინელთა წინადადებას დათანხმებოდა. იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერის, ტერნოპოლის „ნივას“ ხელმძღვანელებს ჩვენებურისთვის ადრე დაუდგამთ თვალი. მათ დავითნიძის შესაძლებლობები ბოლოს 20 მარტს საქართველო — უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში შეუფასებიათ და კმაყოფილნიც დარჩენილან. ორი დღის წინ კი შეხმიანებიან და უთქვამთ, 31 მარტს გელითო. თუმცა წასვლას თავად გიორგი ჭოჭმანობდა. გვითხრა კიდეც, უკრაინისკენ გული მაინცდამაინც არ მიმიწევსო, თან დააყოლა, საბოლოო გადაწყვეტილებას ერთ დღეში მივიღებო. მიიღო კიდეც. ხვალ დავითნიძე ტერნოპოლს გაემგზავრება და „ნივასთან“ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. წესით, იგი უკრაინის გზას გუშინ უნდა დადგომოდა, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სატრანსფერო ფურცელი დროულად ვერ მიულია.

იმედია, გიორგი დავითნიძე „ნივაში“ მოთამაშე სხვა ხუთ ქართველ ფეხბურთელთან ერთად ტერნოპოლის კლუბს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარება.

ვანო ოქროპირიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და „მერანის“ მცველი გიორგი დავითნიძე (შუაში) უკრაინისკენ ეშურება

ბუბერი მიდის

სარგბილის არქივიდან

მანჩესტერელი პეტერ შმაიხელი მალე სხვა გუნდისთვის გადახტება

„მანჩესტერის“ დანიელი მეკარე პეტერ შმაიხელი მაისში კლუბს დატოვებს და კარიერას ან სულ დაასრულებს, ანაც საზღვარგარეთ გააგრძელებს. „მანჩესტერიდან“ წასვლის შესახებ ვეტერანმა გოლკიპერმა ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში განაცხადა, როდესაც საზიზღარ ფორმაში იყო და ინგლისელი ჟურნალისტებიც არ ინდობდნენ, მაგრამ მერე მდგომარეობა გამოსწორდა, შმაიხელმა რამდენიმე შეხვედრა, განსაკუთრებით მილანის „ინტერთან“ უმაღლეს დონეზე ჩაატარა (როგორც ახალგაზრდობაში, ისე) და მისი კლუბში დარჩენაზეც დაიწყო საუბრები. თუმცა „იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფის მარტინ ედვარდსის გუშინდელმა ნათქვამმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა:

— პეტერ შმაიხელი სეზონის ბოლოს დაგვტოვებს. მან განაცხადა, რომ ინგლისურ კარიერას ასრულებს და სხვა ქვეყანაში აპირებს თამაშის გაგრძელებას. ეს ფაქტია, თანაც სამწუხარო, მაგრამ ჩვენ ველარაფერს ვიღონებთ. ასე ინება თავად შმაიხელმა — ამბობს ედვარდსი.

მისივე თქმით, უახლოეს მომავალში „მანჩესტერიდან“ სხვა ფეხბურთელების წასვლა მოსალოდნელი არ არის, რადგან კლუბს მათთან ხანგრძლივი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ყველაზე „საშიში“ ამ მხრივ გუნდის კაპიტანი როი კინი გახლავთ, რომლის კონტრაქტის ვადაც გაისად იწურება.

— გაზეთებში დაიწერა, თითქოს ჩვენ კინთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდეთ. ეს სიცრუეა, რადგან ამის აუცილებლობა ჯერ არ არის. როდესაც საჭირო იქნება, მას მაშინ დაველაპარაკებით — ედვარდსის საუბარს კატეგორიული ელფერი დაჰკრავდა.

რაც შეეხება ბებერ შმაიხელს, ჯერჯერობით ერთადერთი კლუბია ცნობილი, რომელსაც მისი შეძენა სურს — იტალიური „რომა“.

ნოდარ კასრაძე

ალექს, დარჩი ჩვენთან

სარგბილის არქივიდან

„იუვენტუსს“ ალესანდრო დელ პიეროს შენარჩუნება 2004 წლამდე სწადია

„იუვენტუსმა“ გადაწყვიტა, ალესანდრო დელ პიეროსთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. ტურინული კლუბის წარმომადგენლები რამდენიმე დღეში ფეხბურთელს შეხვდებიან და მომავალზე ისაუბრებენ.

დელ პიერო ახლა ტრავმირებულია. ნოემბერში, „უდინეზესთან“ მატჩში ფეხბურთელი მძიმედ დაშავდა და მას შემდეგ ვერა და ვერ დაუბრუნდა ფეხბუროს. „იუვენტუსის“ ექიმების თქმით, დელ პიერო ტრავმას კი იშუშებს, მაგრამ მაისის პირველ რიცხვებამდე გუნდს ვერ დაუბრუნდება. სეზონი მას, ფაქტობრივად, ჩაუვარდა.

ფეხბურთელი დღესდღეობით ამერიკაშია. კოლორადოს ერთ-ერთ ჰოსპიტალში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და სარეაბილიტაციო კურსს გადის, თუმცა იტალიაში რამდენიმე დღეში დაბრუნდება. კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებები სწორედ მაშინ დაიწყება.

„იუვენტუსი“ დელ პიეროს გარეშე ვერ წარმომიდგენია. ალესანდრო პირტიტველა ბიჭი იყო, ჩვენთან რომ მოვიდა. იგი სწორედ აქ დავაუკაცდა. ჩემი დიდი სურვილია, იგი ჩვენს კლუბში კიდევ დიდხანს დარჩეს“ — ჯანი ანიელი „იუვენტუსის“ მეპატრონეა. მოხუცებული მთელ იმედებს დელ პიეროზე ამყარებს. ისე, მარტო ანიელის არ ეიმედება ფეხბურთელის.

90-იანი წლების „ბებერი ქალბატონი“ დელ პიეროს გარეშე მართლაც წარმოუდგენელია. ტურინულმა კლუბმა დიდებას სწორედ მას შემდეგ მიაღწია, რაც კლუბში ალესანდრო გამოჩნდა. ყმაწვილის გამოჩენას იტალიის ჩემპიონობა, ქვეყნის თასი და კიდევ უამრავი გამარჯვება მოჰყვა. ძნელი საფიქრებელია, რომ კლუბი ფეხბურთელს ადვილად შეელევა.

ყველაფერი მაინც მოთამაშეზეა დამოკიდებული. სწორედ იმ ფეხბურთელზე, რომელიც შესანიშნავ რობერტო ბაჯოს ამჯობინეს. არავინ იცის (თავად დელ პიეროს გარდა), რას გადაწყვეტს იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავი.

სეზონის შუაწელში ტურინული კლუბის ხელმძღვანელობას ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიმართა დელ პიეროს თაობაზე. ოლდტრეფორდელები „იუვენტუსს“ 25 მილიონ დოლარს სთავაზობენ, მაგრამ იტალიელებმა სარფიანი წინადადებისგან შორს დაიჭირეს თავი. „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმალ რომის „ლაციო“ მოჰყვა, მაგრამ მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა. შემდეგ „ინტერი“ გამოჩნდა.

ყველა შემთხვევაში სიტყვა სიტყვად დარჩა.

ფული ფეხბურთში, მოგეხსენებათ, ბევრს წყვეტს. მით უმეტეს, აპენინებზე, რომლის საფეხბურთო იმპერიაში ყოველწლიურად მილიონობით დოლარი ბრუნავს. იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა დიდი ნაწილი მილიონერია, რამდენიმე მათგანი წელიწადში რამდენიმე მილიონითაც ამდიდრებს საკუთარ ქონებას. თუმცა არც ისინი უჩივიან ბედს, რომელთა გასამრჯელო თუნდაც ასი ათასობით დოლარით შემოიფარგლება. ერთი სიტყვით, ფული, ფული და კიდევ ფული.

დელ პიეროს და „იუვენტუსის“ კავშირში ფულს დიდი ადგილი უკავია. კლუბმა ალესანდრო სერია A-ს ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცია. იგი წელიწადში 3 მილიონ დოლარს იღებს. მართალია, მისი ხელფასი „ინტერის“ ბრაზილიელ ვარსკვლავ რონალდოზე ზუსტად მილიონით ნაკლებია, მაგრამ თუ მან „იუვენტუსთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, იტალიის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება. საუბარია წელიწადში 5 მილიონ დოლარზე!

ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ყველაფერი კლუბის და ფეხბურთელის შეხვედრისას გაირკვევა.

ისე, როგორც ჩანს, ფული მარტო ჯოჯოხეთს არ ანათებს.

ირაკლი ილაშვილი

ფეხბურთის რუკასთან

დანიის ჩემპიონატის ერთი შეხვედრა ორშაბათს გაიმართა. „ლუნგბიუმ“ „ოლბორგს“ უმასპინძლა და მეტოქის დამარცხება ვერ შეძლო. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. დანიის ჩემპიონატს 19 თამაშიდან 40 ქულით კოპენჰაგენის „AB“ ლიდერობს. მეორე ადგილზე მყოფ „ბრონდბიუს“ ხუთი ქულით ნაკლები აქვს, ხოლო „ოლბორგი“ 33 ქულით მესამეა.

რუმინეთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი კლუბის, ბუქარესტის „დინამოს“ მწვრთნელი დუმიტრუ ტუმიტრიუ ორშაბათს თანამდებობიდან გადადგა. კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გეორგე კოპოსმა ოფიციალურად განაცხადა, რომ დუმიტრიუ „დინამოდან“ პირადი მიზეზის გამო წავიდა. რუმინული პრესის ცნობით, ბუქარესტის კლუბის მწვრთნელად მირჩა ლუჩესკუ დაინიშნება. მილანის „ინტერის“ ყოფილ თავკაცს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, თუმცაღა ცოტა ხნის წინ განუცხადებია, იტალიაში ძალიან დავიღალე, უნდა დავისვენოო.

ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებმა ორშაბათს ფორტ ოფ სპეინში იამაიკის ნაკრებს უმასპინძლა და ამხანაგური თამაში 2:0 მოიგო. მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. ჯერ 22-ე წუთზე დევიდ ნაკიდმა იყოჩაღა, 55-ზე კი შტერნ ჯონმა გაზარდა უპირატესობა. შეხვედრას 28 ათასი ქომაგი ესწრებოდა.

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ამოროზომ იტალიის სერია A-ს „უდინეზესთან“ კონტრაქტი გააახანგრძლივა. გუნდის გენერალური დირექტორის, პიერპაოლო მარინოს თქმით, ახალი ხელშეკრულების თანახმად ფეხბურთელი მათთან 2004 წლამდე დარჩება. ამოროზოთი, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 14 გოლი გაიტანა, რამდენიმე ესპანური და იტალიური კლუბია დაინტერესებული, თუმცაღა „უდინეზეს“ ხელმძღვანელობა ბრაზილიელის გაშვებას არ აპირებს.

გერმანიის მესამე ბუნდესლიგის კლუბ „ლაიფციგის“ მწვრთნელად, ყველასთვის მოულოდნელად, ცნობილი დრაგოსლავ სტეპანოვიჩი დაინიშნა. „ლაიპციგმა“ ეს ცნობა ორიოდ დღის წინ გაავრცელა. 50 წლის სტეპანოვიჩმა ფრანკფურტის „აინტრახტსა“ და ლევერკუზენის „ბაიერში“ მუშაობით გაითქვა სახელი. ბოლო ხანებში იგი ბერძნულ აეკ-ს წვრთნიდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო გუნდიდან წავიდა. „სანამ დედ-მამას ბელგრადიდან არ გამოვიყვან, ვერ ვიმუშავებ“ — განაცხადა წარმოშობით სერბმა მწვრთნელმა. სტეპანოვიჩის მშობლები ბელგრადის გარეუბანში ცხოვრობენ.

ინგლისის „ასტონ ვილას“ თავდამსხმელმა დიონ დაბლინმა მუხლის ოპერაცია სეზონის ბოლოსთვის გადადო. დიონ დაბლინი, რომლის მიწვევასაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი აპირებდა, ამ ბოლო დროს დაითარსა — „ასტონ ვილაში“ პირველ რვა თამაშში ცხრა გოლი გაიტანა, ახლა კი ტრავმა ტანჯავს. ექიმებმა დაბლინს ურჩიეს, ოპერაცია არ გადაიდო, მაგრამ თავდამსხმელმა კლუბის დახმარება მოიწადინა.

ესპანელი ფეხბურთელი დანიელ გარსია შესაძლოა ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „შეფილდ უენსდეიში“ გადავიდეს. „მალიორკას“ თავდამსხმელი დანი უახლოეს დღეებში შეფილდს ეწვევა და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს გამართავს. ინგლისელები მზად ყოფილან, მოთამაშის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი გადაიხადონ. გარსიას თავისთან ხილვა ლონდონის „არსენალსაც“ უნდოდა.

აშშ-ს ფეხბურთელ ქალთა ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, პასადენაში მექსიკის ნაკრებს უმასპინძლა და 3:0 მოიგო. ბურთები ჯული ფოუდიმ და კრისტიან ლილიმ (ორი) შეაგდეს. ლილის ორივე გოლი მია ჰემის გადაცემით გავიდა. შეგახსენებთ, რომ ჰემს აშშ-ს ნაკრებში 104 გოლი აქვს გატანილი, სანაკრებო დონეზე ყველაზე შედეგიანი კი იტალიელი ელიზაბეტა ვინოტო გახლავთ 107 გოლით. მან ფეხბურთს 80-იან წლებში დაანება თავი.

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ყოფილი მცველი ელვინ მარტინი ქვეყნის მესამე დივიზიონის კლუბ „საუთენდს“ აღარ წვრთნის. ბოლო მატჩი „საუთენდმა“ შინ „ჰალთან“ წააგო 0:1 და საფეხბურთო ლიგიდან გავარდნის საფრთხე დამუქრა, მწვრთნელმაც წასვლა არჩია. კლუბის ხელმძღვანელების განცხადებით, მარტინს, რომელიც 1997 წლის ივლისში აირჩიეს „ვეტ ჰემ იუნაიტედის“ თავკაცად, თანაშემწე მიკ გულინგი შეცვლის.

გერმანიის ბუნდესლიგიდან გავარდნილი „კიოლნის“ თავკაცად შესაძლოა როსტოკის „ჰანზას“ ყოფილი თავკაცი ევილდ ლინენი დაინიშნოს. „კიოლნის“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა, 80-იანი წლების ბუნდესნაკრების ვარსკვლავმა ბერნდ შუსტერმა თქვა, რომ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს „კიოლნს“. „კიოლნის“ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ლინენთან ყველაფერი შეთანხმებულია და კონტრაქტი მალე გაფორმდება. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის არსებობის მანძილზე „კიოლნი“ პირველად დაქვეითდა.

ინგლისის „ლესტერმა“ უარყო ხმები, თითქოსდა კლუბი მწვრთნელ მარტინ ონილთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. „ლესტერის“ ხელმძღვანელობა ონილთან ხელშეკრულებას მანამ არ გაახანგრძლივებს, სანამ არ გაირკვევა, დარჩება თუ არა კლუბი გაისად პრემიერლიგაში. მარტინ ონილმა, რომელსაც სეზონის წინ „ლიდსი“ და „ევერტონი“ ეპატიჟებოდნენ, კომენტარისგან თავი შეიკავა.

გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის, ტომას ჰელმერის შეძენა „მიუნხენ 1860“-მა მოიწადინა. ჰელმერი, რომელმაც 1995 წელს ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში თბილისშიც ითამაშა, ამჟამად მიუნხენის მეორე კლუბის, „ბაიერნის“ მოთამაშეა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება. „მიუნხენ 1860“ 34 წლის მცველს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს და იგიც, ალბათ, დაყაბულდება წინადადებას.

საფრანგეთის ნაკრების მცველი ფრანკ ლებეფი, რომელმაც ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, დათანხმდა, თავის კლუბთან, ლონდონის „ჩელსისთან“ კონტრაქტი გაუხანგრძლივებინა. ლებეფი „ჩელსიმ“ 1996 წელს შეიძინა ფრანგული „სტრასბურიდან“. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ფეხბურთელის გასამრჯელო წელიწადში 1,5 მილიონი დოლარი იქნება.

სარგბილის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ინგლისი

I დივიზიონი

ვულვზი 3:0 ძრიუ

1:0 რობინსონი (14), 2:0 ფლო (25), 3:0 მუსკატი (78პ)

სანდერლენდი	38	25	10	3	74:23	85
იფსვიჩი	38	22	7	9	54:25	73
ბრედფორდი	38	21	7	10	66:39	70
ბირმინგემი	38	19	11	8	59:31	68
ბოლტონი	37	17	13	7	68:50	64
ვულვზი	38	17	11	10	56:37	62
შეფილდ იუნ.	38	15	11	12	61:56	56
ჰადერსფილდი	39	14	13	12	55:61	55
უოტფორდი	38	14	13	11	51:50	55
ვესტ ბრომვიჩი	38	15	8	15	61:59	53
გრიმსბი	36	15	8	13	36:39	53
კრ. პალასი	39	13	13	13	53:59	52
ნორვიჩი	38	12	14	12	51:52	50
ტრანმერი	39	11	16	12	53:51	49
ბარნსლი	39	11	15	13	49:47	48
სტოკპორტი	38	10	15	13	43:47	45
პორტსმუთი	39	10	13	16	50:60	43
სვინდონი	38	10	10	18	51:67	40
ქუინზ პარკი	37	10	10	17	41:47	40
ოქსფორდი	39	9	11	19	39:63	38
ბერი	38	7	15	16	29:51	36
პორტვეილი	37	10	5	22	38:68	35
ქრიუ	38	8	9	21	43:74	33
ბრისტოლი	37	5	14	18	45:70	29

ბრაზილია

პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

მეორე წრე

III ჯგუფი

რიო ბრანკო 1:2 სანტოსი
სან პაულუ 4:0 მოგი მირიმი
მატონენსე 4:0 გუარანი
ლიმეირა 1:0 სანტისტა
პორტუგეზა 1:5 ბარბარენსე
პალმეირასი 3:1 კორინთიანსი

სან პაულუ	5	4	1	0	16:4	13
პალმეირასი	5	4	1	0	11:4	13
მატონენსე	5	3	1	1	14:8	10
ლიმეირა	4	3	1	0	7:3	10
პორტუგეზა	5	3	0	2	9:10	9
რიო ბრანკო	5	2	1	2	13:9	7

IV ჯგუფი

სანტოსი	5	2	2	1	7:6	8
კორინთიანსი	4	2	0	2	8:8	6
ბარბარენსე	5	1	1	3	8:9	4
გუარანი	5	0	1	4	6:13	1
სანტისტა	5	0	1	4	5:15	1
მოგი მირიმი	5	0	0	5	4:19	0

პირველ ეტაპზე გუნდები პირველ და მეორე ჯგუფებში იყვნენ განაწილებულნი. მეორე წრეში შეიქმნა მესამე და მეოთხე ჯგუფები. ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ერთმანეთს ორჯერ ხვდებიან, ხოლო სხვა ჯგუფის წარმომადგენლებს — ერთხელ. თითო ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში გადის.

კარიოკას (რიო დე ჟანეიროს შტატი) ჩემპიონატი

პირველი წრე

ვასკუ და გამა 3:2 ამერიკანო
ბოტაფოგო 0:1 ფლამენგო
იტაპერუნა 0:1 მადურეირა
ოლარია 1:4 ბანგუ
ფრიბურგენსე 1:2 ფლუმინენსე

ვასკუ და გამა	5	5	0	0	16:4	15
ფლამენგო	5	5	0	0	11:2	15
ფლუმინენსე	5	4	0	1	13:8	12
ბანგუ	5	2	1	2	9:9	7
ფრიბურგენსე	5	2	1	2	6:6	7
ოლარია	5	2	0	3	8:12	6
მადურეირა	5	1	1	3	3:6	4
ბოტაფოგო	5	1	1	3	3:5	4
ამერიკანო	5	1	0	4	6:12	3
იტაპერუნა	5	0	0	5	2:13	0

კოპა დო სულის გათამაშება

D ჯგუფი

ინტერნასიონალი 2:0 გრემიო

E ჯგუფი

პარანა 1:0 ატლეტიკო პარანაენსე

D ჯგუფი

ატლეტიკო	4	2	1	1	6:2	7
პარანა	3	1	2	0	3:2	5
კორიტიბა	3	0	1	2	1:6	1

E ჯგუფი

გრემიო	4	1	2	1	7:6	5
ინტერნასიონალი	4	1	2	1	5:5	5
ჟუვენტუდი	4	1	2	1	7:8	5

გრემიო ფინალში გავიდა.

ჯგუფში გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

შავი ღრუბლები

ანდრეას მიოლერი

სარბიელის არქივიდან

გერმანიაში კვლავ საუბრობენ დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველის ანდრეას მიოლერის სანაკრებო კარიერის დასრულებაზე. ფაქტობრივად, ბოლო ხანებში იგი განცხადშიც კი აღარ შეჰყავთ და ამ საუბრებსაც, ბუნებრივია, აქვს თავისი საფუძველი.

— არანაირ სიბრალულს მის მიმართ არ ვგრძნობ. მწვრთნელს უნდა სჯეროდეს იმ ფეხბურთელების, რომლებსაც იძახებს, უნდა ენდობოდეს მათ. მიოლერის და ერიხ რიბეკის შემთხვევაში კი, ეტყობა, ეს ასე არ არის — თქვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა ყველაზე ხანდაზმულმა მოთამაშემ ლოთარ მათეუსმა, რომელსაც ნაკრების მაისური არც მეტი, არც ნაკლები, 134-ჯერ მოურგია.

შაბათს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში ჩრდილოირლანდიელებთან გრიპის ვირუსთან მებრძოლი მიოლერის ადგილი „ნიუკასლის“ ლეგიონერმა დიტმარ ჰამანმა დაიკავა და მშვენივრადაც ითამაშა, რამაც უფრო შეასუსტა გამოცდილი შუახაზელის ეროვნულ გუნდში დაბრუნების შანსი.

განსაკუთრებული კრიტიკა 31 წლის მიოლერს შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე დაატყდა თავს და როდესაც გერმანელებმა მეოთხედფინალში სამარცხვინოდ წააგეს დებიუტანტ ხორვატებთან 0:3, ფეხბურთელმა თქვა, რომ ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს. თუმცა სექტემბერში გერმანელთა სათავეში ცვლილება მოხდა — ბერტი ფოგთსი ერიხ რიბეკმა შეცვალა და მანაც მიოლერს სთხოვა, გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო.

შემდეგ, ამა წლის თებერვალში, გერმანელები კიდევ ერთხელ შერცხვნენ საქვეყნოდ — ამხანაგურ შეხვედრაში აშშ-ს ნაკრებთან დამარცხდნენ 0:3. იმ მატჩში მიოლერი საერთოდ არ ჩანდა, ბევრმა წაგება სწორედ მას დაბრალა და კვლავ აგორდა ანტიმიოლერული ტალღა. საფეხბურთო წრეებში მოფუსფუსეთა უმრავლესობა თვლის, რომ რიბეკმა მას საბოლოოდ მიუხურა ფეხბურთელისთვის ყველაზე ძვირფასი კარი.

რამდენიმე დღის წინ პოპულარულმა გამოცემამ „შპორტ ბილდმა“ გამოკითხვა ჩაატარა ბუნდესლიგაში მოღვაწე ყველა კლუბის მოთამაშეთა და მწვრთნელთა შორის. მათ მოქმედი ფეხბურთელებისგან გერმანიის იდეალური ნაკრები უნდა შეედგინათ. ეს გამოკითხვა მიოლერისთვის სავალალო გამოდგა — იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთ ვარიანტში მოხვდა.

ასე რომ, წარსულში ფრანკფურტის „აინტრახტისა“ და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველის თავზე საკმაოდ მუქი ფერის ღრუბლებმა მოიყარეს თავი. არადა, მიოლერს ნაკრებში თამაშის უდიდესი გამოცდილება გააჩნია — 85 მატჩი და 30 გოლი. ამავდროულად, მავანთა მიერ მოღალატედ და დაშმეხად შერაცხული (ალბათ, ასეც არის) კაცი 1990 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონია, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთის ფინალში მონაწილეობა არ მიუღია.

ნოდარ კასრაძე

წადი შვილო, წადი

კარლოს როა, არგენტინის ნაკრებისა და ესპანეთის „მალიორკას“ მეკარე, სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთიდან წასვლას აპირებს. ცოტა არ იყოს, უცნაურია.

როა დღესდღეობით არგენტინის საუკეთესო მეკარედ ითვლება. მსოფლიოში პირველობაზე პრეტენზიას არ აცხადებს, თუმცა ამის სურვილი თავად არ ჰქონია. როა თვლის, რომ პოპულარობა ეშმაკეულია.

იგი ძალიან მორწმუნეა. იმდენად მორწმუნე, რომ დღე-ღამეს ლოცვაში ატარებს.

ექტორ რაულ კუპერი, „მალიორკას“ მწვრთნელი: „კარლოს როა ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ამქვეყნიური ცხოვრება საიქიოსკენ გზად მიაჩნია. როა ძალიან რელიგიურია. კლუბში ამას ყველა შეეჩვია. რატომ გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა, ვერ გეტყვით, მაგრამ ამის მიზეზი, ალბათ, სწორედ მის რელიგიურობაში უნდა ვეძიოთ“.

გაზეთ „მარკას“ ცნობით, როა ფეხბურთიდან იმიტომ მიდის, რომ ამქვეყნიური ცდუნებები უარყოს.

საბოლოოდ სამხრეთამერიკელს ჯერ არ გადაუწყვეტია, დაანებებს თუ არა თავს ფეხბურთს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, იგი წავიდეს.

სარბიელის არქივიდან

...მე მადრიდში მოვკვდე, დავიმარხო

— **არსადაც** არ მივდივარ. მე „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი ვარ, კლუბში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და კარიერის ბოლომდე, ალბათ, აქ ვითამაშებ — ბრაზილიელი გამთამაშებელი ჟუნინიო არსად წასვლას არ აპირებს.

25 წლის მოთამაშის გარშემო ამ ერთი თვის წინ დიდი ამბავი იყო ატეხილი. „ატლეტიკოს“ ყოფილ მწვრთნელთან, იტალიელ არიგო საკისთან უთანხმოების გამო ჟუნინიომ კლუბი ლამის მიატოვა, მაგრამ საკი თავად წავიდა, ფეხბურთელი კი დარჩა. მადრიდული გუნდი ახლახან რადომირ ანტიჩმა ჩაიბარა, ახალი მწვრთნელი კი ჟუნინიოს იმედზეა. ბრაზილიელი ამას გრძნობს და „ატლეტიკოსთან“ ახალ კონტრაქტზე გაფორმრებას სწორედ ამიტომ აპირებს.

— მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ მინდა, ერთი რამ დანამდვილებით ვიცოდე — მსურს, ბოლომდე „ატლეტიკოს“ ფეხბურთელად დავრჩე. ამას დოკუმენტებშიც დავადასტურებ — ისევ ჟუნინიო.

მას ინგლისური კლუბები ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ეხბურთელმა ნისლიან ალბიონზე დაბრუნება არ ისურვა. სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინ „ატლეტიკო“ ინგლისს სტუმრობდა და „მიდლსბროს“ ამხანაგურად ეთამაშა (მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა), ინგლისური გუნდის ხელმძღვანელობამ კი დრო იხელთა და ჟუნინიოს თავისთან გადასვლაზე ჩამოუგო სიტყვა.

თუ რატომ, ამაზე ზემოთ ვთქვით.

არაო, უპასუხა ჟუნინიომ.

გრემი იქა, რეი აქა

დაახლოებით ერთი თვის წინ გრემ რიქსსა და მის ვაჟკაცობებზე გიამბეთ. ახლა მხოლოდ მოკლედ შეგახსენებთ, რომ ლონდონის „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის 41 წლის თანაშემწემ შარშან თებერვალში დასავლეთ ლონდონში ერთი არასრულწლოვანი გოგონა გამოიჭირა და მასთან იმ დღეს და შემდგომში რამდენჯერმე ძალით დაიკმაყოფილა მოზღვავებული ტემპერამენტი.

მერე ეს ამბავი გახმაურდა და რიქსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა გაუპატიურების მუხლით.

და აი, სასამართლომ წარსულში ინგლისის ნაკრების ფეხბურთელსა და დედაქალაქურ „არსენალში“ ინგლისის ასოციაციის თასის მფლობელს განაჩენი გამოუტანა, ცოტა არ იყოს, მსუბუქი — რიქსმა ვირის აბანოში ერთი წელი უნდა იყურყუტოს, ხოლო თუ იქ კარგად მოიქცევა, შეიძლება ექვს თვეშიც იგემოს თავისუფლების სიტკბო.

ინგლისურმა გაზეთებმა უმალ დაუთმეს ამ ისტორიას ძვირფასი ადგილი — პირველი გვერდი. რიქსის ფოტოები დაბომბილი იუგოსლავიის ფოტოების გვერდით მოექცა. აქვეა „ჩელსის“ თავკაცის და ფეხბურთელთა მხარდამჭერი წერილიც, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისაა — ძმაო გრემ, ჩვენ შენთან ვართ და როგორც კი „სვაბოდაზე“ გამოხვალ, იმწუთასვე ძველ თანამდებობაზე დაგაბრუნებთო.

სარბიელის არქივიდან

მოძალადე გრემ რიქსი ლონდონის სასამართლოდან გაწბილებული დაადგა ციხისკენ მიმავალ გზას

რიქსის გათავისუფლებამდე კი მის მოვალეობას „ჩელსის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი რეი უილკინსი შეასრულებს. უილკინსი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურიც მოვირგე და „მილანისაც“, „ჩელსი“ ჩემს უდიდეს სიყვარულად რჩება და აქ მუშაობის პერსპექტივა ძალიან მხიბლავსო.

დავით კოვზირიძე

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სარბიელის არქივიდან

ლოთარ მათეუსი

ორი შესაძლო, საინტერესო გარიგება

ბერტი ფოგთსი შეიძლება ნაკრების თავკაცად დაინიშნოს. მშობლიური გერმანიის არა, მას ავსტრიელი ფეხბურთელების გაწვრთნას სთავაზობენ. როგორც იცით, ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის მატჩში ავსტრიელებმა ვალენსიაში საქვეყნოდ მოიჭრეს თავი — ამ ტურნირის პირველ წრეში კვიპროსელთაგან ძლეულ ესპანელებთან 0:9 წააგეს. შეხვედრის შემდეგ ავსტრიელთა თავკაცის, ჰერბერტ პროჰაზკას საქციელი ბუნებრივი და ცივილიზებული გახლდათ — იგი გადადგა.

რაც შეეხება ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელთა არცთუ იღბლიან წინამძღოლ ფოგთსს, მისი კანდიდატურა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის (DFB) მხცოვანმა პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა თავის ავსტრიელ კოლეგა ბეპო მაუჰარტს საშრეთ გერმანიის პატარა ქალაქ ჰერცოგენაურახში სადილობისას შესთავაზა — იუწყება გაზეთი „ბილდი“.

— ეს ავსტრიისთვის საუკეთესო ვარიანტია. ფოგთსმა რომ პროჰაზკას ადგილი დაიკავოს, ამით ავსტრიელი ფეხბურთი მხოლოდ მოიგებს. ბერტი ძალიან გამოცდილი სპეციალისტია და მას ძალუძს, ძირეულად შეცვალოს იქაური ფეხბურთის სტრუქტურა — უთხრა ბრაუნმა „ბილდის“ ჟურნალისტს.

ასე რომ, მალე შეიძლება საინტერესო გარიგება შედგეს.

ახლა მეორე ამბავზეც ვთქვათ, რაშიც ისევ და ისევ „ბილდი“ დაგვეხმარება. უინტერესო არც ეს გახლავთ. საქმე ის არის, რომ თუ გერმანიის ეროვნული გუნდის თავკაცი, ხანშესული ერიხ რიბეკი თანამდებობიდან წავა, სავსებით შესაძლებელია, იგი ლოთარ მათეუსმა შეცვალოს. ასე სურს ფრანც ბეკენბაუერს, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტსა და DFB-ს ვიცე-პრეზიდენტს. ხოლო რაც ბეკენბაუერს სურს, როგორც წესი, ისე ხდება ხოლმე. მოვუსმინოთ მას:

— მჯერა, ლოთარი სავსებით შესაფერისი კანდიდატურაა და მას ბევრი მხარდამჭერიც ეყოლება. მან იცის, როგორ „წაიკითხოს“ თამაში, შემდეგ კი გააანალიზოს და პრაქტიკული ცვლილებები შეიტანოს. მწვრთნელის ყველაზე დიდი პლუსი სწორედ ეს გახლავთ.

ესეც ასე. მალე შეიძლება, მეორე საინტერესო გარიგებაც შედგეს.

— კონსტანტინ ივანიჩ, მე ჟურნალისტი გახლავართ თბილისიდან. აქ სრულიად შემთხვევით შეგხვდით და რამდენიმე წუთს თუ დამითმობთ, ფრიად მადლიერი დაგრჩებით. დიდად არ შეგაწუხებთ.

ბესკოვი კარგად დამაკვირდა და თავისთვის რაღაც წყნარად ჩაილაპარაკა. რამდენიმე წამს ჩუმად იჯდა და შემდეგ მომმართა:

— დილიდან აქ ვზივარ. ჯერ იმდენ ხანს მაცდევინეს, შემდეგ ნახევარი საათით გავედი, ექიმთან უნდა მივსულიყავი. მოვბრუნდი და გასულიაო მითხრეს. რას გავს ეს?

ბესკოვი მოღუშული სახით იჯდა. ვფიქრობდი რა მეთქვა ისეთი, რომ როგორმე საუბარში ჩამეთრია.

— როგორ, განა თქვენც გხვდებათ ასეთი პრობლემები?

— ჩვენს დროში აღარაფერია წარმოუდგენელი. ხალხი აღარც ასაკს სცემს პატივს და აღარც დამსახურებას. ფულია მთავარი. სხვა ყველაფერმა აზრი და ძალა დაკარგა. ასეა, ფასეულობები იცვლება. თქვენ რისი გაგება გნებავთ ჩემგან? თქვენთან რა ხდება საინტერესო?

მოკლედ მოვახსენე საქართველოში არსებული საერთო სიტუაციის შესახებ და ამის შემდეგ ჩვენს ხანმოკლე საუბარს მხოლოდ მრავალრიცხოვანი სატელეფონო ზარები და მდივნის უკმაყოფილო კომენტარები არღვევდა.

— როგორ ბრძანდებით კონსტანტინ ივანიჩ?

— ზუსტად ისე, როგორც ჩემი ასაკის და მდგომარეობის კაცს შეეფერება. ხომ ხედავთ, წამლებით დავდივარ.

— განა ეს არის იმის მიზეზი, რომ მწვრთნელობას თავი დაანებეთ?

— რა თქმა უნდა მწვრთნელს, და მეტადრე კი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელს, დიდებული ჯანმრთელობა უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში. მაქსიმუმ, რასაც ვახერხებ, ხანდახან კონსულტაციებს ვუწევ სხვადასხვა ადამიანებს. თუმცა ბოლო დროს ამასაც სულ უფრო და უფრო იშვიათად ვაკეთებ.

— რატომ? დახმარებისთვის ნაკლებად მოგმართავენ?

— საქმე ამაში არ არის. უბრალოდ, რამდენიმეჯერ იყო შემთხვევა, როდესაც ჩემი კონსულტაციების შემდეგ მწვრთნელებმა, რომლებსაც ცუდად წაუვიდა საქმე, ჩემზე მიუთითეს, ამ კაცმა გვითხრა და ვენდეთო. თითქოს მხოლოდ კონსულტაციით გუნდს რამის მიღწევა შეეძლოს.

— ასე თუ ისე, თანამედროვე სპორტული მოვლენების საქმის კურსში მაინც ხართ?

— განა შემიძლია ამის გარეშე? მე ხომ მთელი ცხოვრება ფეხბურთში გავატარე. ის კი არა, ხანდახან ისე ვლელავ, რომ ტელევიზორის ჩართვასაც მიკრძალავენ. მეც პირდაპირ სტადიონზე მივდივარ. ეს ჩემი გარემოა და იქ თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ.

— ვთქვათ რუსეთის ნაკრების მწვრთნელობა რომ შემოგთავაზონ, თქვენთვის მაქსიმალურად მისაღები პირობებით, უარს იტყვით?

— რას ამბობთ. ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

— თანამედროვე რუსულ ფეხბურთში შექმნილი სიტუაციის შესახებ რას იტყვით?

— მოვლენები მეტად სწრაფად და ვითარდება. ეს არის ყველაზე სწორი შეფასება. თუ როგორ ვითარდება, ეს უკვე სხვა საქმეა. როგორ შეიძლება საქმე კარგად იყოს, როდესაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი სულ ახალი დაწყებულია და ნაკრებს უკვე პრაქტიკულად გადაწურული აქვს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი.

— ეს ასეა, მაგრამ კლუბები? თქვენ მიგაჩნიათ, რომ მათ არ განიცადეს გარკვეული პროგრესი?

— ამას ვერ უარვყოფ, მაგრამ ეს პროგრესი 4-5 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით გახლავთ. ჩვენი კლუბების დონე ვერ შეედრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოასპარეზეთა დონეს. თანაც სულ რამდენიმე კლუბი თუ მოძლიერდა, თორემ ძირითადი მასა კვლავაც საშინელ მდგომარეობაშია. განა თქვენთანაც ასე არ არის? საერთოდ საკავშირო ჩემპიონატის დაშლამ ჩვენი დონე ძლიერ დაწია.

კონსტანტინ ბესკოვი: მოთამაშეთა შერჩევისას ეროვნული ნიშნით არასდროს მიხელმძღვანელია

მოსკოვში მივლინებისას სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გენერალური მდივნის მოადგილესთან დამჭირდა მისვლა, კარგა მოზრდილ მოსაცდელში რამდენიმე კაცი იჯდა და ჩუმად საუბრობდა. მდივანმა ამ ქალაქის მცხოვრებთათვის ჩვეული „თავაზიანობით“ მომიგო: ხომ ხედავთ, სხვებიც უცდიან. ეგ კაცი ძალიან დაკავებულია. ყველასთვის კი ვერ იცლისო და ისევ თავის ქალაქდებში ჩარგო თავი. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ჭიდილს აზრი არ ჰქონდა, წყნარად დავჯექი და დავიწყე ცდა. სიტუაციამ რაღაცით ქართული ფილმის „ციხფერი მთები“-ს სიუჟეტი მომაგონა განუმეორებელი ვაჟა ზაზაევიჩით. ცალი თვალით მოპირდაპირე კუთხეში მსხდომ სამ მამაკაცს გადავხედე და ჩემდა გასაკვირად კონსტანტინ ბესკოვი შემრჩა ხელში. ბესკოვი ბოლოს რამდენიმე წლის წინ თანამეგობრობის თასზე მყავდა ნანახი და იმასთან შედარებით მაინცდამაინც არ იყო შეცვლილი. არ ვიცი რამდენად სერიოზული იყო ხმები კონსტანტინ ბესკოვის ძმიმე ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ის არც თუ ურიგოდ გამოიყურებოდა.

ვიჯექი და ვფიქრობდი, მივსულიყავი თუ არა. ბესკოვი ისეთი გატაცებით საუბრობდა, რომ ნამდვილად არ მომაქცევდა ყურადღებას. თუმცა მცირე ხნის შემდეგ სახელოვანი მწვრთნელის თანამოსაუბრეები წამოდგნენ და გარეთ გავიდნენ. ბესკოვი მარტო დარჩა.

სარბიელის არქივიდან

საბჭოთა კავშირის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი

— რუსეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთაგან ვის გამოყოფდით?

— თქვენგან რუსეთში საკმაოდ კარგი ნაკადი მოედინება, თუმცა როგორც წესი ისინი აქ არ ჩერდებიან. საქართველოდან ფეხბურთელთა იმპორტს ჩვენში ძირითადად „ალანია“ აწარმოებს. ამჟამად ძალიან მომწონს დემეტრაძე, რომელიც შარშან კარგად ჩაერთო რუსეთის პირველობაში, მაგრამ ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია უდავოდ უძლიერესია. თანაც მე მისი ერთგულებაც კარგად მენიშნება. კარგია, რომ ის საზღვარგარეთის რომელიმე საშუალო კლუბში გაქცევას და ფულის შოვნას არ ჩქარობს.

გამახსენდა. გარდა ამისა, ძალიან მოხარული ვიყავი, როდესაც რუსეთში დავით ყიფიანმა დაიწყო მუშაობა. ყიფიანი უაღრესად მოაზროვნე ფეხბურთელი იყო და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მისგან კარგი მწვრთნელი გამოვიდოდა. ასეც მოხდა, დათომ „შინიკი“ აშკარა გავარდნას გადაარჩინა.

— თანამედროვე ქართულ ფეხბურთზე თუ გაქვთ რამე წარმოდგენა?

— მეტ-ნაკლებად, პირადად მე ძალიან მომეწონა თბილისის „დინამო“, რომელიც თანამეგობრობის თასის გათამაშებაზე ჩამოვიდა და მხოლოდ ფინალში დამარცხდა „სპარტაკთან“. იმ ფეხბურთელებს მეტისთვის უნდა მიეღწიათ, ყოველ შემთხვევაში მაშინ ასე ჩანდა. მოსკოვშივე ვიხილე „აიაქსი“ და მისი შოთა არველაძე. სიმართლე გითხრათ, მისგან მეტს ველოდი.

— იმ სეზონში არველაძე აიაქსის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

— შეიძლება. არ ვიცი, როგორ თამაშობს არველაძე „აიაქსში“. მე ვხელმძღვანელობ იმ შთაბეჭდილებებით, რომლებიც იმ ორმა შეხვედრამ დამიტოვა.

— კონსტანტინ ივანიჩ, არ შეიძლება არ გკითხოთ იმ ფაქტების შესახებ, რომელიც საქართველოში კვლავინდებურად ჩინებულად ახსოვთ, ისე, თითქოს ეს სულ ახლახანს მომხდარიყო. საუბარი ეხება 80-იანი წლების ქართველ ფეხბურთელებს და უპირველესყოვლისა კი თქვენს მიერ ნახსნებ დავით ყიფიანს...

— ვიცი, ვიცი. ეს მოჭმული თემაა, რომელსაც უამრავი ჭორები მოყვა და მათ სიმართლესთან არაფერი აქვთ საერთო. მე ეროვნული ნიშნით მოთამაშეთა შერჩევისას არასოდეს მიხელმძღვანელია და რატომ უნდა მეხელმძღვანელა ყიფიანის შემთხვევაში? ამის კითხვა არ გინდოდათ?

— დაახლოებით.

— გახსოვთ, რამდენი თბილისელი და კიეველი ფეხბურთელი იყო საბჭოთა ნაკრებში 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე? ძალიან ბევრი. იმიტომ, რომ ეს აუცილებლობას წარმოადგენდა. ყიფიანს კი მაშინ თამაში არ შეეძლო. ხომ არ შეიძლება მოედანზე დაშავებული ფეხბურთელი გამოიყვანო? რატომღაც ხშირად ავიწყდებათ ნაკრების შესარჩევი თუ სხვა მატჩების შესახებ, რომელშიც ყიფიანიც თამაშობდა და ერთ-ერთ უპირველეს როლსაც ასრულებდა ჩემი ხელმძღვანელობით.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, დავით ყოფიანის ნიჭს ძალიან ვაფასებდი და ვაფასებ, მაგრამ მე, ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარე ვხელმძღვანელობდი.

— უფრო ადრე კი მიხეილ მესხთან იყო რაღაც გაუგებრობები. თქვენ მაშინაც ნაკრების მწვრთნელი იყავით. მაპატიეთ, მე არაფერს გეკამათებით, უბრალოდ თქვენი აზრის გაგება მწადია.

— იქნებ საკმარისია? რა შუაშია აქ მესხი? იქ სულ სხვა სიტუაცია იყო შექმნილი. არ მსურს გარდაცვლილ ადამიანზე საუბარი, მაგრამ ფაქტია: მიშა მესხი უაღრესად ნიჭიერი და ლამაზი თამაშით ცნობილი ფორვარდი იყო. ასეთები ერთეულები არიან, მაგრამ ჩვენ მაშინ არანაკლებ ძლიერი სხვა თავდამსხმელები გვყავდა. ხომ არ შეიძლება ერთი მოთამაშე მეორეს მხოლოდ გარეგნული იერსახის გამო ამჯობინო, მაშინ, როცა იმ მეორის მარგი ქმედების კოეფიციენტი მეტია.

და საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ უმჯობესია ფეხბურთელმა ყველა თამაში მყარ ოთხიანზე ითამაშოს, ვიდრე ზოგი ხუთიანზე პლიუსით, ხოლო ზოგიც სამიანზე მინუსით.

— გასაგებია. თემა შევცვალოთ. თქვენ უპირველესყოვლისა არა ნაკრების, არამედ უფრო საკლუბო გუნდის მწვრთნელად ხართ ცნობილი. რის გამო მოხდა ასე?

— ალბათ იმიტომ, რომ იმ საკლუბო გუნდებმა, რომლებმაც მე ვხელმძღვანელობდი, მეტ წარმატებას მიაღწიეს, ვიდრე ნაკრებებმა. მაგრამ საკითხის ასეთი ფორმულირება მაინც არამართებულად მიმაჩნია. სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იყო პირიქით მომხდარიყო.

საერთოდ მწვრთნელობა ისეთი საქმეა, რომ ერთი და იგივე სპეციალისტმა შეიძლება მოთამაშეთა ერთ ჯგუფთან თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწიოს, ხოლო მეორესთან არაფერი გამოუვიდეს. რთულია ყველაფერი ეს...

კონსტანინ ივანიჩმა საათზე დაიხედა. მაპატიე ძვირფასო, მაგრამ ალბათ ამაოდ ვიცდიო, მაცნობა, გამომეშვიდობა და ოთახიდან წყნარად გავიდა. მე კი მცირე ხანს დავიცადე და მიუხედავად ყველაფრისა, ამ მაინც ღვაწლმოსილი ადამიანის გზას გავყევი. ეტყობა, ცდა მართლაც უაზრობა იყო.

ვახტანგ ბოლოთაშვილი
მოსკოვი-თბილისი
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

თასების მფლობელთა თასი

XI გათამაშება **1970-71 წლები**

ჩელსი

ლონდონი, ინგლისი

ალოიზი ეყლისაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

როგორ აჯობეს არისტოკრატებმა მეფეებს

წინა გათამაშების ფინალისტების, ინგლისური „მანჩესტერ სიტისა“ და პოლონური „გურნიკის“ დაპირისპირება კვლავ გაგრძელდა. ამჯერად ისინი მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. პოლონელების საუკეთესო ფორვარდი ვლოძიმეჟ ლიუბანსკი აცხადებდა: „ფინალი აღარ განმეორდება. ახლა „სიტის“ სხვა „გურნიკი“ შეებრძოლება. შარშან „რომასთან“ სამრაუნდიანი ჭიდილით ვიყავით გადაღლილები და ამიტომაც დავმარცხდითო. „გურნიკის“ მწვრთნელი სუსაც რევანშზე ფიქრობდა: კარგად მოვემზადეთ და ვფიქრობ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო. პოლონელების ერთადერთი პრობლემა ლიუბანსკის ტრავმა იყო, მაგრამ ის მაინც გავიდა მინდორზე და თავისიანების გამარვჯებაში მთავარი როლი ითამაშა.

თუ პოლონელ მიმომხილველებს ვენდობით, „გურნიკი“ ერთი თავით მაღლა იდგა მოწინააღმდეგეზე და მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, დიდი ანგარიშითაც მოიგებდა. „სიტის“ თავდამსხმელებს: სამერბის, ლისა და ბელს მჭიდროდ მეურვეობდნენ, თვითონ კი თითქმის მთელი გუნდით უტევდნენ. 33-ე წუთზე ლიუბანსკიმ გახსნა ანგარიში. ხუთ წუთში ლიუბანკსი — ბანასი — ვილჩეკის კომბინაცია მეორე გოლით დამთავრდა. ტრავმის მიუხედავად, ლიუბანსკი მეორე ტაიმშიც გამოვიდა მინდორზე, მაგრამ სიტელი ტაუერსი ეუხეშა და თამაში ვეღარ გააგრძელა.

შინ „სიტიმ“ რევანში აიღო. „მეინ როუდზე“ მანჩესტერელებს ახალბედებმა იან მელორმა და მაიკლ დოილმა მოაგებინეს (სხვათა შორის, დებიუტანტები ამ წელს „სიტის“ ბედისწერა იყო. თუ „გურნიკთან“ მათი წყალობით მოიგეს, შემდეგ სწორედ ახალბედა მეკარის შეცდომას შეეწირნენ). დამატებით დროს არაფერი შეუცვლია. გადათამაშება კოპენჰაგენში დაინიშნა.

დაკვირვებულმა მკითხველმა, ვინც ქვემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს გაეცნო, იქნებ იკითხოს, რატომ დაადგინეს გადათამაშება, თუკი წინა წრეებში, ასეთ შემთხვევაში პენალტები ინიშნებოდაო (პენალტებით მოუგო უნგრეთის „ჰონვედმა“ შოტლანდიის „აბერდინს“, ხოლო გდრ-ის „ფორვერტსმა“ პორტუგალიის „ბენფიკას“). საქმე ისაა, რომ უეფამ ამ წლიდან დებულებაში ცვლილება შეიტანა. თუ ორი მატჩის ჯამში (დამატებითი დროის ჩათვლით) გამარჯვებული არ გამოირკვეოდა, მერვედფინალის ჩათვლით მატჩისშემდგომი პენალტები ინიშნებოდა. მეოთხედფინალიდან კი ანალოგიურ შემთხვევაში მესამე, დამატებითი შეხვედრა უნდა ეთამაშა. შემდეგ 1971-72 წლებიდან თერთმეტმეტრიანების პრაქტიკა უკვე მთელს გათამაშებაზე დაამტკიცეს. ანუ ისეთი ფორმულა დამკვიდრდა, რომელიც ევროთასებზე დღესაც მოქმედებს.

გადათამაშება კვირის თავზე გაიმართა და „სიტის“ გამარჯვებით დამთავრდა. იანგის, ბუთისა და ლის გოლებს, ლიუბანსკიმ მხოლოდ ერთით უპასუხა. „გურნიკმა“ შური ვერ იძია, თუმცა ლიუბანსკი 8 გატანილი ბურთით ტურნირის საუკეთესო მეგოლე გახდა. ამ სიაში 7 გოლით მეორე პორტუგალიელი იუსებიო გახლდათ. აქედან ხუთი ბენფიკელმა პირველი წრის მატჩში გაუტანა იუგოსლავიურ „ოლიმპიას“.

თასების თასზე ინგლისის მეორე წარმომადგენელი, ლონდონის „ჩელსი“, წამყვანი მოთამაშეების ხშირი ტრავმების მიუხედავად, სტაბილურ თამაშს აჩვენებდა. ბელგიის „ბრიუგესთან“ პირველ მეოთხედფინალში „არისტოკრატებს“ („ჩელსის“ მეტსახელია) ძირითადის ოთხი ფეხბურთელი აკლდათ. მათ შორის ორი პიტერი — ინგლისის ნაკრების მეკარე ბონეტი და საუკეთესო მეგოლე ოსგუდი. ამიტომაც ბრიტანელებმა „ტყუპი“ გოლები გაუშვეს და ვერაფრით უპასუხეს. „ბრიუგეს“ მეკუთხურის, ტიოს ორჯერ მოწოდებულს ჯერ ლამბერმა, შემდეგ მარმენუმ დაუხვედრეს თავები და „ჩელსის“ ორჯერვე ცენტრიდან დაწყებინეს. ლონდონელთა მწვრთნელი დეივ სიქსტონი გონიერი კაცი იყო, არ ღელავდა, შინ დაშავებულები დაგვემატებიან და სხვა თამაშს იხილავთო. ასეც მოხდა, „სტემფორდ ბრიჯზე“ მომჯობინებული ოსგუდი საუკეთესოდ გამოიყურებოდა.

საინტერესოა, რომ მანამდე ორი თვის განმავლობაში ის ტრავმას იშუშებდა, მაგრამ თამაშს ჩინებულ ფიზიკურ მდგომარეობაში შეხვდა. ოსგუდი ყველა საჰაერო ბრძოლას იგებდა და ორჯერ (ერთხელ დამატებითში) გაამწარა ბრიუგელები.

ნახევარფინალში ორი ინგლისური გუნდის გასვლამ კუნძულელები გააბალისა. იქაურმა მედიამ ბრიტანული ფინალის იდეაც ააგორა, მაგრამ მათ ოცნებას ასრულება არ ეწერა. წილისყრამ სწორედ ინგლისელები დაუპირისპირა ერთმანეთს.

შინ „სიტის“ ორი კვირის წინათ გაშვებული, ერობურთიანი დეფიციტის დაფარვა სჭირდებოდა და რომ არა 19 წლის მეკარე რონ ჰილი, ალბათ, მიზანსაც მიაღწევდა. ტაიმის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, ლონდონელ უელერს საჯარიმოდან სუსტი დარტყმა გამოუვიდა, მაგრამ ჰილს ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა. არადა, ჯარიმა თავისუფალი იყო და მეკარე რომ არ შეხებოდა, არ ჩაითვლებოდა. მერე „ჩელსის“ გატეხვა შეუძლებელი გახდა. „არისტოკრატები“ ფინალში გავიდნენ.

WORLD SOCCER

ჩელსის მთავარი მეგოლე პიტერ ოსგუდი

მეორე ფინალისტი, მადრიდის „რეალი“ 70-იანი წლების დასაწყისში საკუთარი დიდების აჩრდილს ჰგავდა და ამის სიმბოლო გუნდში 38 წლის ფრანსისკო ხენტოს ყოფნა გახლდათ. მით უმეტეს, რომ ხენტო ისევ ერთ-ერთი საუკეთესო იყო შემადგენლობაში. მწვრთნელმა მიგელ მუნიოსმა მოახერხა და ფინალში გასვლით სამეფო კლუბის ამბიციები ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა. არადა, „რეალმა“ ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა. ასეთ ჩავარდნას „მეფეები“ არავის აპატიებენ.

ესპანელი მიმომხილველები მუნიოსს მაინც სწყალობდნენ. იცით რატომ? ესპანელია და იმიტომ. პირველ სამ ადგილზე გასულ გუნდებს კი უცხოელები წვრთნიდნენ: „ვალენსიას“ ნატურალიზებული არგენტინელი დი სტეფანო, „ბარსელონას“ — ინგლისელი ბუკინგემი, „ატლეტიკოს“ — ფრანგი დომინგო.

თასების თასზე ესპანელებმა იმით მიიქციეს ყურადღება, რომ ერთი სკანდალური მატჩი ითამაშეს. ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში „რეალი“ ეინდჰოვენს სტუმრობდა. მეორე ტაიმში მცველმა სანჩისმა თავდამსხმელი წააქცია. მავანმა ფანმა ტრიბუნიდან ლუდის ბოთლი ისროლა, რომელიც იქვე მდგარ ლაინსმენს მოხვდა. მსაჯი საკაცით გაიყვანეს. ტრიბუნებზე ჩოჩქოლი ატყდა და პოლიციამ ავისმქმნელი დაიჭირა.

მთავარმა არბიტრმა სტადიონის რადიოთი გამოაცხადა, თუ გონს არ მოეგებით, თამაშს ჩავშლიო. დაშავებულის ნაცვლად კი ხაზზე ჰოლანდიელი ლაინცმენი დააყენეს. დღეს მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლის მსაჯობა უცნაურია, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. მოკლედ, თამაში გაგრძელდა და ნულოვანი ფრით დამთავრდა. შინ კი მადრიდელებმა ხენტოსა და პირის ძალისხმევით მოიგეს.

გადამწყვეტი შეხვედრა ათენში დაინიშნა. ოცდაათგრადუსიანი სიცხე თითქოს ესპანელებისთვის უკეთესი იყო. ამას მუნიოსიც აღნიშნავდა. მადრიდელები ათენს მატჩამდე ერთი კვირით ადრე ჩაფრინდნენ, ინგლისელები კი წინა დღეს. „ჩელსის“ მწვრთნელი სიქსტონი თავდაჭერილად ლაპარაკობდა: მატჩის შედეგს თამაში წყვეტს და არა ამინდიო.

ძირითადი დრო ლონდონელებმა მართლაც უკეთ ჩაატარეს. ბოილის გადაცემით ოსგუდმა აუღებელი დარტყა მეკარე ბორხას 1:0. ინგლისელები უკვე საზეიმოდ ემზადებრდნენ, მსაჯი კი წამზომს დასცქეროდა, როცა სოკომ საპასუხო შეაგდო და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. აქ უკვე ესპანელებმა აჯობეს კუნძულელებს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და გადათამაშება ორი დღის შემდეგ დაინიშნა. თასების თასის ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ფინალიც და გადათამაშებაც ერთ ქალაქში ჩატარდა.

„ჩელსის“ დამრიგებელი სიქსტონი ბუზღუნებდა, ფეხბურთელებს ვაფრთხილებდი, თამაში 90 წუთს გრძელდება-მეთქი, მაგრამ გატანილმა ბურთმა ისინი დააწყნარა. არადა, მოვლენები ისე ვითარდებოდა, 2-3-ის გატანას კიდევ შევძლებდითო. სათუო გახდა ოსგუდის მონაწილეობაც. მას ტრავმა ვერა და ვერ მოეშუშებინა. ამის გამო „ლურჯების“ საუკეთესო შემტევმა ნახევარფინალური რაუნდიც გამოტოვა. პირველ ფინალში მისი თამაშის საკითხიც ბოლო წუთს გაირკვა. ოსგუდს გაუმართლა. მეორე დილით ექიმებმა უთხრეს, რომ მინდორზე გასვლას შეძლებდა.

მუნიოსს თავისი საწუხარი ჰქონდა. საუკეთესო მოთამაშე პირი სტადიონიდან ჰოსპიტალში წაიყვანეს. ექიმები შეშობდნენ, ხელი აქვს მოტეხილიო. ბებერი ხენტო კი გადაღლილი იყო და მისი თამაში არაფრით შეიძლებოდა.

პირი ჰოსპიტლიდან სასიხარულო ცნობით დაბრუნდა. ტრავმა უმნიშვნელო გამოდგა, თამაში შეიძლებაო, უთქვამთ ექიმებს. მუნიოსმაც ამოისუნთქა.

კიდევ ერთი დეტალი. გადათამაშებას გაცილებით ნაკლები მაყურებელი დაესწრო. საქმე ისაა, რომ მადრიდიდან და ლონდონიდან ჩამოსულ ფანებს უკან გასაფრენი ბილეთები ადრევე აღებული ჰქონდათ. ახლის ყიდვის საშუალება ბევრს არ აღმოაჩნდა და ისინიც სამშობლოში დაბრუნდნენ.

პირველ ტაიმში „ჩელსიმ“ ნამდვილი შტურმი მოუწყო მოწინააღმდეგეს. „რეალი“ რვა კაცით იცავდა თავს და მაინც, 32-ე წუთზე ოსგუდის თავური მეკარემ უხეიროდ მოიგერია და დემპსიმ ანგარიში გახსნა. „ჩელსის“ ფეხბურთელებს წინა თამაშის ისტორია ახსოვდათ და შეტევები არ შეუწყვეტიათ. შვიდ წუთში ოსგუდმა ფანტასტიკური სილამაზის ბურთი გაუტანა ბორხას. მერე ესპანელებიც ეცადნენ და ერთიც გაქვითეს, მაგრამ თამაში ვეღარ გადაარჩინეს.

ნამატჩევს სიქსტონმა თქვა: „ჩვენ შემტევი ტაქტიკა ავირჩიეთ. ესპანელები დაცვაში ჩაგვიდგნენ და დიდი შეცდომაც დაუშვეს. მათ ხომ თავდასხმა ცუდად არ ეხერხებათ. დღეს ბედნიერები ვართ, რადგან მთელს ევროპას დავუმტკიცეთ, რა შეგვიძლია“.

მიგელ მუნიოსმა ყველაფერი თავისი გუნდის გადაღლას და მსაჯს დააბრალა. ბოლოს კი დაამატა: „საწყენია, რომ წავაგეთ. თუმცა ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ „რეალი“, „ჩელსიზე“ ძლიერია“.

„ფრანს ფუტბოლმა“ მუნიოსი გააკრიტიკა, ხოლო ინგლისელებს ხოტბა აღუვლინა: „მუნიოსი მარცხს ყველას და ყველაფერს აბრალებს, მაგრამ რატომ არაფერს ამბობს პირის შესახებ? მართალია, ბურთს ფეხით აგორებენ, მაგრამ ხელიც არანაკლები სამუშაო იარაღია. ხელმტკივნეი პირი პრაქტიკულად გამოთიშული იყო თამაშიდან. უმოქმედო ვარსკვლავს მოქმედი საშუალო ფეხბურთელი არ სჯობს? მუნიოსი ამბობს, რომ პირის სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავდა, მაგრამ ეს გამართლება არ არის. პირი დამცველის როლში, თანაც ისეთი, ორთაბრძოლებს რომ გაურბის, უბრალოდ, ფიქციაა. თუმცა, პირით თუ უპიროდ, ესპანელები მაინც წააგებდნენ.

ინგლისელებმა კი ათი წლის განმავლობაში მეოთხე თასების თასი მოიგეს. ამას დაუმატეთ ორი ბაზრობათა (ლიდსი და არსენალი) და ერთიც ჩემპიონთა (მანჩესტერ იუნაიტედი) თასები და დარწმუნდებით, რომ ინგლისური საკლუბო ფეხბურთი უმაღლესი ხარისხისაა“.

სარგბიელის არქივიდან

ჩელსი 1971 წელს. დგანან: ჰინტონი, ჰატჩინსონი, უები, ჰიუზი, ბონეტი, დემპსი, მაკრიდი, ჰოლინზი. სხედან: ბირჩენალი, კუკი, ჰადსონი, ბოილი, ჰარისი, ჰაუსმანი, ოსგუდი, ბოლდუინი, ტემბლინგი.

წინასწარი წრე: ოტვიდაბერგი (შვედეთი) — პარტიზანი (ალბანეთი) 4, 0.2; ბოჰემიანსი (ირლანდია) — მოტველდონი (ჩეხოსლოვაკია) 1:2, 2:2

პირველი წრე

აკურეირი (ისლანდია) — ციურიხი (შვეიცარია) 1:7, 0:7 (სენტ გალენი); ფორვერტსი (გდრ) — ბოლონია (იტალია) 0:0, 1:4; გოტველდფვ — ეინდჰოვენი (ბოლანდია) 2:4, 0:4; ვაპერი (ავსტრია) — პარტიზანი 3:2, 2:4; ჰიბერნიანსი (მალტა) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 0:0, 0:5; კარპატი (სსრკ) — სტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ უმასპინძლებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს?

გერმანია **ეგვიპტე**

კაიზერის ჯადოსნური ძალა

გერმანია რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად ზედგამოჭრილი ადგილია, ფრანც ბეკენბაურს ეჭვი არ ეპარება. იგი ამბობს, რომ ეს ამბავი თვით ფიფაშიც ძალიან კარგად მოეხსენებათ.

„ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა იცის, რომ იდეალური არჩევანი სწორედ გერმანია გახლავთ“ — თქვა „კაიზერმა“, რომელიც თავისი ქვეყნის კამპანიას სათავეში უდგას.

„გერმანია ევროპის გულია, საფეხბურთო სახელმწიფო. პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური გვაქვს. ინფრასტრუქტურაც მზადაა. მოკლედ ყველაფერი სრულყოფილადაა და მოწესრიგებულია“.

მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პიროვნება აღიარებს, რომ ამწუთას გერმანიაზე ოდნავ უკეთესი მდგომარეობა სამხრეთ აფრიკას აქვს. თუმცა სანამ ფიფა კანდიდატთაგან ერთს აირჩევს, მთელი წელიწადი გავა.

„სამხრეთ აფრიკას უდიდესი შანსი აქვს, რადგან აფრიკას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის არასდროს უმასპინძლია და ეს ძალიან სერიოზული არგუმენტი გახლავთ“ — დასძინა ბეკენბაუერმა. მან კარგად იცის, რომ ფიფას მაღალჩინოსანთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის თავად პრეზიდენტი იოზეფ ბლატერიცაა, დაუფარავად უჭერს მხარს მსოფლიოს პირველობის ახალ კონტინენტზე გამართვას.

გერმანელები სამხრეთ აფრიკას ისე დაუშინებია, რომ კონკურენტს განცხადების თავისი ხელით გამოტანა შესთავაზეს, რის სანაცვლოდაც დიდ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას პირდებიან. ისინი ამბობენ, რომ აფრიკელებს შემდგომი ჩემპიონატისთვის ყოველმხრივ მოამზადებენ, რათა მათ მოცილე აღარავინ ჰყავდეთ.

„გერმანია, ისევე როგორც ინგლისი, ჩვენს მოსყიდვას ლამობს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ძალიან სერიოზულ ძალას წარმოვადგენთ და ამიტომაც ვპასუხობთ: არ ვიყიდებით“ — ამაყად ბრძანებს სამხრეთ აფრიკის კამპანიის შეფი დენი ჯორდაანი.

ბეკენბაუერს კი ინგლისისა და ბრაზილიისაც ეშინია.

„ინგლისმა 2006 წლის ჩემპიონატისთვის ბრძოლა კარგა ხნის წინ გაიარა და ერთობ აგრესიულადაც მიჰყავს საქმე. მის კამპანიას ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი უჭერს მხარს. სამწუხაროა, რომ თავიდან ინიციატივა დავუთმეთ“.

კიდევ, სერიოზულ ძალად ეგვიპტე აღიქმება, განა, ნიგერია და მაროკო კი აუტსაიდერებად არიან მიჩნეული.

გერმანიამ 2006 წლის პირველობის მასპინძლობა ოფიციალურად გასული წლის ნოემბერში ისურვა და ერთი ხნის შემდეგ, განზრახვის სერიოზულობის დასამტკიცებლად ისეთი შთამბეჭდავი ნაბიჯი გადადგა, როგორიც ხელმძღვანელად ფრანც ბეკენბაუერის დანიშვნა გახლდათ.

კამპანიის ლიდერი ფრანც ბეკენბაუერი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი და საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი

ბეკენბაუერი უდიდესი ძალაა. მას ავტორიტეტი აქვს და ჩინებულად ერკვევა სპორტული პოლიტიკის ნიუანსებში. „კაიზერ ფრანცის“ წინაშე ნებისმიერი კარი ღიაა.

„პოლიტიკოსებმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, უცხოეთის ქვეყნებში მომუშავე ჩვენმა ელჩებმა, გერმანულმა კომპანიებმა, ყველამ ერთხმად უნდა დაუჭიროს მხარი ჩვენს ბრძოლას. მთელს მსოფლიოში უნდა გავაძლიეროთ მუშაობა“ — ამბობდა ბეკენბაუერი იანვარში, თებერვალში კი გამოაცხადა, რომ მრჩეველად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გავლენიანი გერმანელი წევრი, თომას ბახი დაისვა.

ბეკენბაუერი ოფიციალურად მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტია, მაგრამ მის ბოლო კვირებს თუ გადავხედავთ, ძირითადად კამპანიით და მის საქმეებზე შუა აღმოსავლეთში მოგზაურობით იყო დაკავებული.

„მიზანი ასეთია: ჩვენი ურყევი არგუმენტებით, მეგობრულად უნდა მოვიპოვოთ რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი“ — განმარტა მოგზაურობის საბაბი „კაიზერმა“.

მან და ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, ეგიდიუს ბრაუნმა, ისიც კი მოახერხეს, რომ გერმანიის ფინანსთა მინისტრს საგადასახადო პოლიტიკა შეაცვლევინეს და მიაღებინეს დადგენილება, რომ მსოფლიოს პირველობაზე მიღებული მოგება მათ სახელმწიფოში არ დაიბეგრება.

„ამისთვის რომ არ მიგვეღწია, ბრძოლაზე ხელის აღება მოგვიხდებოდა“ — ამბობს ბეკენბაუერი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფიფას დარწმუნება, რომ გერმანიაში გულშემატკივართა ხულიგნობა არ მოხდება. ამ მხრივ დიდ როლს ითამაშებს 30 აპრილს, ქალაქ ესენში დანიშნული სასამართლო პროცესი, რომელზეც იმ გერმანელი ხულიგნების საქმეს გაარჩევენ, საფრანგეთი 98-ის დღეებში ფრანგი ჟანდარმი რომ ცემეს დაუნდობლად.

რაც შეეხება სტადიონებს: ბერლინის ოლიმპიური სტადიონი, რომელიც ადოლფ ჰიტლერის დროს, 1936 წლის თამაშებისთვის ააგეს, გახლავთ ერთი იმ ორი სარბიელიდან, ფინალის გამართვაზე რომ ექნება პრეტენზია. მეორე ასეთი სარბიელი გახლავთ 1972 წლის თამაშებისთვის აშენებული მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი.

ახლა საკუთრივ გერმანულ ფეხბურთზე: საყოველთაო აღიარებით ამ ქვეყანაში დღეს კრიზისი მძვინვარებს. ეროვნული გუნდი გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატს მეოთხედფინალში, ხორვატიასთან წაგების შემდეგ გამოეთიშა; იურგენ კლინსმანი, ლოთარ მათეუსი, იურგენ კოლერი და 90-იანი წლების სხვა ვარსკვლავები ნელ-ნელა სტოვებენ სცენას; კლუბები ამომავალ ვარსკვლავებს სანთლითღა ეძებენ და თავად ბუნდესლიგაც ვერ არის ისეთი მდიდარი და თვალსაჩინო, ინგლისური, იტალიური და ესპანური ლიგები რომ გახლავთ...

მოკლედ, 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა გერმანიას ასე საჭირო პერსპექტივასაც გაუჩენს და ამიტომაც ბეკენბაუერს მკაფიო მიზანი აქვს, ხოლო ქომაგები იმედოვნებენ, რომ „კაიზერი“ ერთხელაც გამოავლენს ჯადოსნურ ძალას და როგორც ადრე, რასაც შეეხება, ყველაფერს ოქროდ აქცევს.

პატრიკ ვიგნალი, როიტერი

იქ, სადაც ყველაზე მეტი პოლიციელი დაგვიცავს

ეგვიპტე იბრძვის, არ ნებდება, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. თებერვალში სამხრეთ აფრიკის ასეთივე ბრძოლის მეთაურმა დენი ჯორდაანმა განაცხადა ოფიციალურ კანდიდატთა დამტკიცების ბოლო ვადამდე ეს ქვეყანა ფიფაში შეტანილ განაცხადს უკანვე წაიღებსო, მაგრამ კოლეგამ უპასუხა:

„2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას სწორედ ეგვიპტელები რომ მოვიგებთ ეჭვი არ მეპარება. ამიტომაც ყველა ღონეს ვიხმართ საქმე ბოლომდე რომ მივიყვანოთ და საკუთარ ერს პატივი მივაგოთ“.

ამ სიტყვების წარმომთქმელი გახლავთ სამირ ზაჰერი, ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც მისი სამშობლოს კლიმატს, ივლისის მზიან დარს, სარეკლამო მნიშვნელობას ანიჭებს და ყველას არწმუნებს, რომ ეგვიპტური ზაფხული შემაწუხებელი სულაც არაა — აქ ივლისში, საშუალოდ 29 გრადუსი იცის.

რა საწუხარი აქვს ეგვიპტეს? უპირველესად უსაფრთხოება — ემანდ ისლამისტებმა არ წამოყონ თავი — გარდა ამისა სტადიონების ხარისხი, ტრანსპორტი და სასტუმროები, უფრო სწორედ მათი ტევადობა.

არადა, აფრიკელ კანდიდატთა შორის ყველაზე დაწინაურებული, სამხრეთ აფრიკა იმედოვნებდა, რომ ეგვიპტე, ისევე როგორც მაროკო, განა და ნიგერია ბრძოლას თავს დაანებებდა და მხარში ამოუდგებოდა.

„რა თქმა უნდა აფრიკელთაგან ყველაზე ძლიერი სამხრეთ აფრიკაა, მაგრამ ეგვიპტეს მასთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა აქვს. ეს გახლავთ ივლისის ზომიერი ჰავა“ — ამბობს ზაჰერი.

ზაჰერს ფართოდ აქვს საქმიანობა გაშლილი. მან უკვე ჩამოაყალიბა რამდენიმე საგანგებო კომიტეტი და დაასახელა ის ქალაქები, რომელთაც 2006 წლის პირველობის მატჩების მასპინძლობისთვის შიდა კონკურსში გაიმარჯვეს.

ეგვიპტის ეროვნული გუნდის ფეხბურთელები კონტინენტის ჩემპიონობამ გმირებად აქცია

„ქალაქები მხოლოდ ტექნიკური და ორგანიზაციული მხარის გამო კი არ შევარჩიეთ, მათი დასახელებისას დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ პოტენციალს“ — განმარტა ზაჰერმა.

ამრიგად, კაიროს, გიზას, ალექსანდრიას, ისმაილიას, პორტ საიდის, სუეცის, ასვანის, მინიას, ზაგაზიგის, მანსურას, ჰურგადას და შარმ ელ შეიხის მერიები უკვე გამომთვლელ მანქანებს მისხდომიან და პროექტის ვარიანტებს ითვლიან.

მაგრამ ყველა მათგანის სტადიონი როდი ვარგა მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრების სამასპინძლოდ. მაგალითად შარმ ელ შეიხსა და ჰურგადას, ფიფას მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ახალ სარბიელთა აგება მოუწევთ.

1997 წელს ეგვიპტემ 17 წლამდელთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლა და მაშინ ფიფამ კაიროს, ისმაილიასა და ალექსადრიას სტადიონები მოიწონა, მაგრამ ეს მხოლოდ სამია, დანარჩენ ქალაქებში კი მშენებელთა ჩარევა აუცილებელი იქნება.

ეგვიპტეში ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა. კაიროს გუნდებს, „ალ აჰლისა“ და „ზამალექს“ ფანატიკოსი გულშემატკივრებიც ჰყავთ, მაგრამ ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სულ ორჯერაა ნამყოფი, 1934 და 1990 წლებში და ორივეჯერ შეჯიბრებას პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა.

თუმცა ეგვიპტის ნაკრები მოხდენილი თამაშით გახლავთ ცნობილი და 1998 წელს (ბევრისთვის გასაკვირად) კონტინენტის თასიც მოიპოვა. მაშინ, ფინალში ეგვიპტელებმა ფავორიტად აღიარებული სამხრეთ აფრიკა დაამარცხეს და შინდაბრუნებულ ფეხბურთელებს ეროვნული გმირთა დარი დახვედრაც ერგოთ.

აფრიკის ამ ქვეყანაში 2006 წლის ჩემპიონატისთვის ბრძოლამ ბევრი ადამიანი შემართა. მრავალმა ქომაგმა და სახელმწიფო მოღვაწემ შენიშნა, რომ სწორედ ახლა ეძლევათ იმ ცუდი სახელის გამოსწორების შანსი, 1997 წელს 58 უცხოელი ტურისტის გაჟლეტამ რომ მოუტანათ.

ამ ინციდენტმა, რომელიც 1992 წლის, პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქზე - ლაშქრობის შემდეგ ყველაზე სისხლიანი გახლდათ, ეგვიპტის ხელისუფალთ უსაფრთხოებაზე ზრუნვა აიძულა და იმ დღიდან მთელს ქვეყანაში ყველა ტურისტულ ობიექტს საგანგებო დაცვაც ჰყავს.

„აფრიკაში ჩვენ უსაფრთხოების ყველაზე განვითარებული სამსახური გვაქვს“ — თქვა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა — „ყველგან, სადაც ტურისტები მიდიან პოლიცია ფხიზლადაა“.

ზაჰერს თავიდან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩვეული ხალხმრავლობა სასტუმროების სიმცირის გამო მაინც აფიქრებდა, მაგრამ ქვეყნის ტურიზმის ბოსებმა ნუგეში უთხრეს, თუ საჭირო იქნება ნებისმიერი რაოდენობის სტუმარს მივიღებთო.

„სტუმარ გულშემატკივართა სასტუმროებში განთავსებაზე ფიქრი მართლაც მოგვიწევს, რადგან სასტუმროების საკმარისი რაოდენობა არ გვაქვს, მაგრამ მათ ასაშენებლად დრო სრულიად საკმარისია“ — განაცხადა ტურიზმის სამინისტროს პრესატაშემ.

„ყველაფერი დიდძალ ფულს და შრომას მოითხოვს, მაგრამ თუ მასპინძლობა ახლა არ გვერგო, სულ მცირე ოცდახუთწლიანი ცდა მოგვიწევს შემდეგ შანსამდე“ — დააგვირგვინა ზაჰერმა

მაჰმუდ კასემი, როიტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ამბავი ტელეფონით...

მანიუ „მენ იუს“ წინააღმდეგ და გაჭყლეტილი „იუვენტუსი“



სარგბიელის არქივიდან

მე მათ აქ არ შემოვუშვებ, აცხადებს ფერგი

დიალოგი

„ჰაი, ზიზუ, სა ვა?“

„სა ვა“.

„მანიუ ვარ“.

„ვიცი. მახსოვს შენი ნომერი. რასა იქმ?“

„რა ვიცი, თამაშს ვაპირებ. ხომ იცი, ბევრ ვეჭიდავები“.

„ჰო, ვიცი, როგორ არა“.

„წინ გავარდნენ, ბნელები... კოჭი როგორა გაქვს, ზიზ?“

„არის თავისთვის, თუ არ შევაწუხებ, არაფერს მერჩის“.

„ესე იგი, ვერ ითამაშებ?“

„ვერა. აპრილის შუამდე ვერაფრით“.

„ესე იგი, თქვენც ატარებთ იმ ბნელებს?“

„არა, რატომ?“

„გამიგონე, ზიზუ. აბა, სირცხვილი არ არის ნორვეგიელები და უელსელები ჩემპიონთა თასის ფინალში გაჭიდნენ?“

„მე რა ვქნა? მანდ ვერ ჩამოვალ“.

„უილი და პატრიკი მოკითხვას გითვლიან. მოკლე რას შვრება?“

„მოკლე ჯანზეა, როგორც ყოველთვის“.

„გადაეცი, რომ როი კინის გაბითურებას ბევრი არაფერი უნდა. გაგებაში არ არის“.

„ჰა-ჰა. რამ გაგამხეცა მანიუ?“

„ღმერთმა აქეთ არ მოგახვედროს, ზიზუ. ამ სიბნელესა და ველურ გარემოში. უკვე ხუთჯერ გამაგდეს“.

„რა ამბავია?“

„სიგიჟე. ლუდი უნდა სვა და მერე მოედანზე აბოყინო. გესმის, ზიზუ? წიხლები, იდაყვები... კვირაში სამჯერ. რაც მთავარია, არავის აინტერესებს, როგორ თამაშობ, მთავარია, მწყობრში იყო. რომ ჩააოხრებ, დაგიწერენ, კარგად იბრძოლაო. ბურთი ან ცაშია, ან აუტში“.

„შენ წიხლი და იდაყვი გაგიჭირდა?“

„უნდა გავხიოთ ეგენი, ზიზუ. თქვენ მანდ და ჩვენ აქ“.

„ჩემი გადმოყვანა უნდათ, ხომ იცი?“

„არ მიქარო, არ მიქარო, ბებერო. ეგ კოჭი ჯიბეში გაგიხდება შესანახი. კვირაში სამჯერ ჯახაჯუხი, სოფლის გუნდებთან“.

„მე მხოლოდ ტურინში ვითამაშებ...“

„ის ცხვირწითელა ბერიკაცი...“

„აქ ეწერა, რომ წლის ფეხბურთელად უნდა დაგასახელონ“.

„ხომ გეუბნები, გიჟები არიან-მეთქი“.

„მოძღვარი რას ამბობს?“

„ჩვენ სწორად ვთამაშობთ, მოძღვარი კარგადაა. დავიღალე ამდენი ბითურობით“.

„დამშვიდდი, მანიუ. ჩვენ ვიბრძვით, თქვენც იბრძვით. თამაშია, ის კი არა...“

„მესმის, მაგრამ... ნამეტანია, ზიზუ. ყველაფერი ძალიან ბევრია...“

„მშვიდად, მშვიდად...“

„კოჭს მიხედე, ზიზუ და ერთად წავაქციოთ ეგენი. თქვენ ლიგა — ჩვენ, პრემიერშიფი. კარგად“.

„კარგად, ბებერო და დამშვიდდი“.

საერთო სურათი

სანამ ინგლისური ტაბლოიდები არსებობს და სანამ ამ ტაბლოიდებს ვარსკვლავთა პირადი ცხოვრება აინტერესებთ, მანამდე არ დაილევიან ვერაგი ადამიანები, რომელთაც სურთ მოქქონ ვარსკვლავთა ყოველდღიურობა და ინფორმაცია „სანს“, „მირორს“ და მათ კონკურენტებს მიჰყიდონ. ასეთ ხალხს მრავალი სატელეფონო საუბარი გამოუტანია დღის სინათლეზე და მორიგიც თქვენს წინაშეა.

ფრანგულ ენაზე მიმდინარე ეს ფიჭური დიალოგი მავან ინკოგნიტოს ჩაუწერია, გაზეთისთვის მიუყიდია და ამიტომაც სამშაბათიდან ინგლისურ ფეხბურთში სკანდალი მძვირვარებს. მაგრამ სანამ სკანდალის განვითარებას შევეხებოდეთ, უპრიანია, რომ დიალოგში ნახსენებ ადამიანთა ვინაობა გავშიფროთ.

„ზიზუ“, ცხადია, ზინედინ ზიდანია. „მანიუ“ — არსენალის სული და გული, ემანუილ პეტი. ტრავმირებული ზიდანი მეგობარმა მოიკითხა, ანუ ლონდონი ელაპარაკება ტურინს. რა არის ამაში სკანდალური? მაგრამ, მაგრამ... „მოკლე“ — დიდიე დეშამი უნდა იყოს. „უილი“ და „პატრიკი“ ასევე მეთოფე ფრანგები — გრიმანდი და ვიეირა. „მოძღვარი“ — არსენ ვენგერია. ამას წყალი არ გაუვა. „წითელცხვირა ბებერი“ კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი ბრძანდება „ბნელები“ კი მისი შეგირდები.

და საერთოდ, თუკი რამეა დასამახსოვრებელი ამ ერთი შეხედვით უწყინარ დიალოგში, მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილი. მდგომარეობა ასე გაიშიფრება: ერთ კვირაში ზიდანის „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალური მატჩის სათამაშოდ უნდა ეწვიოს „მანჩესტერს“. პეტის „არსენალი“ კი იმავ მანჩესტერის გუნდს ინგლისის ჩემპიონობას და თასს ეცილება.

ამიტომ, მანიუ პეტის ლონდონური ზარიც მის განწყობილებას მიანიშნებს.

ასეთი ამბავი სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, ხმაურიც ბევრი არ იქნებოდა. მანიუსა და ზიზუს სამშობლოში ადამიანთა პირადი ცხოვრება და კერძო საუბრები იმდენადაა დაცული, რომ ფიჭური საუბრის დამჭერი კაცი კასეტაზე ჩაწერილ კერძო საუბარს თვით „პარი მატჩშიც“ ვერ მიიტანს, რადგან ვირის აბანოში ამოაყოფინებენ თავს. მაგრამ სხვა საქმეა ბრიტანეთი — აქ ვიღაცის მოპარულ ფიქრებს სიხარულით გამოიქვეყნებენ.

სარგბიელის არქივიდან

მანიუ პეტის ღიმილები წარსულში დარჩა

გამოქვეყნდა მანიუსა და ზიზუს დიალოგი და სკანდალიც ატყდა.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. უკანასკნელი დღენახევრის განმავლობაში ინგლისში არ დარჩენილა გამოჩენილი საფეხბურთო ადამიანი, თავისი აზრი რომ არ გამოეთქვა ამ დიალოგის გამო.

„სიძულვილი“ — ეს განწყობა საგრძნობია.

ბოლო რამდენიმე წელიწადია, პრემიერლიგა და ინგლისის დაბალი დივიზიონები უცხოელებით გაივსო. აქ არიან ვარსკვლავებიც და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ფეხბურთელებიც. ამან გაამდიდრა ინგლისური ფეხბურთი, მაგრამ ამასთანავე მის ტრადიციულ საწყისებს შეუტია. აქ იგულისხმება თამაშის სტილიც და უბრალო ადამიანური ურთიერთობებიც. უცხოელებმა თავიანთი მენტალიტეტი მოიტანეს. ეს მენტალიტეტი დიდად განსხვავდება ბრიტანელ მოთამაშეთა მენტალიტეტისგან. მოკლედ, ალბიონზე ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც არასოდეს მომხდარა:

პაოლო დი კანიო მსაჯს სცემს,

ჯანფრანკო ძოლა საკუთარი კლუბის გაზონის შეცვლას მოითხოვს,

კანუ და ოვერმარსი გარინჩა-ალტაირის ჯენტლმენურ გამონაგონს არღვევენ,

ვან ჰოიდონკი მოედანზე გამოსვლას არ კადრულობს,

იგივ პეტი კალენდარს და გაძევებებს უჩვის და ასოციაციას განრიგის შეცვლისკენ მოუწოდებს,

და ა.შ. და ასე დაუსრულებლად.

რა დასამალია და, სხვანაირად (არ არის აუცილებელი ვიფიქროთ, რომ მაინცდამაინც უკეთესად) გაზრდილი ბრიტანელები ამას ცუდად ეგუებიან. განსაკუთრებული პრობლემები სამხრეთელებთანაა, თორემ ნორვეგიელებთან და დანიელებთან ბრიტებს პრობლემები იშვიათად ჰქონიათ. აი, ოდესღაც რომ მანჩესტერელებს დანიელი იესპერ ოლსენი შემოელახათ, ეგ იყო და ეგ. დღეს კი ჯონ ჰართსონი წიხლსა სცემს ეიალ ბერკოვიჩს, ვარჯიშზე რატომ გამექაჩეო.

უცხოელთა შემოჭრა და პრეტენზიები ბრიტებისთვის საკვირველია. მათ აღიზიანებთ არა თამაშის სტილი, არამედ თამაშისა და ფეხბურთისადმი მიდგომა და პრეტენზიები. ისინი დიდ ფულს იღებენ და ფეხბურთის სულის გადაკეთება სწადიათ.

რა უნდათ, ვის დაკარგვიან?

ბრიტებისთვის ძნელი გასაგებია, რატომ გარბის რიო დე ჟანეიროში ერთ დროს მიდლსბროელი ბრაზილიელი ემერსონი და რატომ აცხადებს, ჩემს გელფრენდს ინგლისური მოხარშული კარტოფილი არ უყვარს და „ბოროში“ ვერ ვითამაშებო.

გაზას მოვუსმინოთ, პოლ გესქოინს, რომელიც წესრიგის მაგალითად ვერ გამოგვადგება, მაგრამ ბრიტანული ფეხბურთის გულისა და ჯიგრის განსახიერება კი არის:

„რა უნდათ ამ უცხოელებს? ისინი ინგლისურ თამაშში ჩაერთნენ და ამ თამაშისთვის გულის გამოღებას ლამობენ. ნიჩბით ხვეტენ ფულს და წუწუნებენ. შეხედეთ ენდი ტაუნსენდს. თხუთმეტი სეზონია ლიგაში თამაშობს, ფეხები იარებით აქვს დასერილი, მაგრამ ერთხელაც, ერთხელაც არ დაუწუწუნია, მოედნის საფარი გამომიცვალეთ და კალენდარი გადააკეთეთო“.

ეს ყოველივე მისახვედრიცაა და გასაგებიც.

ისინი აქ თამაშობენ და აქაურობას ვერ იტანენ.

ამიტომ ამ ფიჭურმა დიალოგმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

ემანუილ პეტი ჟურნალისტებს არაფერს ეუბნება. არსენ ვენგერი აცხადებს, რომ გუნდი ჩემპიონატის მნიშვნელოვან ეტაპზეა და ასეთი სკანდალი ხელს უშლის. ის, რა თქმა უნდა, წუხს, მაგრამ მეორე მხრივ, არ მოსწონს ორი ძმაკაცის კერძო საუბრის განზოგადება.

სარგბიელის არქივიდან

ჯენტლმენი ზიზუ ისეთ უვარგის საქმეში გარიეს, შირაკიც ძნელად უშველის და ლამაზი ცოლიც

„ფეხბურთელებს თავისებური ლექსიკა აქვთ“, — ამბობს ვენგერი — „მათი შინაურული საუბარი არ არის ტრაგედია. ეს გამარჯვების წყურვილით ანთებული ბიჭების ლაპარაკი იყო. მე ასე არ ვლაპარაკობ, მაგრამ კაცია და გუნება. აქ მთავარი ერთმანეთისთვის გამარჯვების და კარგად ყოფნის სურვილი იყო და არა ინგლისური ფეხბურთის სიძულვილი. ეს აბსურდია, მაგრამ გაზეთებს უყვართ და ურჩევნიათ, ასეთი აბსურდის გამო ხმაურის ატეხვა“.

ეშმაკუნები

სკანდალური დიალოგის მთავარი გმირები „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მისი მენეჯერი ალექს ფერგიუსონი გახლავან. პრემიერლიგის დიდ ხუთეულში „მანჩესტერი“, „ლივერპულთან“ ერთად, იმით გამოირჩევა, რომ უცხოელთა ყიდვა-გაყიდვის ამბავს თავის ტრადიციულ სტილს უხამებს. „მანჩესტერის“ სათამაშო სული და სტილი არ ღალატობს ბასბისეულ ტრადიციას. მისი ბრიტები და უცხოელები საოცრად ეხამებიან ერომანეთს და კლუბის ისტორიულ სტილსა და განწყობას. ნორვეგიელები, ჰოლანდიელი, შვედი, ტრინიდადელი — აბა სად იპოვნით აქ სამხრეთ ევროპას?

„მანჩესტერ იუნაიტედი“ 7 აპრილს ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს ეთამაშება უზიდანო „იუვენტუსს“. 11 აპრილს კი ასოციაციის თასზე შეერკინება „არსენალს“.

ფერგის გუნდი სამ ფრონტზე იბრძვის, სამ თასს ეპოტინება. „იუვენტუსთან“ შეხვედრამდე ერთი კვირაღა რჩება და კლუბი სერიოზულად ემზადება. ამ შეხვედრაში არცთუ მეორეხარისხოვანია ფსიქოლოგიური მზადყოფნა, ფსიქოლოგიური უპირატესობა. აქედან გამომდინარე, ძალიან საინტერესოა „მანჩესტერის“ უფროსობის მიდგომა ამ სკანდალისადმი.

ფერგიუსონსა და „იუნაიტედს“ შეეძლოთ გაჩუმებულიყვნენ, ანდა, თუ მაინც და მაინც, ზოგადი ფრაზებით შემოფარგლულიყვნენ, მაგრამ, ჩანს, მოხერხებულმა და საზრიანმა ფერგიმ გადაწყვიტა, რომ ამ სკანდალის კლუბის სასარგებლოდ გამოყენება შეიძლება.

ფერგიუსონი:

„როდესაც ვამბობ, რომ ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულებაა, პარანოიკს მეძახიან. უპატივცემულობა ჩვენი თამაშის, არა მხოლოდ ჩემი კლუბის, არამედ საზოგადოდ ინგლისური თამაშის მიმართ, ახლა ფაქტია. რით უნდა ვუპასუხოთ ჩვენ იმ ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ თავიანთი ადგილი აღელვებთ ფეხბურთში და არა თავად თამაში? ამბიცია მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ამბიცია არ არის უზრდელობა“.

და ისევ ფერგიუსონი:

„ალბათ, ბევრს ახსოვს სამოცდაათიანი წლების საფეხბურთო სკანდალები. ამ ბინძური ამბების სათავე იტალია იყო. მე ძალიან ვეჭვობ, რომ ახლაც რაღაც სიბნელე მოდის აპენინიდან. ზდენეკ ზემანის განცხადებები გაიხსენეთ. კრეატინი და მთელი ამბავი. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ჩვენი და „იუვენტუსის“ თამაშის წინ ასეთი რამ ხდება. ვწუხვარ, რომ ჩვენს წინააღმდეგ უზრდელობაში „იუვენტუსის“ ფეხბურთელი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია გარეული. ხომ გრძნობთ, რა განწყობით გამოვა „იუვენტუსი“ მოედანზე სათამაშოდ? განა ეს ფეხბურთი იქნება? მე ვშიშობ, რომ ჩვენს ფეხბურთელებსაც გაუჭირდებათ მოედანზე მოწინააღმდეგის პატივისცემა და იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს მიმართ სიძულვილია. ბრაზისგან ცახცახებენ, რახან „იუნაიტედი“ დიდი გამარჯვებისკენ მიდის“.

ხედავთ, საით გადახარა სკანდალის ისარი ეშმაკმა ფერგიმ? მან სკანდალში „იუვენტუსი“ გარია. ფიჭურ დიალოგში მონაწილე ზიდანი არც ერთი რეპლიკით არ შეურაცხყოფს ბრიტებს, ფერგიუსონი კი მაინც „იუვეს“ რისხავს. ცხადია, რომ მოქნილ სქოთს დიდი მატჩის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობის ხელში მოგდება სწადია. მას გადაუწყვეტია, რომ სენიორ ანიელი და მისი შტაბი წყობრიდან გამოიყვანოს.

ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ ფერგიუსონის გამონათქვამს ჩავუკვირდებით:

„ჯერ კარგად არ ვიცი, რას გადავწყვეტთ. „იუნაიტედი“ ფიქრობს, რომ ამგვარი ულირსობის ფონზე პასუხს გასცემს ადამიანებს, რომლებიც მისი შეურაცხყოფით ერთობიან. რა თქმა უნდა, თამაშით. მაგრამ, როცა მოწინააღმდეგე თამაშობს სხვა წესებით, ჩვენც მოგვიწევს მოედნის გარეთ მოქმედება. კლუბი ბჭობს, მიმართოს თუ არა შესაბამის სამსახურებს და ეჭვქვეშ დააყენოს მანჩესტერში „იუვენტუსის“ იმ ფეხბურთელების ჩამოსვლა, რომელთაც ბრიტანეთში ჩამოსასვლელად ვიზა სჭირდებათ. რა ვქნათ? ჩვენი ბრძოლის ხერხები უფრო კანონიერია, ვიდრე მთელი მათი სიძულვილი...“

ხედავთ? აი, რას ამბობს ფერგი. მისი განცხადებით, ბრიტანეთის საიმიგრაციო სამსახურმა „იუვენტუსს“ შემადგენლობა უნდა გაუნახევროს.

თუ ეს აქტი განხორციელდა, მაშინ „ოლდ ტრეფორდზე“ ვერ უნდა ჩავიდნენ ხორვატი იგორ ტუდორი, იუგოსლავიელი ზორან მირკოვიჩი, არგენტინელი ხუან ესნაიდერი და ურუგვაელები პაოლო მონტერო და დანიელ ფონსეკა.

მანიუ პეტის გულიანი გინება და „იუვენტუსი“.

რა შუაშია? სად პეტი და სად ესენი?

და კვლავ ფერგი:

„ეს არ არის მხოლოდ უზრდელური დიალოგი. ჩვენ ფაქტები გვაქვს „იუვესთან“ დაკავშირებით. თუ საჭიროდ ჩავთვლით...“

ერთ კვირაში კი მატჩია.

და კვლავ, რა შუაშია „იუვენტუსი“?

სკანდალი გრძელდება. საბრალო „იუვეს“ ამ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ ოჯალანის გამო შეექმნა პრობლემები სტამბოლში, ახლა კი მავანი რადიომოყვარულის გამო ემუქრებიან.

ალბათ, კვირის ბოლომდე რაღაც გაირკვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

სტეფანია vs დანკან — რობინსონი. მეორე სერია

30 მარტი

სან ანტონიო 95:87 სიეტლი

სან ანტონიო: ჯონსონი (14 ქულა, 9 პასი), ელი, ელიოტი (12), დანკანი (26 ქულა, 9 მოხსნა), რობინსონი (18 ქულა, 10 მოხსნა); ჯეკსონი (8), კერსი (6), პერდიუ (4), როუზი (4), დანიელსი (3), კერი

სიეტლი: პეიტონი (15), ჰოკინსი (4), ოუენსი, შრემპფი (13 ქულა, 10 მოხსნა), პოლინაისი (10 ქულა, 9 მოხსნა); ელისი (14), სტეფანია (12), მაკკოი (8), ვილიამსი (5), კროტი (4), ბერი, ლუისი

უჭირს ვლადიმერ სტეფანიას გუნდს, „სიეტლ სუპერსონიქსს", რომელსაც ამ სეზონში სატრაბახოდ მხოლოდ ერთი რამ დარჩენია — სეზონის სტარტზე ზედიზედ ექვსი მოგება. მერე 23 შეხვედრიდან 14 წაგო. მისგან ძლეულთაგან კი ერთი-ორი თუა ანგარიშგასაწევი გუნდი. სიეტლს არ უჭირს დენვერთან, დალასთან, კლიპერსთან და სხვა მათთანებთან. ძლიერთა მარაქაში გარეულებთან კი „სუპერსონიქსმა" 14 შეხვედრიდან 10 წაგო. გუნდმა მარცხს უხშირა, რასაც თავისი მიზეზებიც აქვს — თავდამსხმელ ვინ ბეიკერს ტრავმა აწუხებს და კიდევ სამ-ოთხ კვირას ვერ დაეხმარება თავისიანებს, თუმც თავის ამპლუაში ლიგის ერთ-ერთ უძლიერესად მიჩნეული მოთამაშე არც ტრავმამდე წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს. ვერც სხვა წამყვანი კალათბურთელები გამოიყურებიან რიგიანად და აშკარაა, რომ ლიდერი გერი პეიტონიც გადაიღალა, სულ უფრო მეტი თამაშები ჩაგდო.

რაც შეეხება სიეტლის იმდღევანდელ მეტოქეს: სან ანტონიო იმის ჩიტი არაა, ვინმეს იოლად დაუთმოს რაიმე და ასეც მოექცა მზიან ტეხასში ჩასულ ჩრდილოელ სტუმარს. მასპინძლებმა გაკვეთილი ჩაუტარეს „სუპერსონიქსს" და ყველას აჩვენეს, რომ სეზონის დასაწყისში „სფურზის" ჩავარდნა მხოლოდ შემთხვევით იყო. ამ მატჩში სან ანტონიოს თავისი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია, ისე მოუგო მეტოქეს. „ვაჩვენეთ, როგორ უნდა თამაში და მეტოქე პირველივე მეოთხედში დავაგდეთ" — თქვა სან ანტონიოს თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა. ტიმ დანკანი, მასპინძელთა ყმაწვილი თავდამსხმელი, მეორე წელია, ლიგაში თამაშობს და უკვე მოასწრო, ლიდერობა წაერთმია დევიდ რობინსონისთვის და ამასთან ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედაც იქცა. სწორედ დანკანმა მოინელა მეტოქე გუნდი პირველივე მეოთხედში, ვისი წყალობითაც სან ანტონიო 13 ქულით გაიჭრა წინ და მერე სიეტლი ვეღარც გაიმართა წელში. პირველ ნახევარში გუნდის ძირითადთა საცოდაობის შემყურე სიეტლის მთავარმა მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა გზა სათადარიგოებს მისცა. ამათაც სული და გული ჩადეს თამაშში, თუმც მასპინძლებმა საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანეს — მეორე ნახევარი თანაბარი ანგარიშით, 46:46 დასრულდა და ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პირველ ქართველ პროფესიონალს ვლადიმერ სტეფანიას. მან თითქმის მთელი მეორე ტაიმი მოედანზე დაჰყო და სეზონში ყველაზე მეტი, 12 ქულა მოინაგრა, თან ამას 7 მოხსნა (აქედან 6 მეტოქის ფარზე) და სხვა მაჩვენებლებთან ერთად თავისი წილი ერთი დაფარებაც გაიხერხა. და მერე ვის წინააღმდეგ უწევდა თამაში ქართველს?! ტიმ დანკანის ან დევიდ რობინსონის დაჭერა იოლი საქმე არაა, მაგრამ სტეფანიამ, რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს და თანდათან შეეჩვია კიდეც იქაურ კალათბურთს, საკმაოდ კარგად გაართვა თავი საქმეს და პოლ ვესტფოლს ათქმევინა, ეს ყმაწვილი ძალიან ნიჭიერია. თუ ასე გააგრძელა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერობაც თავისუფლად ძალუძსო.



REUTERS ორლანდოდან

ორლანდო — ნიუ ჯერსი. მასპინძელი მეტ ჰარპრინგის (წინა პლანზე) წინააღმდეგ მოთამაშე, ნიუჯერსელი ლუციუს ჰარისი ფეხბურთელადაც ივარგებდა

კლიპერსი 95:104 ჰიუსტონი

კლიპერსი: ნესბი (24), ტეილორი (21)

ჰიუსტონი: დიკერსონი (19), პრაისი (19)

„ჰიუსტონ როკეტსმა" თავის რვამატჩიან წარმატებულ სვლა განაგრძო, თან იუტას მძლეველ კლიპერსთან ისე იმარჯვა, დიდი ჯაფაც არ დასდგომია. ჰიუსტონის ფანებისთვის მეტად სასიამოვნო მოულოდნელობაა, რომ ისეთი გამოცდილი და ბევრისმნახველი მოთამაშეების გვერდით, როგორებიც არიან ოლაჯუონი (13 ქულა ამ მატჩში), ბარლი (12 ქულა, 14 მოხსნა) და პიპენი (12 ქულა), მშვენივრად ირჯებიან ყმაწვილი კალათბურთელები — დიკერსონი, მობლი (12 ქულა) და ჰარინგტონი (17 ქულა).

ვანკუვერი 101:87 დენვერი

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22), ბიბი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

დენვერი: ვან ექსელი (29 ქულა, 11 პასი), მაკდაიესი (22)

ვანკუვერმა მეორე ნახევარში შავი დღე აყარა პირველში გაძაღლიანებულ მეტოქეს და ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ პირველად იმარჯვა.

ნიუ იორკი 94:93 ინდიანა

ნიუ იორკი: იუინგი (37 ქულა, 15 მოხსნა)

ინდიანა: მილერი (19)

ნიუ იორკ-ინდიანას შერკინება ყოველთვის საინტერესო ბრძოლით გამოირჩეოდა და არც ეს მატჩი იყო გამონაკლისი. გუნდებმა არ დაალალატეს სახელოვან „მედისონ სკვერ გარდენში" შეკრებილი 19 763 მაყურებელი და მშვენივრი თამაში უჩვენეს. მეორე ნახევრის ბოლოს ინდიანელ ჯალენ როუზს ნერვებმა უმტყუნა და სტუმართა ლიდერს, ბრწყინვალედ მოთამაშე პატრიკ იუინგს შეება. შედეგად იუინგმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო, როუზმა — თამაშიდან გაგდება. ინდიანას შეეძლო მოგება, მაგრამ, ისევე, როგორც წინა მატჩში ატლანტასთან, წარმატება ხელიდან გაუფრინდა. იუინგისა და როუზის კინკლაობის შემდეგ, ანუ მატჩის დამთავრებამდე ორი წუთითა და ორმოცი წამით ადრე რეჯი მილერმა ზუსტი ორქულიანით ანგარიში 93:88 გახადა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს სტუმართა ბოლო ქულები იყო. მასპინძლებმა — ალან ჰიუსტონმა (17 ქულა), ლატრელ სპრიუელმა (18 ქულა) და პატრიკ იუინგმა რიგრიგობით ჩაუგდეს მეტოქეს, რომელსაც თავისი ლიდერის, ოქროსხელება რეჯი მილერის დიდი იმედი ჰქონდა, თუმც მილერმა, ვისაც არაერთხელ გაუმწარებია ნიუ იორკი და სხვა გუნდებიც, ბოლო წამებზე გადამწყვეტი ბურთების ჩაგდებით ამჯერად ვერ იხეირა და თავისიანები მარცხს დაუჯერა.

ატლანტა 77:93 დეტროიტი

ატლანტა: სმიტი (18)

დეტროიტი: ჰილი (28), ჰანტერი (21)

დეტროიტს აკლდა ორი ძლიერი უკანახაზელი: მოხუცი და სახელოვანი ჯო დუმარსი და ახალგაზრდა და პერსპექტიული ჯერი სტეკჰაუზი, თუმც ჰყავდა გრანტ ჰილი, ვისაც გაახსენდა, რომ თამაში, ისიც ბრწყინვალე, კვლავ შეუძლია: მესამეში მეოთხედში რამდენიმე მშვენიერი პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს, ბოლო მეოთხედის ერთ მონაკვეთში კი 12 ქულა მიითვალა და ამით დეტროიტმა გამარჯვებაც დაიბევა.

შარლოტი 99:109 ბოსტონი

შარლოტი: კემპბელი (17)

ბოსტონი: ანდერსონი (22)

მასპინძლებს შინ ზედიზედ რვა თამაში არ წაეგოთ და ბოსტონთანაც უეჭველ გამარჯვებას ელოდნენ, თუმც ედი ჯონსმა ხუთი ქულის მეტი ვერ გაახერხა. ბოსტონელებმა კი გაიხსენეს, რომ მათ, ლიგის თექვსმეტგზის ჩემპიონებს, ასე დაჩაჩანაკება არ შეჰფერით, თამაშში სული და გული ჩადეს და ბედმაც არ უმტყუნათ.

კლივლენდი 91:101 ტორონტო

კლივლენდი: ჰენდერსონი (16)

ტორონტო: ბრაუნი (28), კრისტი (21)

ტორონტო უკვე ალარ ხუმრობს. კლივლენდთან გამარჯვება ადვილი საქმე სულაც არაა, თან — სტუმრად. ცხრილში ახლო მეზობლის დამარცხებით ტორონტომ მისთვის აქამდე უჩვეულო, მეხუთე ადგილამდე აიწია და ძლეული მეტოქე მეექვსე ადგილზე ჩამოაქვეითა. თავი გაიგიჟა სტუმართა სათადარიგომ დი ბრაუნმა. მან მეტოქეს სეზონში ყველაზე მეტი, 28 ქულა ჩაუგდო და აქედან 24 — სამქულიანებით. ასეთი რამ „რეპტორზის" ისტორიას არ ახსოვს.

საკრამენტო 104:101 იუტა

(ძირითადი დრო 95:95)

საკრამენტო: მაქსველი (33), სტოიაკოვიჩი (26)

იუტა: მელოუნი (20)

რამდენიმე დღის წინ ასოციაციას ყველაზე ცუდ გუნდ „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" 77:103 განადგურების შემდეგ იუტამ ამჯერადაც კალიფორნიელებთან წაგო. არადა, საკრამენტოს მთავარი დამრტყმელი ძალა, თავდამსხმელი კრის ვებერი აკლდა, რომელსაც რაღაც ვირუსი შეჰყრია და მეორე მატჩი გამოტოვა. იუტას კი საკრამენტოს სათადარიგოებმა მოუღეს ბოლო. ვერნონ მაქსველმა 33 ქულით სეზონის, ხოლო ახალბედა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა 26-ით კარიერის რეკორდები დაამყარეს. კარიერისავე რეკორდებს შესწვდა ვინმე ჯ�პოლარდი, რომელსაც ამ სეზონში მოედანზე სამად სამი წუთი ჰქონდა გატარებული, ახლა კი ვებერის არყოფნაში მთელი 36 წუთი ითამაშა და 11 ქულა და ამდენივე მოხსნა მიითვალა.

მინესოტა 98:78 დალასი

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ბრენდონი (22)

დალასი: ტრენტი (16 ქულა, 11 მოხსნა)

ტერელ ბრენდონმა სეზონში ყველაზე მეტი — 22 ქულიდან 16 მესამე მეოთხედში ჩაუგდო უსუსურ დალასს და წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

ჩიკაგო 91:81 ფილადელფია

ჩიკაგო: კუკოჩი (26)

ფილადელფია: აივერსონი (27)

ჩიკაგოელებმა გაიხსენეს, ვისი გორისანი არიან და ხორვატი ტონი კუკოჩის თავკაცობით საკმაოდ იოლად სძლიეს ფილადელფიას.

გოლდენ სტეიტი 93:90 პორტლენდი

გოლდენ სტეიტი: კოულზი (24)

პორტლენდი: საბონისი (21 ქულა 12 მოხსნა)

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერს" ლიგაში ყველაზე მეტი მოგება აქვს და ყველაზე ცოტა — წაგება. არვიდას საბონისი კი ის მოთამაშეა, რომელიც, მთელი ძალით მაშინ თამაშობს, როდესაც გუნდს უჭირს. სხვა მატჩებში კი ეს მხცოვანი და ახალგაზრდობაში უმძიმესი ტრავმებით შეჭირვებული კაცი ძალებს ზოგავს, მისი შედარებით დაბალი შედეგიანობაც ამით აიხსნება. პორტლენდს გოლდენ სტეიტთან გაუჭირდა და საბონისიც მშვენივრად ათამაშდა, თუმც იგი თანაგუნდელებმა დაალალატეს და წარმატებაც მასპინძელს დარჩა, რომელთაგან ბიმბო კოულზი ბრწყინავდა. იგი თავისთავად იმ დონის გამთამაშებელი ვერაა, როგორც მისი მეურვე დეიმონ სტუდემაიერი, მაგრამ შეხვედრაში კოულზმა პორტლენდელი დაჩაგრა და მხოლოდ 3 ქულა გააკეთებინა, თვითონ კი თავისი სეზონის საუკეთესო 24 ქულიდან 16 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო მძლავრ მოწინააღმდეგე გუნდს და თავისიანთა წარმატებაც განაპირობა.

ორლანდო 100:98 ნიუ ჯერსი

ორლანდო: ანდერსონი (28 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: კიტლზი (18)

ვან ჰორნი რომ გვყოლოდა, მოვიგებდით კიდეცო, ამბობდნენ ნიუჯერსელები სინანულით და თავიანთი ლიდერის კოჭის ტრავმას მისტიროდნენ. ძნელი სათქმელია, მოიგებდნენ თუ არა ისინი, რადგან „ორლანდო მეჯიქს" შინ მედგრად მებრძოლი გუნდის სახელი აქვს დაგდებული და საეჭვოა, ნიუჯერსისთანა გუნდთან წააგოს.

მილუოკი 107:105 ვაშინგტონი

მილუოკი: ალენი (25)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (23), მიურეი (20)

თავისიანთა დაწყებული საქმე მილუოკელმა გლენ რობინსონმა (11 ქულა) დაასრულა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 3 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ორლანდო	22	9	71,0
მაიამი	19	9	67,9
ნიუ იორკი	17	14	54,8
ფილადელფია	15	14	51,7
ვაშინგტონი	12	17	41,4
ბოსტონი	10	18	35,7
ნიუ ჯერსი	5	24	17,2
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	20	10	66,7
ატლანტა	19	12	61,3
დეტროიტი	18	12	60,0
მილუოკი	17	12	58,6
ტორონტო	15	14	51,7
კლივლენდი	14	14	50,0
შარლოტი	12	16	42,9
ჩიკაგო	9	21	30,0

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	21	8	72,4
ჰიუსტონი	22	9	71,1
სან ანტონიო	20	10	66,7
მინესოტა	17	13	56,7
დალასი	10	22	31,3
დენვერი	8	23	25,8
ვანკუვერი	6	24	20,0
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	23	6	79,3
ლეიკერსი	21	11	65,6
სიეტლი	15	14	51,7
ფინიქსი	14	16	46,7
საკრამენტო	14	17	45,2
გოლდენ სტეიტი	13	16	44,8
კლიპერსი	3	26	10,3

ჯორდანი:

შარლოტ ჰორნეთსის მფლობელი და მოთამაშე?



სარგბილის არქივიდან

ნუთუ კვლავ დაბრუნდება ჯორდანი?

სამი თვეც არ გასულა, რაც მაიკლ ჯორდანმა განაცხადა კალათბურთიდან საბოლოო წასვლის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში „მისი უპაროვნესობა“ გოლფის თამაშით იქცევდა თავს და კალათბურთისკენ არც იხედებოდა.

ამ დღეებში ჯორდანმა კი კვლავ შეახსენა თავი საკალათბურთო სამყაროს. ორშაბათს მან ბრძანა, რომ სურს შეიძინოს „შარლოტ ჰორნეთსის“ აქციათა 50 პროცენტი. წინა კვირაში იგი ამის თაობაზე შეხვდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარს დევიდ შტერნსა და „შარლოტ ჰორნეთსის“ ამჟამინდელ მფლობელს ჯორჯ შინს. ჯორდანის აზრით: „მე ჩრდილოეთ კაროლინაში გავიზარდე (შარლოტი ამ შტატში მდებარეობს) და მსურს შარლოტი ლიგის მოწინავე გუნდად ვაქციო. ჯერჯერობით მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკება, რომ კლუბში ინვესტიციები ჩავდო და თანამფლობელი გავხდე“.

ეს კიდევ არაფერი. გუშინ ხმა დაირხა, ჯორდანი „ჰორნეთსში“ თამაშს აპირებსო. ამ ამბის გამავრცელებლებს არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ იანვარში, გამოსათხოვარ პრესკონფერენციაზე მაიკლმა თავი „კალათბურთიდან 99,9 პროცენტით წასულად“ გამოაცხადა. თანაც მისთვის უცხო არ არის კალათბურთში მიბრუნება — 1993 წელს გარიდებული, 1995 წელს უკან მოვიდა.

ეს ხმები ჯორდანთან დაახლოებული არაოფიციალური წყაროებიდან მოდის. მათივე განცხადებით, არსებობს გარკვეული სცენარი, რომლის მიხედვითაც ჯორდანი ერთდროულად იქნება „შარლოტ ჰორნეთსის“ თანამფლობელიც და მოთამაშეც. ამავე სცენარით, ფილ ჯექსონი შარლოტის მთავარი მწვრთნელი გახდება, ხოლო ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის ლეგენდარული მწვრთნელი დინ სმიტი (ჯორდანის მწვრთნელი სტუდენტობისას) კლუბის პრეზიდენტად იმუშავებს.

ჯორდანის აგენტმა, დევიდ ფოლკმა კომენტარი ნაუცბათევად ვერ გააკეთა, ხოლო „შარლოტ ჰორნეთსის“ მესვეურებმა თქვეს, ჯორდანთან მოლაპარაკებების თარიღები მკაცრად არ განგვისაზღვრავს, მაგრამ ერთმანეთთან კავშირი გვაქვსო.

კვირის მოთამაშე



დერილ არმსტრონგი (ორლანდო)

დაიბადა: 22.06.1968 გასტონიაში, ჩრდილოეთ კაროლინა
უნივერსიტეტი: ლაფაიეტვილ სტეიტი'91
ამპლუა: გამთამაშებელი
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 81 კგ
სეზონი ლიგაში: 5

დერილ არმსტრონგმა გასულ კვირაში მატჩში საშუალოდ 22,3 ქულა, 4,8 პასი, 3,5 მოხსნა და 3,5 ჩაჭრა გააკეთა. მოედანზე საშუალოდ 30,0 წუთს იმყოფებოდა, მისმა ორლანდომ კი 3 მატჩი მოიგო, ერთიც — წააგო. არმსტრონგმა 25 საჯარიმოდან 24 ჩააგდო (96 პროცენტი).

კვირის საწყის მატჩში არმსტრონგმა პირადი რეკორდი დაამყარა, როცა შარლოტს (86:78) 28 ქულა ჩაუგდო. ორი დღის შემდეგ, კლივლენდთან (96:86) 25 ქულას, 7 პასს, 6 მოხსნას და 3 ჩაჭრას დასჯერდა. სუსტად ითამაშა შარლოტთან (82:90): 11 ქულა, 3-3 მოხსნა და პასი, სამაგიეროდ მთავარი როლი ითამაშა მაიამის დამარცხებაში (94:87) — 25 ქულა (19 — მეოთხე მეოთხედში), 6 პასი, 4 ჩაჭრა, 3 მოხსნა.

საპორტას თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩე ბი. 30 მარტი

არისი (საბერძნეთი) — *პამესა (ესპანეთი)* 50:58

(პირველი მატჩი 64:70)

არისი: ხრიზანტოპულოსი (2), გალაკტეროსი (4), კული (2), ლიადელისი (25), მიხაილოვი (5), სიგალასი (9), სიუტისი (3)
პამესა: გარსია, ბერნარდო (24), ჰოპკინსი (11), ლუენგო (7), მალუენდა, როდილია (3), სელერსი (13)

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — *ბენეტონი (იტალია)*

(პირველი მატჩი 60:76)

ფიბას გადაწყვეტილებით, ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის გამო, საპასუხო მატჩი გაუქმდა და „ბენეტონი“ ფინალისტად გამოცხადდა

ფინალი. სარაგოსა. 13 აპრილი

ბენეტონი (იტალია) — პამესა (ესპანეთი)



სდასუ — თსუ. სდასუ-ელებს ალყა დაურტყამთ თსუ-ელი არჩილ ხელაშვილისთვის (№14)



31 მარტი
თბილისი
ვერის ბაღი
20 ტური

სდასუ 81:75 თსუ

I ტაიმი 43:38

სდასუ: თორთლაძე (25), უძილაური (26), ჩხეიძე (10), ქევხიშვილი (5), მაჭარაძე (6); ხარაძე (4), გიგაური (1), გიგაშვილი (2), ორჯონიკიძე (2), აბულაძე

თსუ: ვეფხვაძე (8), წონელია (20), მარკოიშვილი (8), ქარაბაკი (17), ხელაშვილი (14); მგალობლიშვილი (8), მშვილდაძე

მსაჯები: მურმან ქურიძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

მეოცე ტურში გასამართი ამ გუნდების შეხვედრა მაშინ უშუქობის გამო ჩაიშალა. ამავე მიზეზით ერთი კვირის წინაც გადაიდო და კინალამ გუშინაც იგივე ბედი ეწია.

ამ შემთხვევაში შუქი არაფერ შუაშია. ამ დაპირისპირების სანახავად ვერის ბაღში მესამედ მისული გულშემატკივარი უბრალოდ, მსაჯმა, ზურაბ აბაშიძემ დაიალატა, რომელიც დავით ბერეკაშვილთან ერთად სწორედ სდასუ — თსუ-ს სამსაჯოდ იყო გამწესებული.

აბაშიძე არც შემდეგ გამოჩენილა, თუმცა მისი ასავალ-დასავალი არავინ უწყოდა და კითხვა, სად გაქრა ზურაბ აბაშიძე, უპასუხოდ დავრჩა.

სამაგიეროდ, ორმოცდახუთი წუთის დაგვიანებით დაწყებული მატჩი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა მურმან ქურიძემ განსაჯა, რომელიც ამავე დროს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეცაა და იმის შიშით, თამაში კიდევ არ ჩაიშალოსო, შინ გაეშურა სამსაჯო სამოსის მოსატანად.

ქურიძეს წუთიც რომ დაეგვიანა, გარჯა წყალში ჩაეყრებოდა, რადგან ფედერაციის მუშაკთ ბოლოხანს მსაჯობაზე ხელაღებული ნუგზარ ჭეიშვილი შეეგულებინათ მარქაფად.



ფედერაციამ მსაჯად ნუგზარ ჭეიშვილი (მარჯვნივ) შეიგულა...



...მატჩი საბოლოოდ კი მურმან ქურიძემ იმსაჯა

გურამ დოლენჯავილის ფოტოები

სად გაქრა მსაჯი?!

ერთი სიტყვით, მატჩიც დაიწყო, რომელიც, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ნამდვილად ღირდა ამდენ ლოდინად. ამჯერად სამუშაო დღეს თავშეყრილი არცთუ ცოტა მაყურებელი დაძაბული ბრძოლის მოწმე შეიქნა, რაც მნიშვნელოვანწილად შეხვედრის პრინციპულობამ განაპირობა, ორივე გუნდი ხომ საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იღვწის, ასე რომ პატარა ფეხის დაცდენა და...

ანგარიში უძილაურამ სამქულიანით გახსნა და შემდეგაც ვეფხვაძის, წოწელიასა და ქარაბაკის ჩაგდებულებს ზედიზედ ორჯერ იმავე უძილაურმა უპასუხა 9:9. ეს უკანასკნელი დაცვაშიც მარჯვობდა და სამეურვეო გიორგი მარკოიშვილს გასაქანს არ აძლევდა. თსუ-ს მწვრთნელ ნოდარ ქორქიას მეტი ტაქტიკური გამჭრიახობა მართებდა, რადგან უძილაურზე ერთი თავით მაღალი მარკოიშვილი უფრო ფარის სიახლოვეს უნდა დაეყენებინა, ამის ნაცვლად კი ფრთის პოზიციაზე არბენინებდა, სადაც ქარაბაკის გამწესებაც შეიძლებოდა. თავის მხრივ, იქნებ სდასუ-ს მწვრთნელმა პავლე არჩვაძემაც ინანა, როცა ტანმაღალ თსუელებთან ფარზე საბრძოლველად მხოლოდ ერთი ცენტრი, გიგი ხარაძე დატოვა და ის მონაკვეთი მისიანებმა 0:11 წააგეს. ამის შემდეგ რვა-ცხრა ქულით თსუ კარგა ხანს ლიდერობდა, მაგრამ მოედანზე დაბრუნებულმა უძილაურმა და დავით თორთლაძემ ტაიმის ბოლოს ხუთ ქულამდე შეასცირეს ანგარიში სხვაობა.

განახლდა შეხვედრა და სულ მალე გიორგი ჩხეიძემ სამიანით ანგარიში გაათანაბრა — 45:45, რასაც სდასუელების კიდევ უფრო გააქტიურება მოჰყვა და ახლა თსუა მდევრის როლში 60:54. კიდევ ერთხელ გამოირჩია უძილაური, რომლის სამიანები (სულ რვა) თითქმის ყოველთვის უტყუარი იყო. მას თორთლაძემაც მხარი აუბა და მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე თსუ-ს მარცხი დაემუქრა 71:78. მათ კიდევ შეეძლოთ გარდატეხა შეეტანათ თამაშში, მაგრამ საჰაერო ორთაბრძოლებში ძალიან მოიკოჭლეს, როცა სდასუელების რამდენჯერმე აცილებული ბურთი ვერა და ვერ მოიხელთეს.

გიორგი ბიკაშვილი

სდასუ — თსუ. სდასუ-ელებს ალყა დაურტყამთ თსუ-ელი არჩილ ხელაშვილისთვის (№14)

22 ტური

აზოტი	22	21	1	1921:1583	43
სტუ	22	16	6	1756:1670	38
ვითა(-1)	22	16	6	1534:1329	37
თსუ	22	15	7	1817:1664	37
დინამო	22	13	9	1697:1661	35
სდასუ	22	12	10	1666:1684	34
მაკაბი	22	6	16	1645:1796	28
კოლხა	22	5	17	1592:1888	27
შევარდენი	22	4	18	1555:1790	26
ასკ	22	2	20	1002:1120	24

ნატო სოკ-ის დაბომბვითაც იმუქრება

კლინტონი სამარანჩის ამხანაგების სექსუალურმა ცუღლუტობამ აღაშფოთა



ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ელიტარულ წრეებში ერთი დროული აზრი მოძწიფებულა. სახელდობრ, თუკი იქიდან ეს-ესაა მოსულ ინფორმაციას ვენდობით, ნატოს გენერალიტეტსა და მის უკან მდგარ ძლიერ ქვეყანათა ლიდერებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ საჰაერო იერიშების მიტანა და მის ობიექტებზე წერტილოვანი დარტყმების მიყენება განუზრახავთ. მოტივი უაღრესად ნათელია: სოკ-ის შინაგანმა გახრწნილობამ ისეთ არანორმალურ მასშტაბებს მიაღწია, რომ მისი არსებობა ხიფათს უქმნის არა მარტო მსოფლიო სპორტის, არამედ საერთოდ, დედამიწაზე მცხოვრებ კეთილი ნების ადამიანთა კერძო და სახელმწიფოებრივ ზნეობასა და უსაფრთხოებასაც.

რაც მთავარია, ამჟამინდელი ვითარება ასეთი დამსჯელი ექსპედიციისთვის სწორედ რომ ზედგამჭრელია. ნატოს თვითმფრინავები ისედაც ყოველდღე სერავენ ევროპის საჰაერო სივრცეებს და ლოზანისა თუ მისი მახლობელ-შორეული ოლიმპიური ცენტრებისთვის რამდენიმე ზედმეტი ფრთოსანი რაკეტის დაშენა მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. „ჩვენ არ დავინდობთ არაფერს და არავის“ — უთქვამს ნატოს გენერალურ მდივანს, ხავიერ სოლანას, — „უმთავრესი დარტყმები მოვა სოლტლეიკ 2002-ის სამექრთამეო სკანდალში გახვეულთა საბანკო ანგარიშებზე, საყვარლებისთვის ჭუჭყიანი ფულით შეძენილ „ხავერებსა“ და სასაფლაოებად შეგულებულ ადგილებზე... მაგრამ მშვიდი ძილის საშუალება არც სხვებს ექნებათ. დავბომბავთ ყველას — ვინც კი ოდესმე შემჩნეულა ხელმრუდობაში, ხელგაშლილობასა და ხელცქვიტობაშიც. მოკლედ, არავის არაფერი შერჩება“.

სოლანას სრული მხარდაჭერა აღუთქვა აშშ-ის პრეზიდენტმა, უილიამ ჯეფერსონ კლინტონმა. მისი თქმით, ამ დარტყმებისას გამოყენებული იქნება ახალი ტიპის ბომბდამშენები, რომლებიც მათზე დამონტაჟებული საგანგებო ხელსაწყოებით 5-10 მეტრიანი ცდომილებით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც სოკ-ის ვინგინდავინ წევრს ორალური კავშირი დაუმყარებია ანაც დაუმყარებინებია კომიტეტში მომუშავე ცუგრუმელა სტაჟიორებსა თუ დამლაგებლებთან. „ეს ადგილები აღიფხვრება პირისაგან მიწისა, როგორც სოდომი და გომორა... ჩვენ სოკ-ს ისეთ დღეს დავმართებთ, რომ მის არც ერთ წევრს აღარასოდეს აუდგეს გვერდები, ფერდები, მკერდები და ა.შ.“

კლინტონს მისი გადმოღმელი მოკავშირეებიც შეეხიდნენ. ბრიტანეთის პრემიერმა, ტონი ბლერმა, მაგალითად, მხოლოდ მისთვის ჩვეული ჭკუამახვილობით შენიშნა, რომ ალიანსი განსაკუთრებულად დააჯილდოვებს იმ მფრინავს, რომელიც რაკეტას ლოზანის თავზე აღმართულ ხუთსავე ოლიმპიურ რგოლში გააძვრენს და ბოლოს პრეზიდენტის ღამის ქოთანზე დასვამს...

პირსისხლიანი დასავლეთის ამგვარმა მუქარამ მთელი მაღალკულტურული აღმოსავლეთის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის პრემიერმა, ევგენი პრიმაკოვმა, რომელიც ამ ინფორმაციის გავრცელებამდე ვაშინგტონში მორიგი თავანის მისაღებად მიფრინავდა, თვითმფრინავი ჰაერშივე შემოატრიალა და ბარვიხის ცენტრალურ კლინიკაზე დასვა, სადაც პრეზიდენტი ელცინი რუსეთის გენერალურ პროკურორ იური სკურატოვთან ერთად აზიდვებში ვარჯიშით ერთობა. პრეზიდენტმა, პრემიერმა და პროკურორმა განაცხადეს, რომ რუსეთი არ დაუშვებს ნატოს მიერ სოკ-ის ესოდენ გაუპატიურებას და ყველა ზომას იხმარს, რათა კომიტეტს არასოდეს მოეშალოს უცხოეთის ხარჯზე ბაირამობის საშუალება. „ჩვენ შევაიარაღებთ სოკ-ს ახალი ტყვიაგაუმტარი ჰამპერსებით, რეზინის ოლიმპიური რგოლებით და ჩემოდნებით, რომელთაც ვერანაირი რადარი ვერ დააფიქსირებს“.

სამარანჩი ნატოს ბომბებმაც ვერ შეაშინა

სარგბილის არქივიდან

სოკ-ის მხარდამჭერი სიტყვებით გამოვიდნენ ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი, ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი და კონგოელი ხალხის მამაცი შვილი, აწ დაზვერვის ცენტრალური ბიუროსაგან დევნილი ლორან კანბალ-კაბილა... საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვეულებისამებრ, ზომიერი და ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

რაც შეეხება თავად შპს სოკ-სა და მის შებერებულ პაპა ხუანიტოს, მათ კანტორას, თურმე, ფიფას წესდებაზე დაუფიცია, რომ არასგზით არ დააბრუნებს ქრთამად მიღებულ ბარბებს, ავეჯ-მავეჯეულობას, საუნივერსიტეტო დიპლომებს, გენეალოგიურ სიებსა და სოლტლეიკური თხების რქებისგან დამზადებულ შიბაქებს; რომ არასგზის არ გადააყენებს კომიტეტის არც ერთ საუკუნემიტანებულ ბერიკაცს; არასგზით არ გამორეცხავს თავის ჩაოხრებულ ბოსლებს და საერთოდაც, არასგზით არაფერს არ გააკეთებს. „ნატოს აგრესიას ჩვენ ჩვენს სიმართლეს და უმანკოებას დავუპირისპირებთ. ამერიკა გოუ ჰოუმ... ვი არ ზე ჩემპიონზ... ფეხები შორს სამარანჩის ქოჩორისგან“, — ყვირიან სოკში და ბინძურ სარდაფებში იმალებიან.

ძოფე ანანდი, როიტერი

ახლა ყლაპე, რამდენიც გინდა

წინა კვირას დასრულდა ველომრბოლთა ერთ-ერთი რიგითი ტურნირი. „კატალონიის კვირეულის“ 36-ე გათამაშება ფრანგმა ლორან ჟალაბერმა მოიგო. ამის შესახებ უკვე გაუწყეთ და თუ დღეს კვლავ ვუბრუნდებით ამ თემას, ეს გამოწვეულია ველორბოლის სამყაროში დატრიალებული ჩვეულებრივი სპორტის ქომაგთათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი ამბებით. თუმცა, რაღაც გამართლება მაინც შეიძლება მოეძებნოს ჩინოსნების ერთი შეხედვით სკანდალურ გადაწყვეტილებას.

მაგრამ ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. ალბათ, გახსოვთ, შარშანდელი „ტურ დე ფრანსი“, როცა დოპინგ-კონტროლის შედეგად ფრანგული გუნდის „ფესტინას“ ყველა მრბოლს აკრძალული პრეპარატები აღმოუჩინეს სისხლში. ამის გამო ისინი შეჯიბრიდან მოკვეთეს. საქმეში საფრანგეთის პროკურატურა და პოლიციაც ჩაერია და „ფესტინას“ ზოგიერთ მესვეურს რამდენიმე დღის „ვირის აბანოში“ გატარებამაც მოუწია. მაშინ ლორან ჟალაბერმა და კიდევ ვიღაც-ვიღაცეებმა პროტესტისა და კოლეგებისადმი სოლიდარობის ნიშნად ნებაყოფლობით მიატოვეს „ტურ დე ფრანსი“. ეს ნაბიჯი ხალხმა და მასმედიამ სათანადოდ შეაფასა და ისინი ვაჟკაცებად და ლამის გმირებად შერაცხეს. სკანდალი მაშინ ასე თუ ისე ჩაცხრა, მაგრამ ჩინოსნებმა მრბოლებს სასტიკი კონტროლი დაუწესეს, ყველა შეცდომილს კი სამაგალითოდ სჯიდნენ.

ახლა მსოფლიოს თასის 20 მარტს გამართული პირველი ეტაპი გავიხსენოთ. მილან — სან რემოს „კლასიკური“ რბოლა გაბელგიელებულმა რუსმა ანდრეი ჩმილმა მოიგო. მან საფინიშო სპრინტში ვერმანელ ერიკ ზაბელს ავჯობა, რაც პატარა სენსაცია იყო. შეჯიბრების დღეს, გამთენიისას კი ორგანიზატორებმა 4 გუნდის 32 სპორტსმენი ლოგინებიდან წამოყარეს და სისხლის ანალიზიც აუღეს. თუმცა ვერც ერთ მათგანს დოპინგის კვალი ვერ უპოვეს.

აი, „კატალონიის კვირეულის“ გამარჯვებულ ჟალაბერს კი სინდისი და სისხლი სუფთა არ აღმოაჩნდა. მის ანალიზებში ექიმებმა აკრძალულ პრეპარატ ეფედრინს მიაგნეს. ფრანგი სპორტსმენი უმალ დასაჯა ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ. მას ტიტული ჩამოერთვა, 10000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა დაეკისრა და შეჯიბრებებში ნახევარი წლით აეკრძალა გამოსვლა, რაც „ჯიროო დ'იტალიას“ და „ტურ დე ფრანსის“ გამოტოვებას ნიშნავდა.

განტევების ვაცად ყოფნა ჟალაბერმა არ ისურვა და სასჯელის გამოცხადებისთანავე „ჩაუშვა“ კოლეგები. მისი თქმით, რაც მერე დადასტურდა კიდეც, მილან — სან რემოს დროს ველომრბოლთა საანალიზოდ აღებული სისხლით სავსე სინჯარები მავან ექიმს შეუცვლია, რაშიც რბოლის ორგანიზატორებისგან, რომელთაც სკანდალი არაფერში სჭირდებოდათ, გვარიანი თანხაც აუღია. ველოსპორტის მამებმა სასწრაფო ზომები მიიღეს და ნამდვილი სინჯარების პოვნა შეძლეს (საკვირველია, მექრთამე ექიმმა რატომ ვერ მოასწრო მათი გაქრობა), ანალიზის შედეგად კი 32-დან 27 (!) მრბოლის, მათ შორის ჩმილის, სისხლშიც ნანდროლინი აღმოაჩინეს.

ერთი სიტყვით, დიდი სკანდალი დაიწყებოდა, სპორტის ამ სახეობის თავკაცებს ჩათრევისთვის ჩაყოლა რომ არ ეშჯობინებინათ. მათი ფედერაციის პრესატაშის განცხადებით, სულ მოკლე დროში გადაწყდება შემდეგი რამ: ყველა მსურველს შეეძლება დოპინგის (მხოლოდ გარკვეული პრეპარატების, რომელთა სიაც უახლოეს მომავალში დადგინდება) სურვილისამებრ მიღება, ოღონდ მათ ამის შესახებ ტურნირების ორგანიზატორებს წინასწარ უნდა აცნობონ. დოპინგის მოძულენი რომ არ დაიჩაგრონ, ამიტომ თითოეულ ეტაპზე ანაბოლიკებით გაჭყეპილ სპორტსმენებს 10 საჯარიმო წამი მიემატებათ. ის მრბოლები კი, რომლებიც კვლავინდებურად უჩუმრად მიიღებენ დოპინგს, გამომჟღავნების შემთხვევაში განსაკუთრებული სისასტიკით დაისჯებიან.

ხოლო ჟალაბერმა რა მოიგო ამით? ის, რომ სასჯელი გაუუქმდა, „ჩამშვების“ იარლიყი კი მიეწება და უკვე ყველა დარწმუნდა, რომ შარშანდელი „ტურ დე ფრანსი“ მან და მისთანებმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით მიატოვეს და არა პროტესტისა და სოლიდარობისთვის.

ჩემი მხრიდან კი დავამატებდი, რომ ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას შეეძლება მალე მიბაძონ ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის და სხვა ფედერაციებმა და მაშინ ყლაპე რამდენიც გინდა ეფედრინი, ნანდროლინი, კრეატინი...

გაიოზ თალაკვაძე



ლორან ჟალაბერი

სარგბილის არქივიდან

შეუშვებენ მაჟლეებს ლოკომოტივზე?

ქართველი ბორჯღალოსნების ორი მატჩის ჯამში ტონგასთან დამარცხება რამდენიმე რამეს დაბრალდა. მიზეზთა შორის ისიც დასახელდა, ჩვენს მორაგბეთა ნაკრებს მაღალ დონეზე ცოტა თამაში ჩაუტარებია, ანუ ქართველ მორაგბეებს საკმარისი გამოცდილება არა აქვთო.

გამოცდილება ისეთი რამაა, თავისით არ მოვა. მის მისაღებად ძლიერ გუნდებთან პაექრობაა საჭირო, რაც შეიძლება მეტი ტესტ-მატჩის გამართვა. თუმცა ჩვენთან თამაშის პერსპექტივა ვერც ახალზელანდიურ „ოლ ბლექსს“, ვერც ავსტრალიელ ვოლაბებს და ვერც სამხრეთაფრიკელ ქურციკებს სიხარულით ცას ვერ სწვევს.

ჩვენც რა დაგვრჩენია, საშუალო დონის გუნდებს უნდა ვეთამაშოთ, სანამ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ პატივს დაგვდებენ და გაგვეჯიბრებიან. თუმცა ექვსი ერის პირველობის B ჯგუფის შექმნა ამ საქმეში საკმაოდ წაგვადგება, მაგრამ ეს საკმარისი სრულიადაც არაა.

და აი, მშვენიერი ახალი ამბავი უნდა გაუწყოთ. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ერთ ეტაპს საფრანგეთის ეროვნული ნაკრები საქართველოში გაივლის. „მამლები“ ჩვენს ქვეყანაში ორ კვირას დაჰყოფენ და ბორჯღალოსნებს სამ ტეტს-მატჩშიც გამოსცდიან, პირველად ბათუმში, მეორედ ქუთაისში და მესამედ თბილისში. ოღონდ ბოლო ტესტის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარება მეტად სათუო საქმეა, რადგან საქართველოს უმთავრეს სარბილზე ჩვენს მორაგბეთა ნაკრებს აქამდე გამართული ყველა მატჩი მოუგია და ქართული რაგბის მესვეურებს ამ მშვენიერი ტრადიციის დარღვევა სულაც არ ეპიტნავებათ. მათ უკვე დაიწყეს მოლაპარაკება, რკინიგზის დეპარტამენტთან „ლოკომოტივის“ სტადიონის რამდენიმე დღით იჯარით აღების თაობაზე, მაგრამ რკინიგზის შეფები თურმე დიდძალ ფულს ითხოვენ.

მორაგბეებს მათთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთები შეუთავაზებიათ. დათანხმდნენ თუ არა რკინიგზელები ამას, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ისე კი, თუ „მამლების“ საქმეში ნახვის სურვილი მათ არ გაუჩნდათ, რასაც „ბუნებრივი პირობების“ გამო „ლოკომოტივის“ დატბორვა მოჰყვება, მაშინ რაგბის ქართველ ქომაგებს ეროვნული სტადიონი მიიღებს და ალბათ, ტრადიციაც დაგვერღვევა.

გაგი გურიელი

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜ — ᲘᲐᲒᲠᲘ ᲨᲔᲘᲑᲜᲔᲡ

30 მარტი

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ — ᲝᲢᲐᲕᲐ 4:6 (2:0 1:4 1:2)

1:0 ბრაუნი 8'55 (9); 2:0 მილერი 17'53 (19); 3:0 იაგრი 24'01 (37); 3:1 პროსპალი 25'56 (8); 3:2 სალო 26'28 (4); 3:3 სალო 32'33 (5); 3:4 არვედსონი 38'08 (19); 3:5 არვედსონი 54'10 (20); 4:5 ვერენკა 54'44 (6); 4:6 სალო 59'53 (6)

ყველაფერი ბრწყინვალედ დაიწყო. უპირატესობას სტუმრები კი ფლობდნენ, მაგრამ პიტსბურგის შეტევები თავიდანვე უფრო მწვავე და, რაც მთავარია, შედეგიანი აღმოჩნდა. მასპინძლები 24-ე წუთისთვის 3:0 იგებდნენ. ჩვეულად იყოჩაღა იარომირ იაგრმა (1+2) და სამივე საგოლე კომბინაციაში დაიდო წილი. შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად განვითარდა მოვლენები. პიტსბურგის მწვრთნელმა კევინ კონსტანტინმა რიცხობრივი უპირატესობის გამოსაყენებლად იაგრი ყინულზე არ გაუშვა (მატჩის შემდეგ თავს იმართლებდა, მისი ძალები დავზოგეო), რამაც სუპერჩხის გულისწყრომა გამოიწვია და სათადარიგო სკამზე ხანმოკლე კამათის შემდეგ იგი გასახდელისკენ გაეშურა. ეს იყო და ეს. პიტსბურგს ისედაც აკლდა რამდენიმე წამყვანი მცველი და ამის შემდეგ ხომ სულ ჩამოყარა ყურები. მეორე პერიოდის დასასრულისთვის უკვე სტუმრები დაწინაურდნენ და აღარც გაუშვიათ ხელიდან უპირატესობა. „სენატორებმა" როგორც იქნა, ძველი ჯაჭრი იყარეს და თავიანთ ისტორიაში პირველად დაამარცხეს პიტსბურგი „სივიკ არენაზე" (+0=3-13). იაგრი კი მატჩის შემდეგაც არ ისვენებდა და ამბობდა, კონსტანტინს თუ ჩემი თამაში არ აკმაყოფილებს, კი, ბატონო, დავისვენებ სეზონის ბოლომდე, ბომბარდირობა ხომ განაღდებული მაქვს და პლეი ოფშიც გავდივართო. ოტაველთა ლიდერი ალექსეი იაშინი კი უქულოდ დარჩა. სამაგიეროდ, ახალბედა მცველმა სამი სალომ კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი მიითვალა.

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ — ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 1:2 (0:0 0:0 1:1 0:1)

0:1 ბლეიკი 45'40 (11); 1:1 სამსონოვი 52'09 (22); 1:2 იოკინენი 63'54 (8)

ბოსტონელები ბოლო ხანებში გასაკვირ გულუბრყვილობას იჩენენ. მაშინ, როცა განსაკუთრებული მობილიზება მართებთ კონკურენტების ჩამოსაშორებლად, აგერ, უკვე მესამე შეხვედრაა, ბოლო წუთებზე ქულებს კარგავენ, თანაც თუ წინა ორ მატჩში ფრეს მაინც მიაღწიეს, ამჯერად მთლად ხელცარიელნი დარჩნენ.

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ — ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 3:3 (1:0 2:1 0:2 0:0)

1:0 რენბერგი 2'24 (12); 2:0 დიუშენი 20'57 (5); 2:1 შეპარდი 37'32 (24); 3:1 ბრინდამორი 39'29 (21); 3:2 მალიკი 43'00 (2); 3:3 ჟელინა 52'05 (13)

ერიკ ლინდროსის (დისკვალიფიკაცია) და მარკ რეკის (ტრავმა) არყოფნაში მასპინძელთაგან ბომბარდირობა... მეკარე რონ ჰექსტოლმა იტვირთა. მან ორი შედეგიანი პასი მიითვალა, მატჩის მიწურულს კი შაიბაც გაგზავნა მეტოქეთა კარისკენ და კინაღამ გაიტანა: ტრევორ კიდს პარტნიორები ეფარებოდნენ, დარტყმა გამოეპარა და კოლეგის დარტყმული შაიბა ოდნავ ასცდა მიზანს.

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ — ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 3:3 (1:2 2:1 0:0 0:0)

0:1 ბურე 9'16 (24); 0:2 უიმერი 11'19 (8); 1:2 ფლერი 19'24 (38); 2:2 ოზოლინში 28'31 (5); 3:2 პოდინი 32'11 (2); 3:3 მორისი 35'23 (7)

ტეო ფლერის პირველი მატჩი ყოფილ თანაგუნდელებთან ერთობ თავშესაქცევი გამოდგა. თავიდან „მძლავრ თაგვს" (ფლერის მეტსახელი) არავინ ეკარებოდა და გაილაღა, მაგრამ როცა მისი ჩინებული პასის წყალობით პოდინმა თავისიანები წინ გაიყვანა, კალგარელები გაცხარდნენ და ტეოზე ნადირობასაც შეუდგნენ. განსაკუთრებით მოწადინებული მისი ნაცვალი, უეიდ ბელაკი გახლდათ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 2:3 (1:1 0:0 1:2)

0:1 ვალიჩევიჩი 2'34 (1); 1:1 გონჩარი 17'57 (18); 2:1 ჰერი 45'27 (2); 2:2 ფიცჯერალდი 48'47 (12); 2:3 უოკერი 56'04 (13)

შარშანდელი თასის ფინალისტი კიდევ ერთხელ შერცხვა — დებიუტანტ ნეშვილთან სეზონში მეორედ დათმო.

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ — ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 4:7 (2:6 1:1 1:0)

0:1 რაიხელი 2'38 (24); 0:2 რაიხელი 6'43 (25); 0:3 დოუნი 8'26 (4); 0:4 ტვერდოვსკი 14'55 (7); 0:5 ტოკეტი 15'46 (24); 1:5 გრირი 17'44 (15); 2:5 სმიტი 18'16 (10); 2:6 რენიკი 19'43 (23); 2:7 კარნი 32'00 (2); 3:7 გრირი 32'34 (16); 4:7 უეიტი 53'08 (4)

ეს მესამედ მოხდა ფინიქსის ისტორიაში — ერთ პერიოდში 6 შაიბა შეაგდო. კვლავ გამოირჩა კლუბის ახალწვეული რობერტ რაიხელი (2+1), რომელიც მშვენივრად შეეწყო „კოიოტების" ლიდერებს — კეიტ ტკაჩუკს (4 პასი) და ჯერემი რენიკს (1+2)

REUTERS ფილადელფიიდან

კაროლინელმა მარეკ მალიკმა (5) ერთი დაკვრით ორი ფილადელფიელი როდ ბრინდამორი (17) და ვალერი ზელეპუკინი გააკრა ბორტზე

ᲛᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

რამდენიმე დღის წინ ორმა ჰოკეისტმა განაახლა კონტრაქტი. კაროლინელი მეკარე არტურ ირბე კიდევ სამ წელიწადს დარჩება გუნდში. თანაც ამის საბაბი გახდა ლატვიელის ტორონტოსთან შეხვედრაში მარცხი. როცა მეკარემ სამი დარტყმიდან ერთიც ვერ მოიგერია, კლუბის მესვეურნი მიხვდნენ, რომ არ შეიძლება მისი გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვება, ეს ერთობ სანერვიულოა. თან მაშინ, როცა კლუბის მეორე მეკარე ტრევორ კიდმა უკვე გაინაღდა კონტრაქტი. რაც შეეხება ფილადელფიის მცველ ერიკ დეჟარდენს, მან თავისი შესაძლებლობები კარგა ხანია, დაამტკიცა და ოთხწლიანი კონტრაქტითაც ამიტომაც დაჯილდოვდა.

ᲡᲐᲛᲘᲗᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ



ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ

ᲞᲐᲢᲠᲘᲙ ᲠᲣᲐ (ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ)

ეს ისეთი კვირა იყო, სამ-ოთხ ჰოკეისტს მაინც შეეძლო ლაურეატობის მოპოვება. მათ შორის ანაჰაიმელი ტეემუ სელიანე და კოლორადოელი ტეო ფლერიც გახლდნენ, მაგრამ ეველანშელ პატრიკ რუას სამი ჩინებულად ჩატარებული თამაშის გარდა (სამივე მოგება და საშუალოდ 1,67 გაშვებული შაიბა) ისეთი სერიოზული უპირატესობა ჰქონდა, მის კონკურენტებს აღარაფერი ეთქმოდათ. ლიგის არჩევანიც ამან განაპირობა.

როგორც გაუწყებდით, რუამ კარიერაში 506-ე მოგებას უწია (407 ჩემპიონატში, 99 პლეი ოფში) და თავის ამპლუის მოთამაშეთა შორის ლიდერიც გახდა. თან კვირის ყოჩის ტიტული კარიერაში მერვედ დაიმსახურა.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘ

პატრიკ რუა (კოლორადო, 4); *ადრიენ ოკუანი* (ვანკუვერი, 1) — *რეი ბურკი* (ბოსტონი, 3); *ტეო ფლერი* (კოლორადო, 4) — *პოლ კარია* (ანაჰაიმი, 5) — *ტეემუ სელიანე* (ანაჰაიმი, 3)

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ᲘᲫᲜᲔᲑ ისედაც ფრიად სტატისტიკურ კლასიფიკაციებისა და ჯიბესქელთა ნუსხას მათემატიკური მონაცემების დამატება მაინცდამაინც არც მოუხდეს, მაგრამ პიტ სამპრასის რიგით მეშვიდედ დაბრუნება მსოფლიოს პირველი ჩოგნის ამპლუაში მრავალი მხრიდან მოითხოვს აღნიშვნას.

მაშ, ასე, ამერიკელი ისევ დაადგა კლასიფიკაციის სათავეში ყოფნის ხანგრძლივობის რეკორდის მოხსნის გზას: ამჟამად იგი ივან ლენდლს მხოლოდ 7 კვირით ჩამორჩება და თუ კარლოს მოიასთანა თავხედები ხელს არ შეუშლიან, ზედ როლან გაროსის დაწყების წინ—24 მაისს რეკორდსმენიც გახდება.

ჯერჯერობით კი სია ასე გამოიყურება:

ივან ლენდლი 270 კვირა
ჯიმი კონორსი 268
პიტ სამპრასი 263

ორშაბათს გამოქვეყნებულ ნუსხაში — ამერიკელი მეორე ადგილზე მყოფ მოიას მხოლოდ 9 ქულით უსწრებს, თუმცა ისტორიას პირველი ჩოგნის უფრო მცირე უპირატესობაც ახსოვს: 1992-ში სტეფან. ედბერგი ზედიზედ სამი კვირის მანძილზე სულ 3 ქულით უსწრებდა ჯიმ კურიეს;1996-ში ტომას მუსტერი იმავე სამპრასს ასევე 9 ქულას უგებდა.

დაბოლოს, კარლოს მოიასაც შეუძლია, გული დაიშვიდოს—მისი პირველ ჩოგნად ყოფნის 2 კვირა ანტრეკორდი სულაც არ გახლავთ. შორეულ 1977-ში ახალგაზრდა შვედი ბორნ ბორგი ჯიმი კონორსმა სულ 7 დღით აპარპაშა, თუმცა სკანდინავიელის ზღაპრული კარიერისთვის ამას ხელი არაფერში შეუშლიან როლან გაროსისა და 5 უიმბლდონის მომგები შვედი მოგვიანებით კიდევ 108 კვირის მანძილზე იყო პირველი.

ᲐᲗᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲒᲐᲜᲘᲫᲔ

ᲕᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ $ ᲛᲝᲘᲗᲮᲕᲔᲭᲐ 1999-ᲨᲘ

1. ევგენი კაფელნიკოვი	695 115	1. მარტინა ჰინგისი	814 571
2. რიჩარდ კრაიჩეკი	574 809	2. სერენა უილიამსი	494 638
3. მარკ ფილიპუსისი	462 167	3. ვინუს უილიამსი	433 399
4. ტომას ენკვისტი	407 178	4. ლინდსი დევენპორტი	277 552
5. ტიმ ჰენმანი	300 909	5. იანა ნოვოტნა	267 981
6. კარლოს მოია	293 192	6. შტეფი გრაფი	264 999
7. ტომი ჰაასი	280 766	7. ამელი მორესმო	249 180
8. უეინ ბლექი	254 207	8. ანა კურნიკოვა	201 454
9. ჟერომ გოლმარი	246 806	9. მონიკა სელეში	189 160
10. გრეგ რუზეტკი	230 416	10. ამანდა კუტცერი	172 768
11. სენდონ სტოლი	223 951	11. ელენა ლიხოვცევა	129 070
12. სებასტიან გროსჟანი	223 907	12. ნატაშა ზვერევა	126 674
13. ნიკოლას კიფერი	218 544	13. დომინიკ ვან რუსტი	108 251
14. კაროლ კუჩერა	210 652	14. მარი პირსი	106 875
15. გუსტავო კუერტენი	204 601	15. ჩანდა რუბინი	106 420

ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ		ᲥᲐᲚᲔᲑᲘ	
1.2. პიტ სამპრასი (აშშ)	3525	1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5421
2.1. კარლოს მოია (ესპანეთი)	3516	2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5310
3.3. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3382	3.3. მონიკა სელეში (აშშ)	3919
4.7. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	3119	4.4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	3766
5.5. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	3115	5.7. შტეფი გრაფი (გერმანია)	3079
6.4. ალექს კორეტხა (ესპანეთი)	3101	6.6. ვინუს უილიამსი (აშშ)	2989
7.6. ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	2633	7.5. არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი)	2847
8.10. ტოდ მარტინი (აშშ)	2279	8.8. მარი პირსი (საფრანგეთი)	2395
9.11. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	2264	9.9. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	2183
10.12. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)	2253	10.10. ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2086
11.13. გრეგ რუზეტკი (ინგლისი)	2126	11.16. სერენა უილიამსი (აშშ)	2080
12.9. ანდრე აგასი (აშშ)	2071	12.11. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1994
13.8. მარსელო რიოსი (ჩილე)	2035	13.12. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1967
14.14. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)	1929	14.14. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1872
15.15. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	1898	15.15. ირინა სპირლეა (რუმინეთი)	1828
16.16. ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1800	16.17. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1816
17.18. ტომას იოჰანსონი (შვედეთი)	1614	17.19. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი)	1645
18.17. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	1608	18.18. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1642
19.19. ტომი ჰაასი (გერმანია)	1600	19.20. ბარბარა შეტი (ავსტრია)	1567
20.20. ფელიქს მანტია (ესპანეთი)	1589	20.13. ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1551
21.21. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	1520	21.21. ჟული ალარი (საფრანგეთი)	1441
23.23. ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი)	1450	22.23. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1305
23.26. მარატ საფინი (რუსეთი)	1254	23.24. ჩანდა რუბინი (აშშ)	1272
24.22. ტომას მუსტერი (ავსტრია)	1224	24.25. მაუი სერნა (ესპანეთი)	1245
25.29. ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი)	1210	25.22. სილვია ფარინა (იტალია)	1188
26.31. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1198	26.26. ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი)	1162
27.25. მარკ როსე (შვეიცარია)	1181	27.27. აი სუგიამა (იაპონია)	1035
28.27. ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი)	1167	28.28. ლაიზა რეიმონდი (აშშ)	965
29.28. ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე)	1164	29.30. ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი)	893
30.24. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)	1161	30.29. ანკე ჰუბერი (გერმანია)	858
31.40. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	1141	32.31. კარა ბლექი (ზიმბაბვე)	775
45.74. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	954	34.32. ივა მაიოლი (ხორვატია)	763
58.59. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	790	51.53. მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია)	518



REUTERS სინგაპურიდან

ᲜᲘᲫᲚᲐᲕᲘᲪ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ!

სინგაპურელ საფეხბურთო მეფსონე-მენიძლავეთა შორის ფრიადი გახარება და აჟიოტაჟია: ქვეყნის ხელისუფლებამ მათ საქმეს ლეგალური სტატუსი მიანიჭა... როგორც იქაური გამოცდილი მეკუშეები ამბობენ, ეს საკანონმდებლო ფინტი სახელმწიფოს დიდძალ თანხებსა და რამე-რამეს შემოუტანს. თავად განსაჯეთ შარშანდელი საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას 150-მდე სინგაპურულ მიწისქვეშა ტოტალიზატორში თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, 29 მილიონი დოლარი უნდა „გამაზულიყო“.

ᲯᲘ ᲗᲘᲛ ᲙᲔᲢᲘ ᲘᲥᲜᲘᲐ



REUTERS სან ფრანცისკოდან

ამ სანფრანცისკელმა „გიგანტმა“ ჯი თი სნოუმ „კაბსთა“ წინააღმდეგ თავისი გრძელი და მსხვილი კეტი ისეთი გამეტებით იქნია, რომ ბოლო-ბოლო გადააქნია კიდეც... მაგრამ როცა გული გულობს, ბეისბოლი გადამტვრეული კეტითაც ითამაშება და — ჩვენ სნოუს ეგეთი გარჯა ჯერ არ გვინახავსო — ძლეულ „კაბსებსაც“ ამის მეტი აღარა უთქვამთ რა.

ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲖᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 1:1 ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ

1:0 დავიდსი (10), 1:1 ბატისტუტა (84)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ვან ვონდერენი (კონტელმანი 46), ფ. დე ბური, კოკუ, ზეედორფი, ზენდენი, დავიდსი, კლუივერტი, ბერხკამპი (ვან პინტუმი 78), ოვერმარსი (ვან ფოსენი 57)

არგენტინა: როა, აიალა, ვივასი, სენსინი (გ. ლოპესი 80), რედონდო, პოჩეტინო, კ. ლოპესი, ძანეტი, ბატისტუტა, ორტეგა (გულიემინპიეტრო 46, კრესპო 82), ვერონი

გაძევება: დავიდსი (73)

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

XXV ტური

ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ 1:1 ᲢᲘᲠᲝᲚᲘ

0:1 პორტნაგლი (10), 1:1 მეირლები (75)

ᲚᲘᲜᲪᲔᲠᲘ 2:0 ᲚᲣᲡᲢᲔᲜᲐᲣ

1:0 პავლოვსკი (17), 2:0 ვაისენბერგერი (70)

ᲠᲘᲓᲘ 0:0 ᲠᲐᲞᲘᲓᲘ

ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ 1:0 ᲨᲢᲐᲘᲠᲘ

1:0 გლიდერი (55)

REUTERS ამსტერდამიდან

ედგარ დავიდს (მარცხნივ) გაბრიელ ბატისტუტასთან უხეშობა ძვირად დაუჯდა — იგი მინდვრიდან გააძევეს

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ᲙᲝᲠᲐᲩᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲐᲓᲔᲙᲝ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) 97:70

(პირველი მატჩი 77:93)

ბარსელონამ მოიპოვა კორაჩის თასი

REUTERS ბრიუსელიდან

ᲚᲐᲡ ᲕᲔᲒᲐᲡᲨᲘ

ლონდონში პრესკონფერენცია გამართა ლენოქს ლუისის პრომოუტერმა პანოს ელიადისმა.

ცნობილი ამბავია, რომ დონ კინგმა ლუის-ჰოლიფილდის რემატჩის გაჩალიჩება დაინყო და ევანდერს ხელიც კი მოაწერინა ქაღალდზე, რომლის მიხედვითაც ხელახალი შეყრა სექტემბერში უნდა გაიმართოს.

ელიადისის გამოსვლაც ამ საკითხს მიეძღვნა. პრომოუტერმა თქვა, რომ ლუისს სურს უდავო ჩემპიონობის რემატჩმა ნოემბრამდე გადაინიოს.

რაც შეეხება ბრძოლის ადგილს: „მე მთავაზობენ საუდის არაბეთს, სამხრეთ აფრიკას, ბრიტანეთს, მაგრამ ბრძოლა ლას ვეგასში შედგება. დღეს ეს საუკეთესო ადგილია ამ დონის კრივისთვის. დონსაც სურს, რომ რემატჩი ლას ვეგასში გაიმართოს“.

რემატჩი ყველას აწყობს, შეყრის ადგილიც — სალაპარაკო კი მხოლოდ დრო და ფული დარჩენილა.

ᲐᲛᲐᲤᲠᲘᲜᲔ. ᲐᲛᲐᲤᲠᲘᲜᲔ...

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ჭაბუკი უფლისწული ფილიპი (მარცხნივ) სპორტის თავგადაკლული მეოხი და მიმდევარი ბრძანებულა. რა წამს მსოფლიო სარბიელზე ახალი სპორტული ვარსკვლავი აკიაფდება, ჯიბესქელი და ჭკუამხიარული პრინცი უმალ სუფრას გაშლის, ფოსტას გამოვა და ვარსკვლავს თავის წარმოსახვით გალერეაში შეიყვანს... უკანასკნელად მისი უდიდებულესი ყურადღება და მამა ალბერტის დაწურული ნაფარეულით ბაირამობა ამას წინათ მსოფლიოს ირგვლივ საჰაერო ბუშტზე შემოფრენილ შვეიცარიელ ბერტრან პიკარსა (მარჯვნივ) და ბრიტანელ ბრაიან ჯოუნზს (ფოტოს გარეთ) ერგოთ. პრინცმა მებუშტეებს ჯერ ასე დაუყვავა, მერე ისე, ხოლო სულ ბოლოს, როცა ღვინომაც თავისი გაიტანა — აწი თუ კიდევ გაფრინდებით, უჩემოდ ეგ საქმე არ იქნებაო, თურმე ასეც დააპირობა. მებუშტეებმაც — კი, ძამა, მაგაზე უარს აბა როგორ გეტყვითო — ეგრე უთხრეს და — ისე, საღოლ მამაშენს, მაგარი ღვინო დაუწურიაო, ასეც დაუმატეს.

ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲔᲛᲝᲜᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ



REUTERS ფრანკფურტიდან

ᲒᲐᲬᲘ-ᲒᲐᲛᲝᲬᲘ და ფეხბურთი გერმანელებსაც მაგრად ევასებათ. მეჩოგბურთეა თუ მეფორმულე, მეტრამპლინეა თუ მეტრამპაჟე, ყველა შიგა და შიგ და ალაგ-ალაგ ფეხბურთს წაეთომარება ხოლმე... ბებერ მეჩოგნე ბორის ბეკერს (მარცხენა ფოტოზე) ბურთის გორება რუსთა წინააღმდეგ დევისის თასზე გასამართი მატჩების წინ, ფრანკფურტის კორტზე მოუხდა. აი, მედგარმა მეტრამპლინემა და მსოფლიოს თასის ამ სეზონის მოალაფემ მარტინ შმიტმა (მარჯვენა ფოტოზე მარჯვნივ) კი ფეხბურთზე საუბარი და ფასეული კონსულტაციების მიღება მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცის ოტმარ ჰიტცფელდისგან არჩია. ჰიტცფელდს თურმე, აგებულებით სუფთა ფეხბურთელი ხარ და სანამ დროა, ხტომას შეეშვი, მათეუსის მაგივრად თუ ვერა, ბასლერის ნაცვლად უეჭველი გათამაშებო, ასე უთქვამს. მარტინსაც, მე რასაკვირველია მადლობელი, მაგრამ სანამ ჩემთან ერთად ბეკერსაც არ მიიღებთ, მანამ ისევ ხტომა მირჩევნიაო, ასე უპასუხია... ჰიტცფელდის პასუხის პასუხისა კი ჩვენ, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო უკვე აღარაფერი მოგვეხსენება.

REUTERS მიუნხენიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲘᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის განყოფილების გამგე ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვამაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79,
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29